

ცლაპტორნალი დამოარატის  
პოლიტიკის ეფექტურობის აგალივა  
და საინფორმაციო-საკომუნიკაციო  
ტექნოლოგიების გამოყენება



დამხმარე სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2011



KVINNA TILL KVINNA

კუბლიკაცია მომზადება ქალთა საინფორმაციო ცენტრის  
მიერ ფონდ Kvinn till Kvinn-ს ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემის ხელმძღვანელი:  
ელენე რუსეცი

ავტორები:  
ელენე რუსეცი  
ალექსანდრა დელემენტი  
თამარ გოგოლაძე

რედაქტორი:  
თამარ გოგოლაძე

დიზაინი:  
თიკო ხარშილაძე

დიზაინი და დაკაბადონება  
გიორგი დავთიანი

ფოტო:  
ქალთა საინფორმაციო ცენტრი  
მეგი ბიბილური  
ვიქტორ გახათაძე  
ნატა კერესელიძე

გაწეული კონსულტაციისა და შენიშვნებისათვის ავტორები მადლობას  
უხდიან სამართლებრივ კონსულტანტს ანანო ცინცაბაძეს

ISBN - 978 - 9941 - 0 - 3381 - 0

2

ქალთა საინფორმაციო ცენტრის გამოცემები  
მისამართი: თბილისი, 0102, წინამძღვრიშვილის ქ. N40;  
ტელეფონი: (995 32) 2 95 29 34;  
ფაქსი: (995 32) 2 94 26 99  
ელ-ფოსტა: office@ginsc.net

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდებზე:  
[www.ginsc.net](http://www.ginsc.net), [www.wicge.org](http://www.wicge.org)

5	შინაგანი მოწყვეტილებები
5	შესავალი
8	სახელმძღვანელოს მიზნები და ამოცანები ძირითადი მიზნები და ამოცანები ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სპეციალური ამოცანები
10	როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო
11	საკითხები, რომელიც განიხილება ყველა მოდულში საზოგადოებრივი და ზოგადსაგანმანათლებლო ურთიერთობაში
15	მოდული I საინფორმაციო საზოგადოების კონცეფცია და პროგლემები ICT-ის საგანი და საბოლოო მიზნები ინფორმაციული საზოგადოების მოდელის განვითარება რაში მდგომარეობს ინფორმაციული საზოგადოების არსი? „მეორე და მესამე ბუნება“ თემასთან დაკავშირებული ტერმინები მსოფლიო სამიტი ინფორმაციულ საზოგადოებაზე ციფრული რევოლუცია „ციფრული დაყოფა“ მსოფლიო სამიტი: გლობალური დისკუსიის აუცილებლობა ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის ისტორია და წარმოშობა პეკინიდან მსოფლიო სამიტამდე ინფორმაციულ საზოგადოებაზე
25	მოდული II საერთაშორისო ორგანიზაციები და ინიციატივები შინაარსი და ძირითადი ამოცანები ინფორმაციული საზოგადოების მონაწილეობა ხელისუფლება კერძო სექტორი სამოქალაქო საზოგადოება გაერო სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი ციფრულ შესაძლებლობებზე ციფრული და გენდერული დაყოფა სიტუაცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გენდერული თანასწორობა აქტუალურია თუ არა ისევ ციფრული დაყოფა? როგორ „განვსაზღვროთ“ ხელმისაწვდომობა
35	მოდული III ელექტრონული დემოკრატია ელექტრონული დემოკრატია (ელ-დემოკრატია) ელ-დემოკრატიის ფორმები და საშუალება ელ-დემოკრატიის პრაქტიკული საკითხები მოქალაქეთა როლი ელ-დემოკრატიაში ინტერნეტი, როგორც პოლიტიკური შუამავალი ადგილობრივ დემოკრატიულ გაერთიანებათა ელექტრონული მხარდაჭერა ღირებულება და ნაკლი ღირებულება

	<p><b>ნაკლი</b>          ღია ელექტრონული დემოკრატიული საზოგადოება          ელ-მთავრობის ფუნქციონირების მოდელი          ელ-მთავრობა, რომელიც არ არის დაკავშირებული ინტერნეტთან          ელ-მთავრობის პოტენციური ღირსება და რისკი          რისკები          განსაკუთრებული მეთვალყურეობა          დანაკარგები          ხელმიუწვდომლობა          გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მცდარი გრძნობა          უპირატესობა          დემოკრატიზაცია          სარგებელი გარემოსათვის          სიჩქარე, ეფექტურობა და მოხერხებულობა          საზოგადოებრივი მხარდაჭერა          ელ-მთავრობის სპეციფიკური ტექნოლოგიები          ელ-მთავრობის პორტალები და პლატფორმები          გაეროს მიერ შემუშავებული ელ-მთავრობაზე გადასვლის მზაობის          მაჩვენებელი</p>
47	<p><b>მოდული IV</b>          ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე          შინაარსი და ამოცანები          ამჟამად არსებული ICT-ის ინფრასტრუქტურა          ინტერნეტის განვითარება          ICT გამოყენების ტენდენცია          ICT გავრცელების მაჩვენებელი          ადრე არსებული და ამჟამინდელი ICT სტრატეგია და ცოდნის გადაცემის შესაძლებლობები</p>
57	<p><b>მოდული V</b>          საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება          პროგრამული უზრუნველყოფა          ციფრული სოლიდარობა          პორტალი          სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები          საინფორმაციო შესვლა          ელექტრონული ბიულეტენი          მიმღებთა სია          სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები          მომხმარებელთა საზოგადოების შექმნა          მომხმარებელთან ურთიერთობა          თანამშრომელთა პერსონიფიცირება          ონალაინ დისკუსიები          ელექტრონული ბიულეტენი          მიმღებთა სია          საზოგადოების წვლილი ჩვენს საქმიანობაში</p>
64	აზრებიატურა
65	გამოყენებული ლიტერატურა

# 606ასიტყვაობა

პატივცემულო მკითხველო,

დღეს, თანამედროვე სამყაროში, კომპიუტერი, ინტერნეტი, მობილური სატელეფონო კავშირი, ტელე და ვიდეო კომუნიკაცია ძალზედ აქტუალურია. თუმცა, საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის, რომ ამ ყოველივეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ჰქვია.

ეს სწორედ ის სფეროა, რომელსაც ქალისთვის “არასასურველად” მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ ქალი ისე ვერ დაეუფლება მას, როგორც მამაკაცი. ამავდროულად, თუკი საკითხს ჩავულრმავდებით, ნათელია, რომ თანამედროვე ცხოვრება შეუძლებელია ამ ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ქალი ამ სამყაროს ნაწილია და თუ მას მიეცემა საშუალება, უდავოა, ის ისევე წარმატებით გამოიყენებს ამ ტექნოლოგიებს, როგორც მამაკაცი.

თანამედროვე კვლევები და სტატისტიკა გვიჩვენებს რამდენად დაბალია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ქალებისა და გოგონების ხელმისაწვდომობა. რითია ეს განპირობებული? ამას სხვადასხვა მიზეზი და ახსნა აქვს.

ერთი კი ცხადია, პრობლემა არსებობს და საჭიროა ამ პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული ზომების მიღება, რათა ამაღლდეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ქალებისა და გოგონებისათვის ხელმისაწვდომობა.

ელენე რუსეცკი

# შესავალი

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) – ეს არის ტექნოლოგიები, რომლის დახმარებითაც ხორციელდება ინფორმაციის დამუშავება, გაგზავნა და კავშირი ელექტრონული გზით. ICT გულისხმობს ძველი და ახალი ტექნოლოგიების მთელ სპექტრს, როგორიცაა: რადიო, ტელევიზია, კომპიუტერი და ინტერნეტი, სტაციონალური და მობილური ტელეფონი, ფაქსი, პრინტერი, სკანერი, ასევე, მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური საშუალებები. ICT არის საშუალება, რომლის დახმარებითაც ხელმოკლედ მცხოვრებ ქალებსა და მამაკაცებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ეკონომიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში და თავი დააღწიონ სიღარიბეს. ICT ფლობს უდიდეს პოტენციალს და სოფლად მცხოვრებ ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ განათლება, მოიძიონ სამსახური, პერნდეთ ხელმისაწვდომობა ბაზართან, ასევე მიიღონ ეკონომიკური საქმიანობისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისათვის აუცილებელი ინფორმაცია. თუმცა, ხშირად, საზოგადოების ღარიბი ფენა, უმეტესად კი ქალები, ვერ სარგებლობენ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, განსაკუთრებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. ძირითადად ეს ხდება სოფლად ნაკლებგანვითარებული ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პუნქტთა არარსებობის გამო.

არსებობს ერთი ფაქტორი, რომელიც განმარტავს ICT-ის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას – ეს არის ინფრა ან ინფორმაციური სტრუქტურა. ნებისმიერ განვითარებად ქვეყანაში „ინფრა“ ან „ინფო“ სტრუქტურები კონცენტრირებულია ხელმისაწვდომობისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქმიანი ცენტრების ახლოს, სამრეწველო რაიონებსა და პოლიტიკური შტაბ-ბინებში.

ამგვარ სიტუაციებში აუცილებელია გატარდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ქალთა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელ მნიშვნელოვან ხარვეზს გამოასწორებს. ICT-თან თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გამოყენებისათვის რეკომენდირებულია მრავალმხრივი მიდგომა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებმა განვითარების პროგრამის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

1. გენდერული საჭიროებები ICT-ის პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისა და რეალიზებისას;
2. ერის განვითარებისათვის ICT-ის საჭიროება და მის მიმართ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა: დაინტერესებულმა მხარეებმა ორგანიზება უნდა გაუწიონ სემინარებსა და სამუშაო შესვედრებს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობას უკეთ გააცნობიეროს განვითარებისათვის ICT-ის საჭიროება;
3. სოფლისა და ცენტრიდან დაშორებული რაიონების განვითარებისათვის ახალი პროექტების მხარდაჭერა; ICT - ის ინფრასტრუქტურის სწრაფად განვითარებისათვის სატელეკომუნიკაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ბიუროკრატიკული პროცედურების გამარტივება;
4. ICT-ის პოლიტიკასა და პროგრამებში შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა გენდერული და სამართლებრივი პრინციპით;
5. მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშესაწყობად ბენეფიციარებისა და მომსახურების ზუსტი განსაზღვრა;
6. ქვეყნის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა.

თუმცა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არ შესრულდება, თუ ქალებს არ ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები ICT-ის გამოსაყენებლად. უკვე იქვს წელზე მეტია ქალთა საინფორმაციო ცენტრი მუშაობს, რათა ქალებს უფრო ფართოდ მიუწვდებოდეთ ხელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (ICT) ატარებს კვლევებს, ორგანიზებას უწევს ტრენინგებს, ეწევა კონსულტაციებს.

ამ სახელმძღვანელოში თავმოყრილია სხვადასხვა წლებში ტრენინგების შედეგად დაგროვილი გამოცდილება, რაც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს მიმართოს სწავლების სხვადასხვა მეთოდს, რათა გააფართოვოს ქალების ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა, ე.ი. ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.



# სახელმძღვანელოს მიზნები და ამოცანები

## ქირითაღი მიზნები და ამოცანები

საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) იძლევა განცალკევებული ბაზრის შექმნის შესაძლებლობას, რომელიც არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას და ქალებს შეუძლიათ დამოუკიდებლად შექმნან ან ჩაერთონ ბიზნესში. ICT-ის სფეროში ქალებს შეუძლიათ სხვადასხვა პროფესიონალური დონის მომსახურების შეთავაზება.

## ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) დახმარებით ქალებს აქვთ სწავლების, ინფორმაციის მიღებისა და, ასევე, სხვადასხვა სერვისთან ხელმისაწვდომობის უფრო ფართო შესაძლებლობა. მაგალითად, მათ შეიძლება მიიღონ ინფორმაცია მოსავლის საბაზრო ფასების, პროფესიული ზრდის შესაძლებლობის, საკუთარი და ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ასევე მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით.

სხვა პროგრესულ პროცესებთან ერთად ICT აძლევს ქალებს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი თავიანთი ვიწრო გარემოცვის მიღმა, ურთიერთობა დაამყარონ სხვა ქვეყნის ქალებთან და უფრო ეფექტურად გამოვიდნენ მთავრობათა პასუხისმგებლობისა და გამჭვირვალობის ამაღლებისათვის, უფრო ფართო ეკონომიკური შესაძლებლობების, თანასწორობის, კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვისა და აღიარებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ ICT-ის განვითარების ყველა ზემოთ აღნიშნულ გენდერულ მემკვიდრეობას, ნათელი გახდება, რომ მას შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაზიარდოს ყველა ასაკის ქალთა მონაწილეობის შესაძლებლობა განვითარების პროცესში.

ICT-ის უახლესმა მიღწევებმა შესაძლოა გააფართოვოს ტრადიციული და ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, მაგალითად, რადიო და ტელევიზია, რომელიც ჯერ კიდევ ძირითადი საკომუნიკაციო არხია ფართო აუდიტორიისათვის. შეიძლება ეს მოხდეს პოდკასტების<sup>1</sup> მშვეობით, რომელიც გაძლიერთ საშუალებას გამოიყენოთ ინფორმაცია ხელახლა, ან დაუკვეთოთ ის საჭიროების შემთხვევაში ვიდეომასალითა და კომპაქტ-დისკებით.

გარდა ამისა, ICT-იმ განვითარების პროცესებში შესაძლოა გააფართოვოს ამ პროცესების შესაძლებლობები და მოიტანოს დამატებითი სარგებელი.

დისტანციური სწავლებისა და ტრენინგისათვის ICT შესაძლოა გამოადგეთ ქალებს, რომლებსაც უსაფრთხოების ან საოჯახო საქმიანობის გამო არ შეუძლიათ მეცადინეობებზე, საღამოს, ან საკვირაო კურსებზე სიარული.

<sup>1</sup> პოდკასტი არის ციფრული ფაილი (აუდიო ან ვიდეო), ან ფაილების წერტილი, რომლის გავრცელებაც ხდება ინტერნეტით, syndication feeds-ის მეშვეობით, პორტატულ მედიასაკრაფზე და პერსონალურ კომპიუტერზე დასაკრავად. ესე იგი, ინტერნეტის მომხმარებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოუსმინოს ან უყუროს პრივატურამას, რომელიც ავტომატურად ჩამოიტვირთა ინტერნეტიდან. ტერმინი “პოდკასტი” ორი ნაწილისგან შედგება (POD და CAST) და ათის IPOD-ის (“epis” კომპიუტერის პორტატული საკრაფის) და broadcast-ის (მაუწყებლობის) კომბინაცია.

სპეციალური ამოცანები:

- ICT-ის გამოყენების უნარ-ჩვევების სწავლება, მისი გამოყენება ქალთა ორგანიზაციებისა და ჯგუფების აქტიური მონაწილეობისათვის ელექტრონული დემოკრატიის განვითარებაში;
- ახალგაზრდა, მეწარმე და სოფლად მცხოვრებ ქალთათვის ICT-ის გამოყენების უნარ-ჩვევების ინდივიდუალური სწავლება განვითარებისა და საზოგადოებრივ საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის;
- ქალთა ორგანიზაციებს შორის „ელექტრონული სოლიდარობის“ სტრუქტურის ორგანიზების წინაპირობის შექმნა;



# როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო

წინამდებარე სახელმძღვანელო არ არის ჩვეულებრივი სასწავლო სახელმძღვანელო. ის უფრო ინსტრუქტია ICT-ის სამყაროში ქალთა ჩასართავად და შედგება ხუთი მოდულის აღწერისაგან:

- **მოდული I:** საინფორმაციო საზოგადოების კონცეფცია და პრობლემები;
- **მოდული II:** საერთაშორისო ორგანიზაციები და ინიციატივები;
- **მოდული III:** ელექტრონული დემოკრატია |გლობალური ქსელის მართვა: კანონები და ორგანიზაციები|;
- **მოდული IV:** ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე;
- **მოდული V:** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

ამ ხუთი მოდულიდან ნებისმიერი შეიძლება გამოვიყენოთ დამოუკიდებლად, შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე მოდულის ერთობლივად გამოყენებაც, გააჩნია, როგორია აუდიტორიის მზაობა და დასახული ამოცანები. ყოველი მოდულის აღწერითი ნაწილი მოიცავს თემატური მასალის მიწოდების გეგმას, წყაროებს, ასევე, თემისებს თითოეული მონაწილისათვის და რჩევებს ტრენერებისთვის. მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელოში არ არის ამა თუ იმ მასალის წარსადგენად კონკრეტული სავარჯიშოების ან საქმიანობის ფორმების ამომწურავი სია, რადგან, ჩვეულებრივ, ყველა ტრენერი სარგებლობს საკუთარი მეთოდითა და კრეატიულობით. სახელმძღვანელო მხოლოდ დამატებითი მასალაა ტრენერისთვის, რომელიც მსმენელს აწვდის სხვადასხვა წყაროდან აღებულ აუცილებელ ინფორმაციას და არა ყველასთვის კარგად ცხობილ სავარჯიშოთა კრებულს.

სახელმძღვანელოში თქვენ ვერ იპოვით ინფორმაციას მონაწილეებთან პირველი გაცნობის შესახებ, ან ჯგუფებთან მუშაობის შემაჯამებელი შეფასების პროცედურას. ასეთი სახის ინფორმაცია შეიძლება უხვად მოიპოვოთ ბევრ სხვა სახელმძღვანელოსა და პუბლიკაციაში.

ამიტომ, ჩვენ კონცენტრაციას ვახდენთ ICT-ის საკითხებზე და მის თემატიკასა და შინაარსთან დაკავშირებულ ზოგიერთ რჩევაზე, რომელიც გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე. ჩვენ, ასევე, დამატებით შევეხებით საკითხებს, რომელიც, სავარაუდოდ, შეიძლება გაჩნდეს ტრენინგის დასრულების შემდგომ. სახელმძღვანელო ითვალისწინებს ტრენინგს, როგორც მუდმივი პროცესის ნაწილს, რომელიც მოიცავს სწავლებას, უნარების გამომუშავებასა და კონკრეტულ ქმედებებს. თუმცა, თითოეული მოდულის ფარგლებში გამოყენებულია მასალის გადმოცემის ამგვარი თანმიმდევრობა:

- ICT-ის გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლება (დამოკიდებულია შეთავაზებულ მოდულსა და მის კომბინაციაზე);
- მიღებული ცოდნის თვითშეფასება ან ჯგუფური შეფასება (დამოკიდებულია ჯგუფის პროფილზე);
- სასწავლო მასალები (დამოკიდებულია შეთავაზებულ მოდულსა და მის კომბინაციაზე).

ყველა შეთავაზებული მასალის გამოყენება შესაძლებელია საკუთარი საინფორმაციო ან სასწავლო მასალის შესაქმნელად და იოლად კომბინირდება მოცემულ თემაზე არსებულ სახელმძღვანელოებთან.

# საკითხები, როგორიც განიხილა ყველა მოდულზე:

საზოგადოებრივი და ზოგადსაგანმანათლებლო ურთიერთებაში

## ცხრილი 1.

სოციალური პრობლემები, რომლის გათვალისწინება აუცილებელია	
პრობლემა	გადაწყვეტილება
საზოგადოებას მიაჩნია, რომ ICT-ის გამოყენება ქალის საქმე არ არის	<ul style="list-style-type: none"><li>მასმედიამ პოპულარიზაცია უნდა გაუწიოს ICT-ის სფეროში ქალის უფლებებსა და მათი დაცვის, კარიერული ზრდის, ასევე, ინფორმაციის მიმღებლის ანონიმურობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;</li><li>მასმედიამ ფართოდ უნდა გააშუქოს მაგალითები ICT-ის სფეროში ქალის როლის შესახებ;</li><li>ოჯახში უნდა გაიგონ, რომ კომპიუტერი შეიძლება გამოიყენოს ორივე სქესის ბავშვმა (და არა მხოლოდ მამებმა და ვაჟებმა).</li></ul>
ICT-ის სფეროში მომუშავე ქალებისთვის შედარებით მცირე ანაზღაურება	<ul style="list-style-type: none"><li>ქალის ხელფასი უნდა გაუთანაბრდეს მამაკაცის ხელფასს.</li></ul>
არსებული აზრი იმის შესახებ, რომ ქალი უნდა იყოს ოჯახის მფარველი და არ იზრუნოს კარიერაზე	<ul style="list-style-type: none"><li>შშობელთა ცნობიერების ამაღლება;</li><li>მასმედია (ტელევიზია და ა.შ.).</li></ul>
მონაწილეები უნდა წაახალისოთ ICT-ის სფეროში კარიერის შესაქმნელად	<ul style="list-style-type: none"><li>სწორი ორიენტირება კარიერაზე;</li><li>მრეწველობის ამ დარგის წარმომადგენელთა საუბრები ბავშვებთან;</li><li>საუბრები ქალებთან, რომელთაც გაიკეთეს კარიერა;</li><li>საუბრები ბავშვებთან და ახალგაზრდებთან;</li><li>წარმატებული კარიერის მქონე ქალების შესახებ ფილმების პოპულარიზაცია.</li></ul>
წარმატებული კარიერის შესახებ მაგალითების სიმცირე	<ul style="list-style-type: none"><li>მასმედიამ უფრო ხშირად უნდა გააშუქოს წარმატებული კარიერის მაგალითები;</li><li>წეროს ICT-ის სფეროში მომუშავე ქალებზე;</li><li>მოაწყოს სატელევიზიო პროგრამები.</li></ul>
ვაჟებისა და გოგონების დანიშნულებაზე განსხვავებული წარმოდგენები, ანუ გოგონები უნდა ისხდნენ სახლში და უვლიდნენ ოჯახს	<ul style="list-style-type: none"><li>ICT-ის ხელმისაწვდომობის გაზრდა.</li></ul>
საკუთარ შესაძლებლობებში მცირე თვითდაჯერება	<ul style="list-style-type: none"><li>წარმატებული მაგალითები;</li><li>სწავლება;</li><li>თვითგანვითარება;</li><li>სასწავლო პროგრამები.</li></ul>
შიში, რომ ქალებისთვის უნარ-ჩვევების განვითარება სახიფათოა ოჯახური თვალსაზრისით (ანუ ქალი „მიატოვებს“ საოჯახო საქმიანობას)	სტიპენდია ქალებისათვის.
წიგნიერების დონე	საგანმანათლებლო პროგრამები ქალებისა და მამაკაცებისათვის.
ტექნოლოგიებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა	<ul style="list-style-type: none"><li>ახალი მიღწევების დაწერგვა სერვისის დაბალი დონის მქონე რაიონებში;</li><li>დახმარებებსა და სწავლების უზრუნველყოფა მენეჯმენტის ეფექტურობის ასამაღლებლად;</li><li>საინფორმაციო საზოგადოებრივი ცენტრების პოპულარიზაცია იქ, სადაც არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა;</li><li>ამ კუთხით პროვაიდერებისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობა.</li></ul>

## ცხრილი 2

პროგრამები	რა უნდა შევიძიოთ აუცილებლად საერთაშორისო გამოცდილებიდან?
წარმატებული მაგალითები	<ul style="list-style-type: none"> <li>როგორ შეძლეს სხვა ქვეყნებში ICT-ის ხელმისაწვდომობის ამაღლება, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკურ კოლეჯებში მსურველების მოზიდვა და რა სარგებელი მოუტანა ამან საზოგადოებას;</li> <li>სხვა ქვეყნების წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილება; არ არის საჭირო ხელახლა ველოსიპედის გამოგონება;</li> <li>ფინეთის, ირლანდიის, აშშ-სა და სხვა ქვეყნების გამოცდილება, სადაც გატარდა ქალებზე ორაენტირებული პოლიტიკა და სტრატეგია;</li> <li>სხვა რეგიონებისა და განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა;</li> <li>საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება ადგილობრივ კონტექსტში.</li> </ul>
სოციალური საკითხები	<ul style="list-style-type: none"> <li>თანასწორობა ოჯახში და ცვლილება სქესთა ურთიერთობებში;</li> <li>ქალთა და მამაკაცთა აღზრდა თანასწორობის სულისკვეთებით;</li> <li>ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება;</li> <li>განათლების კულტურა და არა კონკურენცია;</li> <li>კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით სამსახურში ქალების მიღებისას პოზიციური დისკრიმინაცია;</li> <li>ბავშვებისათვის (განსაკუთრებით გოგონებისათვის) სწავლება, რომ არ შეეშინდეთ რისკის.</li> </ul>
დამხმარე სტუქტურები და გაერთიანებები	<ul style="list-style-type: none"> <li>ქალთა და გოგონათა სწავლებისათვის სახსრების გამოყოფა და პროგრამის შემუშავება ტექნოლოგიურ სფეროში მათი სამუშაო ადგილის შესაქმნელად;</li> <li>პენსიაზე გასული მამაკაცებისა და ქალების დაბრუნება ეკონომიკაში მასწავლებლებად.</li> </ul>
სახელმძღვანელო კარიერის შესაქმნელად/დადებითი მაგალითები	<ul style="list-style-type: none"> <li>როგორ მოვიზიდოთ გოგონები კარიერის არჩევისას ICT სფეროში?</li> <li>რა როლა აქვს შესმეღლის (ტელევიზია და A.შ) სხვა ქვეყნებში ქალის კარიერის პოპულარიზაციიში?</li> </ul>
ტრენინგი გენდერული ცნობიერების ასამაღლებლად	<ul style="list-style-type: none"> <li>პროგრამები მამაკაცებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ იმუშაონ ქალ კოლეგებთან და არ იბატონონ მათზე;</li> <li>პროგრამები ქალებისთვის, რომელიც სტიმულს მისცემს გამოთქვან საკუთარი აზრი საქმიანობის დროს კოლექტივში, სადაც მამაკაცები დომინირებენ; როგორ მიაღწიონ იმას, რომ კაცებმა ქალები აღიძენ სერიოზულად.</li> </ul>

## ცხრილი 3.

საჭიროები და სარვეზები	რა ინოვაციებია განათლების სფეროში?
განსაზღვრება	
ICT-ის განსაზღვრება	<ul style="list-style-type: none"> <li>კომუნიკაციის სრულყოფა;</li> <li>კარიერის არჩევის შესაძლებლობა.</li> </ul>
აუცილებელია ICT-ის მისცე უფრო სრული განსაზღვრება	<ul style="list-style-type: none"> <li>პრეზენტაცია და მისი შინაარსი უნდა იყოს წარმტაცი; (მულტიმედიური ტექნოლოგიის, ანიმაციისა და გრაფიკული დიზაინის გამოყენებით).</li> </ul>
ინფრასტრუქტურა	
ცოდნასა და ინფრასტრუქტურასთან ხელმისაწვდომობა	<ul style="list-style-type: none"> <li>ექსპერიმენტებისთვის აუცილებელი ტექნოლოგიური საშუალებების უზრუნველყოფა (აქცენტი კეთდება კრეატიულობაზე).</li> </ul>
ნიმუშები (მოდელები)	
სწავლება	<ul style="list-style-type: none"> <li>ონლაინ სწავლება;</li> <li>თანატოლთა სწავლება (მაგალითად, კაცშირი სხვა თანატოლ გოგონებთან);</li> <li>სხვადასხვა ქვეყნის გოგონებს შორის გაცვლითი ვიზიტები.</li> </ul>

წარმატებული მაგალითების არასაკმარისი შესწავლა	<ul style="list-style-type: none"> <li>მრავალისციპიპლინარული მეთოდების განსაზღვრა, როგორც თანამშრომლებს შორის ბარიერის აღმოფხვრის ეფექტური საშუალება ტექნოლოგიების სფეროში.</li> </ul>
<b>მასწავლებელი</b>	
ტრენინგების არაეფექტური მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებლებისათვის ტრენინგების ორგანიზება.</li> </ul>
სასწავლო მასალების უკირისობა ICT-თვის	<ul style="list-style-type: none"> <li>აუცილებელია მასალების შემუშავება სასწავლო გეგმისათვის.</li> </ul>
ICT-ის საგნის სწავლება მოსაწყენი და არაკრეატიულია	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებლებს უნდა ეძლეოდეთ ენთუზიაზმი ICT-ის შესაძლებლობებისგან.</li> </ul>
ICT - ეს არის საშუალება, და არა საბოლოო წერტილი	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებლები უნდა იყვნენ მომზადებული სწავლების პროცესში ICT-ის გამოსაყენებლად;</li> <li>მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ექსპერიმენტისთვის.</li> </ul>
ICT - სწრაფად ვითარდება, ხოლო მასწავლებლები ჩამორჩებიან პროცესს	<ul style="list-style-type: none"> <li>აუცილებელია გადამზადების კურსები.</li> </ul>
მასწავლებლები ფლობენ არასაკმარის ცოდნას ICT-ის სფეროში არსებულ ყველა შესაძლებლობაზე	<ul style="list-style-type: none"> <li>სკოლაში უნდა მოვიწვიოთ ადამიანები, რომლებიც მუშაობენ მრეწველობის ამ დარგში, რათა მათ გაუზიარონ ინფორმაცია კარიერულ მიმართულებებზე.</li> </ul>
<b>შემდეგში</b>	
ზრდასრულთა სწავლება და ICT-ის ტრენინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>სუსტად მომზადებულ ან მოუმზადებელ ზრდასრულთა მოზიდვა (მათ შორის სოფლის მაცხოვრებელთა ჩათვლით) თემისთვის პროექტის შექმნის მიზნით.</li> </ul>
უფსკრული ბიზნესის საჭიროებებისა და განათლების დონეს შორის	<ul style="list-style-type: none"> <li>ბიზნესსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის პარტნიორობა.</li> </ul>
<b>სასწავლო გეგმები</b>	
ICT არ შედის სასწავლო გეგმებში	<ul style="list-style-type: none"> <li>ICT უნდა ჩაერთოს სასწავლო გეგმებში ყველა დონეზე და ყველა საგანში.</li> </ul>
სასწავლო გეგმები ორიენტირებული უნდა იყოს ბიზნესსა და ICT-ზე	<ul style="list-style-type: none"> <li>მხატვრულ სკოლათა მსგავსი მიზნობრივი ICT სკოლები.</li> </ul>
მნიშვნელოვანია კონტექსტის გათვალისწინება	<ul style="list-style-type: none"> <li>აუცილებელია ბუნებრივი მიღრეკილებების გამოყენება, რათა გააკეთო რაიმე კრეატიულად და თავისებურად;</li> <li>ჯგუფური საქმიანობის ურთიერთკავშირი.</li> </ul>
ადგილობრივი და ინგლისური ენა, როგორც საქმიანი	<ul style="list-style-type: none"> <li>სასწავლო მასალების ადაპტაცია ადგილობრივ პირობებთან.</li> </ul>





# გოლული |

## საინფორმაციო საზოგადოების პონევეჟცია და პროგლემები

### ● ICT-ის საგანი და საბოლოო მიზნები

პირველ მოდულში მოცემულია საერთაშორისო დოკუმენტებსა და რეზოლუციებში ინტერნეტთან და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ძირითადი კონცეფციებისა და ტერმინების მიმოხილვა. მოდულში განხილულია ისეთი ცნებები, როგორიცაა: „ინფორმაციული საზოგადოება”, „გლობალური ქსელი”, „საინფორმაციო სტრუქტურა”, „ციფრული განყოფილება”, ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები და ICT სფეროში საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ძირითადი დისკუსიები.

მოდულში შესულია ოთხი ტიპის საქმიანობა, მათ შორის, ინფორმაციულ საზოგადოებასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და ინფორმაციული საზოგადოების შესახებ მსოფლიო სამიზნე განხილული საკითხები. მოდულში განხილულია ისეთი თემები, როგორიცაა: „მონაცემები”, „ინფორმაცია”, „ცოდნა და ტექნოლოგიები” და განსაზღვრულია რას ნიშნავს „ინფორმაციული საზოგადოება” დაინტერესებული საზოგადოებისათვის. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) წარმოდგენილია როგორც ინსტრუმენტი ადამიანის განვითარებისათვის, ხოლო ინფორმაციული საზოგადოება დანახულია როგორც ამ განვითარების საშუალება.

მოდულის მეორე ნაწილში მოცემულია ინფორმაციული საზოგადოების განმარტება, რომელიც განსხვავდება ტრადიციული, ეკონომიკურ პრინციპებზე დაფუძნებული და სოციო-პოლიტიკური მოღვაწეების მიერ პროპაგანდირებული განმარტებისაგან.

ის ეფუძნება ინფორმაციული საზოგადოების უფრო ფართო ცნებას და გულისხმობს სოციალურ საკითხებს, რომლის გადაწყვეტა აიცილებელია საინფორმაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში.

### სამუშაო საათების რაოდენობა: 4 საათი

გამოყენებული მასალა:

06 ზორმაციული საზოგადოება ეს არის საზოგადოება, რომელშიც შექმნა, განაწილება, გავრცელება, დანერგვა და მიმართვა ინფორმაციასთან წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაწილს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ასეთი საზოგადოების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებს უკავია ცენტრალური ადგილი წარმოების სფეროში, ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაში. ინფორმაციული საზოგადოება დანახულია, როგორც ინდუსტრიული საზოგადოების<sup>2</sup> მიმღები. პოსტინდუსტრიული საზოგადოება<sup>3</sup> (დანიელ ბელი)<sup>4</sup>, „პოსტფორდიზმი”, პოსტმოდერნული<sup>5</sup> და „ცოდნის საზოგადოება”, ისევე, როგორც „ტელემატიკური”<sup>6</sup> საზოგადოება, საინფორმაციო რევოლუცია და „ქსელური” საზოგადოება (მანუელ კასტელსი)<sup>7</sup> წარმოადგენს მჭიდროდ დაკავშირებულ ცნებებს.

### ● ინფორმაციული საზოგადოების მოდელის განვითარება

ერთ-ერთი პირველი, ვინც შეიძუბავა ინფორმაციული საზოგადოების კონცეფცია, იყო ეკონომისტი ფრიც მახლუპი (Fritz Machlup). 1933 წელს მან დაიწყო კვლევებზე პატენტთა გავლენის შესწავლა. მუშაობის შედეგად მან 1962 წელს გამოაქვეყნა რევოლუციური შრომა „ცოდნის წარმოება და განაწილება

<sup>2</sup> იხ: გვ.18, თემასთან დაკავშირებული ტერმინები

<sup>3</sup> იხ: გვ.18; თემასთან დაკავშირებული ტერმინები;

<sup>4</sup> დანიელ ბელი (Daniel Bell) – სოციოლოგი, პარვარდის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი;

<sup>5</sup> იხ: გვ.19; თემასთან დაკავშირებული ტერმინები.

<sup>6</sup> იხ: გვ.19; თემასთან დაკავშირებული ტერმინები;

<sup>7</sup> მანუელ კასტელსი (Manuel Castells) – სოციოლოგი, მკვლევარი ინფორმაციული საზოგადოებისა და კავშირის სფეროში;

ამერიკის „შეერთებულ შტატებში”. წიგნი ფართოდ გავრცელდა და ითარგმნა რუსულ და იაპონურ ენაზე. იაპონიაში, ასევე, იქნა შესწავლილი ინფორმაციული საზოგადოება იოჰოკა შაკაი (Johoka Shakai) უმესაოს მიერ, - საზოგადოებრივი ევოლუციის უმაღლესი საფეხური ბიოლოგიური ევოლუციის ანალოგიურად. ეს კონცეფცია ფართოდ განიხილებოდა გასული საუკუნის 50-იან 60-იან წლებში.

## ● რაში მდგომარეობს ინფორმაციული საზოგადოების არსი?

არ არსებობს ტერმინის - „ინფორმაციული საზოგადოება” - საყოველთაოდ მიღებული განმარტება. თეორეტიკოსთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ადგილი აქვს მცირე ტრანსფორმაციას, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, დღემდე გრძელდება და რომელმაც საფუძველშივე შეცვალა საზოგადოების ფუნქციონირება. საინფორმაციო ტექნოლოგიები - ეს არის მხოლოდ ინტერნეტი. მიმდინარეობს დისკუსა იმის შესახებ, რამდენად დიდია მასობრივი ინფორმაციის ცალკეული საშუალებების ან წარმოების ცალკეული ფორმების როლი.

ზოგიერთი მკვლევარი, კერძოდ, ანტონიო ნეგრი<sup>8</sup> და ნიუტ ჯინგრიჩი<sup>9</sup> მიიჩნევს, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში ადამიანები დაკავებული არიან არანივთიერი, არამატერიალური შრომით. მათ მხედველობაში აქვთ ცოდნის წარმოება ან კულტურული არტიფაქტები. ამგვარი მოდელის პრობლემა მასში მატერიალური და საზოგადოების ინდუსტრიული საფუძვლის არსის იგნორირებაა. მიუხედავად ამისა, ამ მოდელში შედის პრობლემები ჩვეულებრივ ადამიანებთან დაკავშირებით და ბადებს კითხვას შემოქმედი ადამიანების რა რაოდენობა ესაჭიროება საზოგადოებას ნორმალური ფუნქციონირებისათვის? მაგალითად, თქვენ გესაჭიროებათ მხოლოდ რამდენიმე ცნობილი, და არა უამრავი უცნობი მსახიობი, ვინაიდან, თქვენ შეგიძლიათ გაანაწილოთ ყველა როლი ცნობილ მსახიობთა შორის, დანარჩენნი კი დარჩებიან როლის გარეშე. დღეს გამომცემლები, ჩვეულებრივ, პოპულარიზაციას უწევენ მხოლოდ ისეთი წიგნებს, რომლებიც კარგად იყიდება, ხოლო იმ ავტორებს, რომელთა წიგნებზეც სტაბილურად არის მოთხოვნა, ერიდებიან რომ დაბეჭდონ.

ახალი ფილმის პოპულარობა ირკვევა ჩვენების პირველივე კვირას მოგების და არა სიტყვიერი შთაბეჭდილებების გადაცემის საფუძველზე.

ინფორმაციულ საზოგადოებასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემათა შორის ამ ტერმინის ერთიანი განსაზღვრების მოძებნაც იგულისხმება. ინფორმაციული საზოგადოება შეიძლება შეიცავდეს არა მხოლოდ ხელოვნებას, ტექსტობრივ და კოპირებულ მასალებსა და სამეცნიერო თეორიებს, არამედ, მცდარ ინფორმაციას, ფეხბურთის მატჩის შედეგებს, შემთხვევით წერილებს, შეცდომებს და ა.შ. ინფორმაცია ყოველთვის პროცესტიული და სასარგებლო არ არის, ის შეიძლება საზიანოც იყოს.

იმის გათვალისწინებით, რომ საინფორმაციო მეტაფორუები და ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად ხდებიან ურთიერთდამოკიდებული, ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი, განსაკუთრებით, იაპონური საზოგადოება, განვითილოთ როგორც ინფორმაციული, ვინაიდან ასეთად მიგვაჩინია.

## ● „მეორე და მესამე ბუნება”

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინფორმაციული საზოგადოება წარმოადგენს ერთი ადგილიდან მეორეზე ინფორმაციის გადაცემის საშუალებას (Jayne Wark)<sup>10</sup>. ვინაიდან სულ უფრო სრულყოფილი ხდება თანამედროვე ტექნოლოგიები, იხვეწება ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლის საშუალებებიც.

„მეორე ბუნებას” უკავშირდება კულტურული საქმიანობის სხვადასხვა საშუალებები. მოპოვებული გამოცდილება ტრანსფორმირდება, ეძლევა ახალი მნიშვნელობა და საზოგადოებისთვის ბუნებრივი ხდება. გარკვეული კულტურული ნიმუშების კვალდაკვალ ადამიანები სწავლობენ რაც შეიძლება განსხვავებულად გამოიყენონ და გადასცენ ინფორმაცია, ისაუბრონ ერთმანეთთან სხვადასხვა დროის ზონაში მყოფებმა (ონლაინ), ან გაცვალონ შეტყობინებები სხვადასხვა ქვეყანებიდან. ყოველივე ეს იქცა ჩვეულებრივ პრაქტიკად, რომელსაც საზოგადოება აღიქვამს როგორც აუცილებელს..

თუმცა, ინფორმაციის გაცვლის პროცესში ვექტორის მეშვეობით ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა კიდევ უფრო შორს გავავრცელოთ ინფორმაცია. ვექტორის საშუალებით ინფორმაცია შეიძლება აირიოს, ხოლო

<sup>8</sup> ანტონიო ნეგრი (Antonio Negri) – იტალიელი მარქსისტული სოციოლოგი და პოლიტიკური ფილოსოფოსი;

<sup>9</sup> ნიუტ ჯინგრიჩი (Newt Gingrich) – აშშ კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის ყოფილი სპიკერი;

<sup>10</sup> უორქ მაკენზი, აგსტრალიელი მწერალი და სწავლული; 1997, გვ. 22

შემდეგ გამოყენოს იმას, რამაც თავიდან გამოიწვია მისი არევა. აქ ჩნდება რაღაც ისეთი, რასაც „მესამე ბუნებას” უწოდებენ. მესამე ბუნება, რომელიც მეორის გაგრძელებაა, მართავს მას. ის აფართოვებს მეორე ბუნების შეზღუდულ მხარეებს. მას შეუძლია სხვაგარად და ახლებურად ინფორმაციის ფორმირება, დაჩქარება, გამრავლება, დაყოფა, ვიდეოჩვენების შეცვლა და გამოშვება ჩვენთან სხვა წყაროდან. მისი მიზანია აღადგინოს დროსა და სივრცეს შორის წინასწორობა (იხ. „მეორე ბუნება”). მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ტელეგრაფი, რომელიც პირველი წარმატებული ტექნოლოგი იყო და შეეძლო ინფორმაცია გადაეცა და მიეღო უფრო მცირე დროში, ვიდრე ადამიანს რაიმე საგნის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაადგილებლად სჭირდება.

ამგვარად, მეორე და მესამე ბუნების გამოყენებისას საზოგადოებამ შეიძლება გამოიყენოს და გამოიძიოს შესაძლებლობების ახალი ვექტორი, სადაც ინფორმაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს ურთიერთქმედებათა ახალი ფორმების შექმნის მიზნით.

## ● თემასთან დაკავშირებული ტერმინები

დღესდღეობით, გამოყენებულ ტერმინთა უმრავლესობა ასახავს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ნათესაურ, მაგრამ განსხვავებულ ასპექტებს. „ინფორმაციული საზოგადოება” უფრო ყოვლისმომცველი ხდება იქ, სადაც ეკონომიკა ამგვარი საზოგადოების ნაწილია.

ინფორმაციული საზოგადოება ეს არის საზოგადოება, რომელშიც შექმნა, განაწილება, გავრცელება, დანერგვა და მიმართვა ინფორმაციასთან წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაწილს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

**ინდუსტრიული საზოგადოება - ტერმინი გამოიყენება ეკონომიკური ორგანიზაციისა და სოციალური წესრიგის განსაკუთრებული ფორმის აღსაწერად. ინდუსტრიული საზოგადოების მახასიათებლებია:** წარმოების პროცესის ავტომატიზაცია და კომერციალიზაცია; აგრარულ სექტორში დასაქმებული მოსახლეობის წილის სწრაფი შემცირება; შინაგურნეობის გამოყოფა წარმოებისაგან; ერთიან ბაზარსა და მონეტარულ სისტემაზე დაფუძნებული ეროვნულ-ლიბერალური სახელმწიფოების წარმოშობა; ურბანიზაცია; სტრატიუკიკაციის ტრადიციული სქემების რღვევა და სწრაფი სოციალური მობილურობა; კლასობრივი კონფლიქტების ინსტიტუციონალიზაცია; მოხმარებისა და სოციალური კეთილდღეობის ზრდა;<sup>11</sup>

**პოსტინდუსტრიული საზოგადოება** გულისხმობს წარმოების უფრო მოდერნიზებულ რეჟიმზე გადასვლას, რასაც მოაქვს ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია: საინფორმაციო ტექნოლოგიების დომინანტური როლი; მოხმარების, და არა წარმოების, პრიორიტეტი; ტრანსნაციონალური კორპორაციების სწრაფი ზრდა; ფინანსური ბაზრის გლობალიზაცია; სოციალური ფრაგმენტაცია და ახალი, მრავალგანზომილებიანი სოციალური იდენტობის ჩამოყალიბება, ეკონომიკური კაპიტალის ჩანაცვლება ე.წ. ადამიანური კაპიტალით, ანუ ეკონომიკური ელიტარული კლასის ჩანაცვლება ინტელექტუალებისა და მენეჯერების ახალი კლასით და ა.შ.<sup>12</sup>

**პოსტფორდიზმი** წარმოების ორგანიზაციის მეთოდი განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში, რომელიც ჰქონი ფორდის სახელს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ფორდიზმი და პოსტფორდიზმი უმთავრესად წარმოების პროცესს უკავშირდება, ისინი ხშირად გამოიყენებიან მათთან დაკავშირებულ სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებთან მიმართებაში.<sup>13</sup> იგივეა, რაც ნეოფორდიზმი. დაკავშირებულია კომპიუტერებისა და რობოტების წარმოების სფეროში გამოყენებასა და ასევე მათი მეშვეობით ინფორმაციისა და საქონლის გაცვლის ახალ შესაძლებლობებთან. ფორდიზმის საპირისპიროდ, პოსტფორდისტული ეპოქის ნიშანს წარმოადგენს მოცულობით შედარებით მცირე საწარმოები და წარმოების მოქნილობა (წარმოების პროფილის ადვილი შეცვლა).<sup>\*14</sup>

**პოსტმოდერნიზმის** ცნება სოციალურ მეცნიერებებში შემოვიდა არქიტექტურიდან, იგი შემოიტანა ამერიკელმა არქიტექტურის თეორეტიკოსმა, ჯენესმა, 1976 წელს; მიმდინარეობა სოციოლოგიაში, ასევე სხვა მეცნიერებებში. პოსტმოდერნიზმის თანახმად, თანამედროვე საზოგადოებაში გარკვეულობის ყველა ელემენტი დარღვეულია და საეჭვოდა მიჩნეული, მასში ადამიანების ცხოვრების პირობები გლობალური

<sup>\*11</sup> იხ: სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ.: ლოგოს პრესა, 2004 - 351გვ.; [www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4425](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4425)

<sup>\*12</sup> იქვე: გვ. 351;

<sup>\*13</sup> იქვე: გვ. 351;

<sup>\*14</sup> იქვე: გვ. 351;

და ფრაგმენტული საზოგადოების ხასიათს იღებს და არ არსებობს შეფასების აბსოლუტური წესები და კრიტერიუმები.<sup>15</sup>

კავშირგაბმულობის და ტელემატიკური მომსახურება (სატელეფონო მომსახურება, მონაცემების გადაცემა, სხვა ინფორმაციის მიღება ტექსტის სახით (წერილობითი-ფოსტით), ტელეგრამით, ტელექსით და სხვა);<sup>16</sup>

„საინფორმაციო პერიოდი“ ეს არის დროის შეზღუდული მონაცემები, რადგანაც, ის დაკავშირებულია კომპიუტერების ფართოდ გამოყენებისა და ამის შედეგად მიღებულ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის აღმოცენების ოცდაათწლიანი დროის შუალედთან.

საინფორმაციო შუალედი (პროგაიდერი)<sup>17</sup> - რომელიც კანონის, ნორმატიული აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მესამე პირის საინფორმაციო ტექნოლოგიასთან დაშვებას, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელებას, დამუშავებასთან დაკავშირებულ მომსახურეობას.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა - ტერიტორიულად განაწილებულ სახელმწიფო და კერძო საინფორმაციო სისტემების, სატელეკომუნიკაციო ქსელების, მათ შორის კავშირგაბმულობის ხაზების, მონაცემთა გადაცემის ქსელებისა და არხების, საინფორმაციო ნაკადების კომუტაციისა<sup>18</sup> და მართვის საშუალებების, აგრეთვე ორგანიზაციული სტრუქტურებისა და სამართლებრივ-ნორმატიული ადმინისტრაციული მექანიზმების ფიზიკური კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურეობის წარმოებასა და ბოლო მომხმარებლამდე მიწოდებას.

კომპიუტერული რევოლუცია ეს არის მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი კომპიუტერი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე: ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურის განვითარებაზე. კომპიუტერები შეადგენენ სამრეწველო-საინფორმაციო სისტემებს, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების საფუძველს იძლევა.

ამ შემთხვევაში საინფორმაციო ეკონომიკა და ცოდნის ეკონომიკა უკავშირდება ინტელექტუალური საკუთრების შინაარსს, რომელიც, შესაბამისად, იყიდება ინფორმაციულ და ცოდნის ბაზარზე.

საინფორმაციო ეკონომიკა (პოსტ-სამრეწველო საზოგადოებაში მართვის წესები) არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს ადამიანის სამეურნეო საქმიანობას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და საზოგადოების მოხმარებისთვის ელექტრონული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას.

ელექტრონული ვაჭრობა და ელექტრონული ბიზნესი დაკავშირებულია გარიგების (ტრანზაქციის) წარმოებასთან ინტერნეტის მეშვეობით. ციფრული ეკონომიკა კონცენტრირებულია კიბერნეტიკული სივრცის ბიტების გაყიდვაზე და არა ფიზიკური სივრცის ატომებზე.

ქსელურ ეკონომიკაში უპირატესობა ენიჭება ქსელის მეშვეობით ბიზნესის კოლექტიურ საქმიანობას, როდესაც ის საქმიანი ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს და არა ცალკეულ დამოუკიდებელ ერთეულს.

სოციალური გაერთიანება ქსელში გულისხმობს თანამშრომლობის პროცესს გლობალური მასშტაბით.

ინტერნეტული ეკონომიკა ეფუძნება ინტერნეტით ამოქმედებულ ბაზარს. ცოდნის მიწოდების სამსახურები სრულყოფენ ეკონომიკურ კონტექსტს. ცოდნის მიწოდების სამსახურები აერთიანებენ ორგანიზაციის შიგნით ცოდნის მენეჯმენტს, რომლებიც ამ ცოდნის მიმწოდებლები და ცოდნით მოვაჭრები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ყველა ტერმინი სინონიმებად მოჩანს, ყოველი მათგანი ასახავს ერთი და იმავე საკითხის ან საგნის არსებით ნიუანსს, ან ოდნავ განსხვავებულ ხედვას. თითოეული ტერმინი წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სავარაუდო ხასიათის ერთ ნიშანს მომავალ პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში. ალტერნატივის სახით ახალი ეკონომიკური წესრიგი გააერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილს, ასევე, ყველა იმ ატრიბუტს, რომელიც ეს-ესაა ჩნდება.

<sup>15</sup> იქვე: გვ. 351; [www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5898](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5898)

<sup>16</sup> [www.gncc.ge/index.php?sec\\_id=50500&letter=%E1%83%A2](http://www.gncc.ge/index.php?sec_id=50500&letter=%E1%83%A2)

<sup>17</sup> იხ: საქართველოს კანონი ინფორმატიზაციის შესახებ; თავი I. ზოგადი დებულებანი მუხლი 1 (16)

<sup>18</sup> კომუტაცია – ელექტრონული მიმართულების შეცვლა. ცვლადი დენის გარდამნა მუდმივ დენად სპეციალური აპარატის საშუალებით.

## ● მსოფლიო სამიტი ინფორმაციულ საზოგადოებაზე

გეეროს გენერალური ასამბლეის 2001 წლის 21 დეკემბრის #56/183<sup>19</sup> რეზოლუციით დამტკიცდა, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტი გაიმართებოდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი შედგა 2003 წლის 10 -12 დეკემბერს, უნევაში<sup>20</sup>, ხოლო მეორე - 2005 წლის 16 -18 დეკემბერს, ტუნისში<sup>21</sup>.

მთავარი ამოცანა პირველ ეტაპზე იყო პოლიტიკური ნების მკაფიო გამოხატვა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რათა საფუძველი ჩაყროდა ინფორმაციულ საზოგადოებას, რომელიც აერთიანებდა ყველას და ასახავდა არსებით ინტერესებს.

სამიტს უნევაში ესწრებოდა 50-მდე სახელმწიფოს პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, 82 მინისტრი, 26 მინისტრის მოადგილე 175 ქვეყნიდან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მაღალჩინოსანი წარმომადგენლები. ყველა მათგანმა გამოხატა პოლიტიკური მხარდაჭერა უნევის დეკლარაციის<sup>22</sup> პრინციპებისა და უნევის სამოქმედო პლატფორმის<sup>23</sup> მიმართ, რომელიც დამტკიცდა 2003 წლის 12 დეკემბერს. მთლიანობაში, 175 ქვეყნიდან 11 000 წარმომადგენელზე მეტმა მიიღო მონაწილეობა სამიტის მუშაობასა და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებში.

მეორე ეტაპზე მთავარი ამოცანა იყო უნევის სამოქმედო გეგმის განხორციელება, ასევე გადაწყვეტილებების მიღება და შეთანხმების მიღწევა ინტერნეტ-მართვისა და ფინანსურ სფეროში უნევისა და ტუნისის დოკუმენტების მომავალი ქმედებების განსაზღვრისათვის.

სამიტის მეორე ეტაპს ტუნისში ესწრებოდა 50-მდე სახელმწიფოს პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, 197 მინისტრი, მინისტრის მოადგილე 174 ქვეყნიდან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მაღალჩინოსნები. მათ მხარი დაუჭირეს ტუნისის ვალდებულებებს, რომელიც მიღებულ იქნა 2005 წლის 18 ნოემბერს. 174 ქვეყნიდან 19 000 წარმომადგენელზე მეტმა მიიღო მონაწილეობა სამიტის მუშაობასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

## ● ციფრული რევოლუცია

ციფრულმა რევოლუციამ, რომელსაც საფუძვლად დაედო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევები, ფუნდამენტურად შეცვალა აზროვნების ხასიათი, ქცევა, ურთიერთობა, ადამიანთა საქმიანობა და ფულის გამომუშავების ხერხი. მან სახე უცვალ ეკონომიკისა და ბიზნესის, სახელმწიფოსა და პოლიტიკური პროცესების მართვას. დააჩქარა ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარების გაწევა, ასევე, შესაძლებლობა მოგვცა ახლებურად შეგვეხედა გარემოსდაცვითი პრობლემებისათვის. მისი წყალობით გაჩნდა გართობისა და თავისუფალი დროის გასატარებლად ახალი ადგილები. ინფორმაციისა და ცოდნის ხელმისაწვდომობა წინაპირობაა ახალი ათასწლეულის ამოცანათა გადასაჭრელად; ის საშუალებას გვაძლევს გაუმჯობესდეს ცხოვრების დონე მიღლიონობით ადამიანისათვის მთელ მსოფლიოში. უფრო მეტიც, ადამიანებს შორის ურთიერთობების საშუალებათა სრულყოფა ეხმარება კონფლიქტების გადაჭრას და ხელს უწყობს მსოფლიოში მშვიდობის მიღწევას.

## ● „ციფრული დაყოფა”

მიუხედავად იმისა, რომ ციფრულმა რევოლუციამ გააფართოვა „მსოფლიო ხის“ საზღვრები, მსოფლიოს დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩართული ამ პროცესში. ცოდნასა და არცოდნას შორის მზარდ უფსკრულთან ერთად იზრდება ქვეყანებში მდიდრებსა და ღარიბებს შორის განვითარების უფსკრულიც, ისევე, როგორც მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის უფსკრული. ამიტომ, მსოფლიო საზოგადოების წინაშე დგას ამოცანა აღმოიფხვრას ეს „ციფრული დაყოფა“ და ICT-ის სწრაფი განვითარების გზით გააფართოვოს უახლესი ტექნოლოგიების ცოდნა.

<sup>19</sup> გეეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია #56/183 „უმაღლესი დონის მსოფლიო შეხვედრა ინფორმაციულ საკითხებზე“; ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებ გვერდზე: [www.itu.int/wsis/docs/background/resolutions/56\\_183\\_unga\\_2002-ru.pdf](http://www.itu.int/wsis/docs/background/resolutions/56_183_unga_2002-ru.pdf)

<sup>20</sup> ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის პირველი, უნევის ეტაპი; [www.un.org/russian/conference/wsis/geneva.htm](http://www.un.org/russian/conference/wsis/geneva.htm)

<sup>21</sup> ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის მერჩე, ტუნისის ეტაპი: [www.un.org/russian/conference/wsis/index.htm](http://www.un.org/russian/conference/wsis/index.htm)

<sup>22</sup> უნევის დეკლარაცია; [www.un.org/russian/conference/wsis/dec.pdf](http://www.un.org/russian/conference/wsis/dec.pdf)

<sup>23</sup> უნევის სამოქმედო გეგმა; [www.un.org/russian/conference/wsis/plan.pdf](http://www.un.org/russian/conference/wsis/plan.pdf)

## ● მსოფლიო სამიტი: გლობალური დისკუსიის აუცილებლობა

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირმა გააცნობიერა, რომ ახალი დინამიური პროცესები ითხოვს გლობალურ განხილვას, გაეროს შესთავაზა მსოფლიო სამიტის ორგანიზება ინფორმაციულ საზოგადოებაზე და ამ საკითხის შეტანა დღის წესრიგში. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ტუნისის მთავრობის მხარდაჭერით საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის სრულუფლებიან კონფერენციაზე, რომელიც 1998 წელს გაიმართა ქ. მინეაპოლისში (რეზოლუცია #73).<sup>24</sup>

2001 წელს საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირმა გადაწყვეტილი სამიტის ჩატარება ორ ეტაპად: პირველი - 2003 წლის 10 - 12 დეკემბერს უენევაში, ხოლო მეორე - 2005 წლის 16 - 18 ნოემბერს, ტუნისში. გადაწყვეტილება დამტკიცდა გაეროს გენერალური ასამბლეაზე (რეზოლუცია 56/183). ამ გადაწყვეტილების თანახმად წამყვანი ორგანიზაციის როლი სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობით მიენიჭა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირს. შზადება სამიტის განსახორციელებლად დროისა და პირობების შეუზღუდვად შეთავაზებულ იქნა საუწყებათაშორისო მოსამზადებელი კომიტეტისთვის, რომელსაც უნდა მოემზადებინა სამიტის ღონისძიებების პროგრამა, განეხილა სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პირობები და მიეცა საბოლოო ფორმა დეკლარაციის წინასწარმოშობად ტექსტისა და წინასწარი სამოქმედო გეგმისათვის.

## ● ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის ისტორია და წარმოშობა

საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის #73 რეზოლუციით (მინეაპოლისი, 1998 წ.) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გენერალურ მდივანს გაეროს აღმინისტრაციული საბჭოსთვის კოორდინაციის საკითხებში (ამჟამად გაეროს მთავარი აღმასრულებელი საბჭო) შეეთავაზებინა ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის მოწვევის საკითხის დღის წესრიგში შეტანა და შედეგების მოხსენება საბჭოსთვის, საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის მმართველი ორგანოსთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით 1999 წელს საბჭოს სესიაზე გენერალურმა მდივანმა ანგარიშში აღნიშნა, რომ გაეროს აღმინისტრაციული საბჭო კოორდინაციის საკითხებში დადებითად გამოეხმაურა ამ წინადადებას და სხვა ორგანიზაციებიცა და სააგენტოებიც დაინტერესდნენ სამიტის ჩატარებით. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამიტი ჩატარდებოდა გაეროს გენერალური მდივნის პატრონაჟით და მის მომზადებაში წამყვანი როლი დაეკისრებოდა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირს.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ #56/183 რეზოლუციით დაამტკიცა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირის მიერ შეთავაზებული სამიტის ჩატარების ჩარჩოები, ასევე საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირის წამყვანი როლი სამიტის ჩატარებასა და მომზადებაში სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობით.

შემდგომ, #56/183 რეზოლუციით, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ რეკომენდირებულ იქნა სამიტის მომზადება ყოველგვარი დროისა და პირობების შეზღუდვის გარეშე დაევალებინათ საუწყებათაშორისო მოსამზადებელი კომიტეტისათვის, რომელიც განსაზღვრავდა სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პირობებს და მისცემდა საბოლოო სახეს დეკლარაციის პრინციპების წინასწარ მომზადებულ ტექსტსა და სამოქმედო გეგმას. ასამბლეამ შესთავაზა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირს თავის თავზე აეღო მმართველი როლი სამიტის აღმასრულებელ სამდივნოში და მოეწვია სხვადასხვა ქვეყნის მთავრობა, რათა აქტიურად ჩატარულიყვნენ სამიტის მომზადების პროცესში და რაც შეიძლება მაღალ დონეზე მიეღოთ მონაწილეობა სამიტის მუშაობაში.

გაეროს გენერალური ასამბლეა #56/183 რეზოლუციაში, ასევე, მიესალმა სამიტის მომზადებისა და მიმდინარეობის პროცესში გაეროს ყველა შესაბამისი სტრუქტურისა და სხვა საუწყებათაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, საერთაშორისო, რეგიონალური და არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის მონაწილეობას.

<sup>24</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონულ მისამართზე: [www.itu.int/wsis/docs/background/resolutions/73.html](http://www.itu.int/wsis/docs/background/resolutions/73.html)

## კოლიტიკის ახალი სახეები

### ● პეკინიდან მსოფლიო სამიტამდე ინფორმაციულ საზოგადოებაზე

საერთაშორისო ტექნოლოგუნიკაციის საბჭოს, როგორც საზოგადოების განვითარებისა და ტრანსფორმაციის ინსტრუმენტის როლი, მუდმივი ინტერესის საგანია საერთაშორისო არენაზე, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1995 წელს, პეკინში, ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე, გადაწყდა გარდამტეს ეტაპად ჩათვლილიყო საინფორმაციო ტექნოლოგიების აღიარება, როგორც მძლავრი საშუალება ქალების მიერ მათი გააქტიურების, ინფორმაციის გაცვლისა და საკუთარი გავლენის გაძლიერებისათვის. ვირტუალურმა საზოგადოებამ, რომელიც კონფერენციის შედეგად წარმოიშვა პეკინში, დასაბამი დაუდო ქალთა ორგანიზაციების საერთაშორისო ელექტრონულ ქსელს. ეს ქსელი არსებობს დღესაც და მუდმივად ფართოვდება. პეკინის კონფერენცია იყო პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც განხილულ იქნა ქალებთან დაკავშირებული რეალური პრობლემები. კონფერენციაზე, ასევე, იქნა განხილული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, თუმცა კონფერენციის პროგრამის ძირითად საკითხებთან განკურნებულად. 2000 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ მიმოხილვაში აღნიშნულია შესაძლებლობების ზრდა, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს ICT გამოიყენონ ცოდნის გაზიარების, კონტაქტების დამყარებისა და ელექტრონული ვაჭრობისათვის. მაგრამ მიმოხილვაში, ასევე, აღნიშნულია, რომ სიღარიბე, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ენობრივი ბარიერი, კომპიუტერის გამოყენების შეუძლებლობა, ასევე, განათლების დაბალი დონე, აბრკოლებს ქალებს გამოიყენონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის ინტერნეტი.

პეკინის კონფერენციის მუშაობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ასევე, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების საკითხებში გაეროს კომისიამ. მან ყოველმხრივ შეისწავლა გენდერულ კუთვნილებასა და განვითარებას, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებს შორის ურთიერთკავშირი. ეს მუშაობა დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ სერიოზული გენდერული განსხვავება არსებობდა ტექნოლოგიების გამოყენებასა და მის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების საკითხებზე გაეროს კომისიის მიმოხილვაში (UNCSTD) გაკეთებულია დასკვნა, რომ საინფორმაციო რევოლუციამ გვერდი აუარა ქალებს და ინფორმაციული საზოგადოების შესახებ ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი გენდერულ პრობლემებზე, ასევე, ინფორმაციულ საზოგადოებასთან დაკავშირებულ კვლევებსა და პრაქტიკულ პროექტებში არ არის გათვალისწინებული ის განსაკუთრებული ვითარება, რომელშიც იმყოფებიან ქალები.

უკანასკნელ დოკუმენტებში, რომელიც ეხება ტექნოლოგიების სფეროში საერთაშორისო პოლიტიკას, აღიარებულია საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში გენდერული მონაწილეობის როლი, ხოლო ქალების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და გამოყენებისათვის განსაზღვრულია, როგორც ძირითადი ამოცანა, რომელიც დაგა ინფორმაციულ საზოგადოებასთან დაკავშირებულ კვლევებსა და პრაქტიკულ პროექტებში არ არის გათვალისწინებული ის განსაკუთრებული ვითარება, რომელშიც იმყოფებიან ქალები.

პეკინის კონფერენციის ჩატარების შემდეგ მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქალთა პრობლემების გაგება. 1995 წლის შემდეგ ქალები საკუთარი პრობლემებით პირდაპირ მიდიან ხელისუფლებასთან და ტელეკომუნიკაციის სტრუქტურებთან. ქალთა მონაწილეობამ პეკინის შეხვედრის მზადებაში როგორც რეგიონალურ, ასევე მსოფლიო დონეზე, ხელი შეუწყო ქალთა გაერთიანების შექმნას, სადაც ფიქრობენ გენდერულ საკითხებსა და ქალების ადგილზე ICT პოლიტიკაში.

პირველი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც განხილეს საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობები და მათი როლი განვითარებად ქვეყნებში, იყო ქალთა კომიტეტის მიერ 1997 წელს ჩატარებული კონფერენცია - „გლობალური ცოდნა“ (**GC97**). სპეციალურად შეიქმნა კონფერენციის - „გლობალური ცოდნა“ - ჩასატარებლად, სხვადასხვა ორგანიზაციისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინტენსიური ლობირების შედეგად კონფერენციაზე მრავალი მონაწილე შეიკრიბა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა გეგმაში - „განვითარება ცოდნის შედეგად“ - ქალების ჩასართავად. კონფერენციის მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართული გენდერული თანასწორობის, პარტნიორობისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკითხზე კანონის მიღებაში, რომელშიც აღნიშნულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ზოგიერთი პრინციპი და ხაზგასმულია მამაკაცთა და ქალთა თანასწორი მონაწილეობა ICT-ის გამოყენებისათვის.

მალე წარმოიშვა ახალი ტენდენციებიც. რეზილუციის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წელს, ტელეკომუნიკაციის განვითარების საკითხებზე ორგანიზებულ მსოფლიო კონფერენციაზე, შეიქმნა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის განვითარების სექტორთან არსებული სპეციალისტების სპეციალური ჯგუფი (Task Force). მის ამოცანებში შედიოდა განვითარებად ქვეყნებში ქალებისა და მამაკაცების თანასწორობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციული საზოგადოების გამოყენებისათვის.

2000 წელს, მეორე მსოფლიო კონფერენციის - „გლობალური ცოდნა“ (GK97) მიმდინარეობისას, გენდერულ საკითხებთან, ცოდნასა და ინფორმაციასთან დაკავშირებული აქტივობების დონე იმდენად მაღლალი იყო, რომ კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ქალთა ფორუმი, რომელზეც შეთავაზებულ იქნა მთელი რიგი რეკომენდაციები. პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო გეგმის მიმოხილვისა და შეფასებისას (პეკინი +5, ივნისი, 2000 წ.) ICT-ის ეფექტური გამოყენება ძირითად ამოცანად იქნა წარმოდგენილი სამომავლოდ ქალთა განვითარებისა და დაწინაურებისთვის. 2000 წლის ივლისში საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირმა, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) და გაეროს ქალთა ფონდმა (UNIFEM) ხელი მოაწერა ურთიერთშეთანხმებისა და თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ეხებოდა გენდერულ თანასწორობას ტელეკომუნიკაციისა და ICT პოლიტიკის განვითარებაში.

2001 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა დააფუძნა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაღლალკალიფიციურექსპერტთა სპეციალური ჯგუფი, რომელმაც შეადგინა 2001 წლის ნოემბერში დამტკიცებულისამოქმედო გეგმა, სადაც მკაფიოდ იყო წარმოდგენილი გენდერული პერსპექტივები.

ექსპერტთა სპეციალური ჯგუფის ამოცანას წარმოადგენდა „გაეროს წამყვანი როლის უზრუნველყოფა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისათვის სტრატეგიის შესამუშავებლად და ამ ტექნოლოგიების გამოყენება ყველა დაინტერესებული მონაწილისა და გაეროს წევრი ქვეყნების კონსულტაციის საფუძველზე, ასევე სტრატეგიული პარტნიორობის შექმნა გაეროს სააგენტოებს, კერძო მეწარმეებს, ფინანსურ ტრესტებს, დაწესებულებებსა და დონორებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ ქვეყნების პროგრამებსა და სხვა მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებს შორის, გაეროს რეზოლუციების შესაბამისად“.

ტელეკომუნიკაციის განვითარების მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 2002 წელს, მარტის თვეში, გადაწყდა შექმნილი იყო ტელეკომუნიკაციის განვითარების სექტორში გენდერული ქვეგანყოფილება (ITU-D), ამორგანიზაციის მუშაობაში უპირატესობა მიენიჭებინათ გენდერული საკითხებისთვის და ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი გენდერულ საკითხებში გარდაექმნათ ტელეკომუნიკაციების განვითარების სექტორთან არსებულ მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფად. კონფერენციაზე, ასევე, გადაწყდა ხელი შეწყობოდა ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის მუშაობას და მის თემატიკაში გენდერული პერსპექტივების ჩართვას.

2002 წლის ნოემბერში, სეულში, ქალთა დაწინაურების საკითხებში გაეროს ქვეგანყოფილებამ (DAW) ჩაატარა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპერტთა ჯგუფის (EGM) შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებმა მოიყვანეს უამრავი მაგალითი იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ზოგიერთი ქალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საკუთარი თავის დაწინაურებისათვის. ამასთანავე, აღნიშნეს, რომ ასეთი მაგალითები ერთეულია და იშვიათად გვხვდება. უმთავრესი პრობლემა ICT პოლიტიკაში გენდერული ანალიზისა და შესაბამისი პროგრამების არარსებობაა. უფრო მეტიც, მრავალი ქალისთვის, არსებული შიდა ბარიერების გარდა, როგორიცაა: ტექნოლოგიების წინაშე შიში, ნაკლები თვითდაჯერებულობა და ა.შ. რომელიც ხელს უშლის გამოიყენონ საინფორმაციო-საკომუნიკაციის ტექნოლოგიები, არსებობს სპეციფიკური სტრუქტურული გენდერული ბარიერები, რომელიც საშუალებას არ აძლევს ქალებს, ისევე, აქტიურად ისარგებლონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, როგორც მამაკაცებმა. ასეთი ბარიერია მამაკაცებსა და ქალებს შორის უთანასწორობა გადაწყვეტილების მიღების დონეზე, რაც ხელს უშლის ქალებს განიხილონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განვითარების საშუალებად. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისაგან ქალების იზოლაცია მიანიშნებს იმასაც, რომ მათ მცირე შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ განათლება ან მოეწყონ სამსახურში, არ ექნებათ ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემასა და სხვა სოციალურ სამსახურებთან, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს არსებულ გენდერულ უთანასწორობას.

იუნესკოს ერთ-ერთ საკვანძო პროგრამას წარმოადგენდა პროგრამა „ქალები და მასმედია“, რომლის ფარგლებში მოქმედებდა ორი სპეციალური პროექტი - „ქსელში მომუშავე ქალები“ და „ქალები ესაუბრებიან ერთმანეთს“ (რადიო სოფლად მცხოვრებლებისთვის ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში, 1996 წ.). პროგრამის - „ქალები და მასმედია“ - მეშვეობით ორგანიზაცია ცდილობდა დახმარებო-

და წევრ ქვეყნებს განევითარებინათ კომუნიკაციის, ინფორმაციისა და ინფორმაციული შესაძლებლობები პრაქტიკულ და პოლიტიკურ სფეროებში. პროგრამები მოიცავდა კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ყველა ფორმას, დაწყებული სოფლის უბრალო რადიოპროგრამებით, დამთავრებული ყველაზე ახალი მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებით. იუნესკოს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ყველა შესაძლო საშუალების გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაფართოვებლად. პროგრამა რეალურად დახმარებოდა ქალებს და ხელი შეეწყო მათი აქტიური მონაწილეობისთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალებმა გაიარეს ტრენინგები ახალი ამბების გაშუქების, მენეჯმენტის, სოფლისა და სათემო ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების საკითხებზე. გარდა ამისა, ორგანიზაცია აქტიურად აკვირდებოდა სქესთა უთანასწორობის სტატისტიკურ მონაცემებსა და მაჩვენებლებს.

საზოგადოების განევითარებისა და ტრანსფორმაციისათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლის გათვალისწინებისას „ციფრული დაყოფის“ პრობლემა იქნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას. აუცილებელია, რომ ICT-ის მიღწევები ქალებისათვის იყოს ხელმისაწვდომი და იქცეს ძირითად საშუალებად სქესთა თანასწორობის განევითარებისა და უფლებამოსილების გაფართოებისათვის.

ამიტომ, იუნესკო ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის ფარგლებში დიალოგის, გენდერულ საკითხებზე მსჯელობისათვის იწვევს ყველა მნიშვნელოვან მხარეს, მათ შორის ხელისუფლების, პროფესიული გაერთიანებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ორმხრივ და მრავალმხრივ პარტნიორებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს უფრო ფართო კონტექსტით სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული საინფორმაციო საზოგადოების შესაქმნელად.

#### საგარაუდო კითხვები ჯგუფებში განსახილველად (იხ. ცხრილი 1 და 2)

1. არსებობს თუ არა ინფორმაციული საზოგადოების ცნება თქვენს ცხოვრებაში?
2. რაში გამოიხატება ეს?
3. რა ნაკლი აქვს?
4. რაში მდგომარეობს ციფრული დაყოფის ნეგატიური მხარეები?
5. როგორ შეიძლება ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის პეკინის პლატფორმის შედეგების გამოყენება ქალთა სრულუფლებიანობისათვის?

**მეთოდიკის ვარიანტები (იხილეთ ნაწილი „როგორ გამოვიყენოთ მოცემული სახელმძღვანელო“ ძირითად შემოთავაზებულ მეთოდიკასთან შესადარებლად).**

1. ინტერაქტიული ლექცია
2. ჯგუფური განხილვები და გამოსვლები
3. ცალკეული მაგალითების განხილვა
4. „ტვინის შტურმი“



# გოლული ॥

## საერთაშორისო ორგანიზაციები და ინიციატივები

### • შინაარსი და ძირითადი ამოცანები

მეორე მოდულში საუბარია საერთაშორისო მონაწილეებსა და მათი ინიციატივების შესახებ. უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა ქსელებსა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, კერძოდ, „ციფრული დაყოფის“ აღმოფხვრისათვის მიმართული საერთაშორისო ინიციატივები. ამავე დროს, იქმნება სულ უფრო და უფრო მეტი საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი, როგორიცაა გაეროს ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით და ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც დაფუძნდა დიდი რვიანის სამიზნები ციფრულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მოდულში წარმოდგენილია ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე ძირითადი საერთაშორისო მონაწილენი და მათი ინიციატივები.

### პირველი ნაწილი: ICT-ის როლი განვითარებაში

ამ ნაწილში განხილება საერთაშორისო კონტექსტი, რომელშიც მიმდინარეობს ICT-ის პოლიტიკა და მისი კავშირი საერთაშორისო განვითარების პროცესებთან.

განსაკუთრებითაა ხაზგასმული ის ამოცანები, რომელიც განვითარების სექტორსა და ეროვნულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წინაშე გადაწყვეტილების მიმღებ საერთაშორისო საზოგადოების დონეზე დგას, ასევე, შუქდება დაინტერესებულ მხარეთა ახალი მიდგომები და ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიზნის მზადების პროცესი.

### მეორე ნაწილი: ICT და გენდერული საკითხები

მოდულის მეორე ნაწილში განხილულია შესაძლებლობები, ამოცანები და რისკები, რომელიც უკავშირდება ICT-ის გავრცელებასა და ICT-ის სექტორის ზრდას გენდერული პერსპექტივების თვალსაზრისით. „ციფრული დაყოფის“ მსგავსად, საჭიროა „გენდერული დაყოფის“ გათვალისწინება. საერთაშორისო და ეროვნულ სამოქმედო გეგმების შედეგენისას ICT პოლიტიკის განვითარებისათვის. მოყვანილია „გენდერული დაყოფის“ ხასიათები და ICT პოლიტიკის დიფერენცირებული სოციალური და ეკონომიკური გავლენა მამაკაცთა და ქალთა ცხოვრებაზე; შეთავაზებულია ICT-თან ქალთა ხელმისაწვდომობის გაფართოების გზები შესაბამის პირობებში. განხილება შესაბამისი გარემოს შექმნის ელემენტები, რომელიც ხელს შეუწყობდა სქესთა თანასწორობას და აღმოფხვრიდა დისკრიმინაციას.

**საათების რაოდენობა:** 4-6 საათი (დამოკიდებულია მოდულის პირველ ნაწილში განხილულ ICT-თან დაკავშირებულ ინიციატივების რაოდენობაზე).

### დამხმარე მასალა:

### • ინფორმაციული საზოგადოების მონაწილენი ხელისუფლება

ეროვნული შემოსავლების დონისა და ინფრასტრუქტურის მიუხედავად ყველა ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული, რათა მათ ქვეყანაში განვითარდეს ინფორმაციული საზოგადოება. მათ უნდა ითამაშონ ძირითადი როლი, რათა უზრუნველყონ ინფორმაციული საზოგადოების უპირატესობით სარგებლობა ყველა მოქალაქისათვის, ასევე, განავითარონ ეროვნული და გლობალური პოლიტიკა და სტრუქტურა, რომელიც ინფორმაციული საზოგადოების ამოცანებს წყვეტს. იმისათვის, რომ მოსახლეობა დაინტერესდეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მთავრობებმა უნდა აამაღლონ მოსახლეობის ინფორმირებულობა, გააფართოონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ასევე, საფუძველი ჩაუყარონ მოსახლეობის მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებას, რაც საშუალებას მისცემს მათ გაიუმჯობესონ ცხოვრება, სოციალური მომსახურება და უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა.

მსოფლიო სამიტის გლობალური ხედვის პოლიტიკური მხარდაჭერა ინფორმაციული საზოგადოების შექმნაზე მთელი სიცხადით გამოვლინდა 2003 წლის 10-12 დეკემბერს, უნივერსიტეტი, როდესაც მთელი მსოფლიოს ხელმძღვანელებმა, მათ შორის, სახელმწიფოთა და მთავრობათა 40-მა პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა, 175 ქვეყნის მაღალი წილების დელეგატმა მონაწილეობა მიიღო საინფორმაციო საზოგადოებზე ჩატარებულ მსოფლიო სამიტის პირველ ეტაპზე. ინფორმაციული საზოგადოების შესახებ ჩატარებულ მსოფლიო სამიტის მეორე ეტაპზე, რომელიც 2005 წლის 16-18 ნოემბერს გაიმართა, ტუნისში, ასევე, მონაწილეობა მიიღო სახელმწიფოთა და მთავრობათა 40-ზე მეტმა პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა, რათა დამტკიცებინათ უნივერსიტეტის სამიტის შედეგები და მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზების შემდგომი აუცილებლობა.

### კერძო სექტორი

მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად კერძო სექტორი აქტიურ როლს თამაშობს ინფორმაციულ საზოგადოებში. ის სთავაზობს მთელს მსოფლიოში განვითარების ამოცანათა გადაჭრის ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან მოდელს. კერძო სექტორი ხელს უწყობს მატერიალური პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს გლობალურ ხელმისაწვდომობას ინფორმაციასა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისთან. კერძო სექტორის მონაწილეობა სამიტში ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას, ის ეხმარება ტექნოლოგიების გავრცელებასა და ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას, ასევე კვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნას ადგილზე და განვითარების სტიმულირებას.

კერძო სექტორი მონაწილეობდა საერთაშორისო საგაჭრო პალატასთან (ICC) არსებული ბიზნეს პარტნიორობის საკონფიდენციალური კომიტეტის (CCBI) ინიციატივით.

### სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოება აქტიურ როლს თამაშობს თანამედროვე ტენდენციების სოციალურ და კულტურული შედეგების განსაზღვრაში, პასუხისმგებელია მიიღოს დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სტრუქტურული გადაწყვეტილება ყველა დონეზე. სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვნებისა და სხვადასხვა საკითხებისადმი მისთვის დამახასიათებელი პრაქტიკული მიდგომის წყალობით, ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო პარტნიორობის პროცესებში, რისკნაც მოუწოდებს გაეროს გენერალური მდივანი.

მოსამზადებელი კომიტეტის მეორე მოსამზადებელ სხდომაზე (PrepCom-2 ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის უნივერსიტეტის ეტაპი) შეიქმნა „სამოქალაქო საზოგადოების საკითხთა ბიურო“. მას უნდა შეემუშავებინა დიალოგის წარმოების მექანიზმები მთავრობებთან და უზრუნველყო ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის გადაწყვეტილებების მიმღებ ძირითად სტრუქტურებში სამოქალაქო საზოგადოების პროდუქტიული მონაწილეობა. სამოქალაქო საზოგადოების საკითხთა ბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ სამოქალაქო საზოგადოების მსხვილი გაერთიანებები, როგორიცაა: სხვადასხვა კავშირი, მასმედია, კულტურის მუშაკები, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები გენდერულ საკითხებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, უბრალო ადამიანები და ა.შ. მასში შევიდნენ, ასევე, სხვადასხვა მრჩევლები (მაგალითად, ადამიანის უფლებათა და ინტერენტის მართვის საკითხებში და ა.შ.) და კონკრეტული წარმომადგენლობები, რათა უზრუნველყონ კავშირი ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის.

სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლობა მიიღეს მონაწილეობა სამიტის ორივე ეტაპის გახსნაში, უნივერსა და ტუნისში.

ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტის, პირველი, უნივერსიტეტის უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე, სამიტის პრეზიდენტს, მის ადმატებულება ბატონ პასკალ კუშპენს (Pascal Couchebin), წარედგინა სამოქალაქო საზოგადოებაზე უნივერსიტეტის დეკანარაცია „ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება კაცობრიობის საჭიროებებისათვის“. ანალოგიურად, ტუნისის პლენარულ სხდომაზე ბიუროს წარმომადგენელმა სამოქალაქო საკითხებში, გ. ადამა სამასეკუმ (Adama Samasséku) დამტკიცა სამოქალაქო საზოგადოებაზე ტუნისის დეკანარაცია.

### გაერო

მსოფლიო თანამეგობრობის სამიტზე შეთავაზებულ იქნა უნიკალური შესაძლებლობა გაერანლიზებინათ, ემსჯელათ და მოქმედინათ საერთო მომავლის ფორმულირება, ვინაიდან დღეს, როგორც არასდროს, ისეა ყველა ქვეყნა და ერთმანეთთან დაკავშირებული. გაეროს თანამეგობრობა, რომელიც საერთო მიზნების მისაღწევად აერთიანებს სხვა-

დასხვა ქვეყნის მთავრობას, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო საზოგადოებას, წარმოადგენს ცვლილებათა კატალიზატორს. გაეროს მთელი სისტემა და მისი სპეციალიზირებული სააგენტო აქტივურად მონაწილეობდა სამიტის ორგანიზებისა და ჩატარების პროცესში და აგრძელებს მონაწილეობას მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განსახორციელებლად.

### **სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები**

სამიტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნა ყველა დაინტერესებული საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაცია, რომელიც არ შედის გაეროს შემადგენლობაში. ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით დაინტერესდა სამიტით, მაგალითად, ევროპის საბჭო (2004 წელს ძალაში შევიდა კონვენცია კიბერ-დანაშაულის შესახებ) და ფრანკოფონო-არაბული ლიგა. სამიტში მონაწილე საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების სრული ნუსხა შესაძლებელია მოვიძიოთ უენევისა და ტუნისის სამიტის მონაწილეთა სიაში.

**საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU)** წარმოადგენს გაეროს მთავარ სააგენტოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საკითხებში. ის არის საკოორდინაციო ცენტრი მთავრობებისა და კერძო სექტორისათვის კომუნიკაციისა და შესაბამისი მომსახურების განვითარების საკითხებში. უკვე 145 წელია საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი კოორდინირებას უწევს რადიოსისტერების ერთობლივ გამოყენებას, ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას სატელიტური ორბიტების მოპოვებაში, მუშაობს ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის განვითარებად ქვეყნებში, აწესებს მსოფლიო სტანდარტებს საიმედო ურთიერთკავშირებისათვის განსხვავებულ საკომუნიკაციო სისტემებს შორის და ხელს უწყობს თანამედროვეობის გლობალური პრობლემების - გლობალური დათბობისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისას უსაფრთხოების ამაღლების - ერთობლივ გადაწყვეტას.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი ორგანიზებას უწევს, ასევე, მსოფლიო და რეგიონალურ გამოფენებსა და ფორუმებს, მაგალითად **ITU TELECOM WORLD**, სადაც იწვევენ მთავრობისა და სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინდუსტრიის გავლენიან წარმომადგენლებს იდეების, ცოდნისა და ტექნოლოგიების გასაცვლელად მსოფლიო თანამეგობრობის საკეთილდღეოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) მუშაობს თანამედროვე მსოფლიო ყველა სახეობის კავშირზე, ინტერნეტის ფართობლობანი არხიდან დაწყებული დამთავრებული უკანასკნელი თაობის უკაბელო ტექნოლოგიებით, კოსმოსური და საზღვაო ნავგიაციიდან - რადიოსასტრონომიასა და თანამგზავრულ მეტეოროლოგიამდე, ფიქსირებული და მობილური ტელეფონების კონვერგენციის<sup>25</sup>, მისაწვდომობის, მონაცემთა გადაცემის, ხმოვანი კავშირისა და ინტერნეტით ტელე-ტრანსლაციიდან - მომავალი თაობის კავშირის სისტემებამდე.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) სათაო ცენტრი მდებარეობს შვეიცარიაში, უენევაში. კავშირში 191 სახელმწიფო, 700-ზე მეტი სექტორის წევრი და ასოციირებული წევრია.

### **ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი ციფრულ შესაძლებლობებზე**

ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი ციფრულ შესაძლებლობებზე (dot force) შეიქმნა მსოფლიო ინფორმაციული საზოგადოების შესახებ ოკინავას ქარტის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა კიუშუ-ოკინავას სამიტზე (Kyushu-Okinawa Summit). ეს ჯგუფი მუშაობდა საერთაშორისო ციფრული დაყოფის აღმოფხვრისა და 2001 წელს იტალიის ქალაქ გენუაში დაგეგმილ დიდი რვიანის სამიტის ანგარიშის მომზადებისათვის კონკრეტული ნაბიჯების შესასწავლად.

ექსპერტთა სპეციალური ჯგუფის საინგურაციო სხდომა (dot force) შედგა 27-28 ნოემბერს, ტოკიოში. მასში მონაწილეობდნენ მთავრობების, კერძო სექტორის, დიდი რვიანის ჰუმანიტარული ორგანიზაციების, ასევე, განვითარებადი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომა მიმდინარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ იოშიკი ნოგამის (Yoshiji Nogami) თავმჯდომარეობით. ძირითადი დისკუსია სხდომაზე გაიმართა შემდეგ საკითხებზე:

- 1) საერთაშორისო ციფრულ დაყოფასთან დაკავშირებული არსებული ვითარების განხილვა;

<sup>25</sup> კონვერგენცია - სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემის, მათი სტრუქტურების თანდონიბითი დაახლოება ურთიერთკავშირის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე, არსებითი წინააღმდეგობების გადალახვა და სერთო მახასიათებლების შექმნა, რაც განსაკუთრებით აქტიურდება სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესების ვითარებაში. იხ: სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი; 2004; გვ. 135;

ამ შემთხვევაში სატელეკომუნიკაციო ქსელების კონვერგენცია ნიშნავს რამდენიმე, ადრე დაყოფილ მომსახურების ერთ მომსახურებად გაერთიანება. მაგალითად Triple Play - ტელეფონის, ინტერნეტის, ტელევიზიის ერთ საკაბელო ინტერნეტ-ჩართვად გაერთიანება.

2) სპეციალური ჯგუფის შემდგომი მუშაობის გრაფიკის შედგენა.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო იყო 2001 წლის თებერვალში, ან მარტის დასაწყისში, ერთ-ერთ განვითარებად ქვეყნაში მეორე სხდომის ორგანიზება, ხოლო მესამე სესიის ჩატარება საჭირო იყო დაგეგმილი 2001 წლის მაისის ბოლოს იტალიაში.

## • ციფრული და გენდერული დაყოფა

### მდგომარეობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში

ისტორიულად ისე მოეწყო, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ქალების განათლების დონე ისეთივე მაღალი იყო, როგორც მამაკაცების. გარდა ამისა, არსებობდა ძველი ტრადიცია, რომ ქალები მუშაობდნენ სახლის გარეთ და შეადგენდნენ ტექნიკურ მომსახურეთა, ნასწავლთა და ინჟინერთა დიდ უმრავლესობას (1998 წლის მონაცემებით 13% ქალები და 10% მამაკაცები). ქალთა განათლების საერთო მაღალი მაჩვენებელი ამ ქვეყნებში ქმნის პოტენციალს საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში ქალთა წინსვლისთვის.

90-იან წლებში ამ ქვეყნების ეკონომიკა დაზიარალდა საფინანსო სტრუქტურებში გაუთვალისწინებელი ლიბერალიზაციის შედეგად, რაც ასევე უარყოფითად აისახა ქალთა დასაქმებაზე. დღეს ქალთა დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მამაკაცთა დასაქმების მაჩვენებელს. სქესთა უთანასწორობის ახალი დონეები გარკვეული ხარისხით წარმოიშვა იმის შედეგად, რომ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური წყობის სახელმწიფოებში დაცული იყო ქალთა უფლებები, თუმცა ეს უფლებები მკაფიოდ არასდროს არ ყოფილა განსაზღვრული. ქალები და მამაკაცები ამ ქვეყნებში არ იყვნენ აქტიურად ჩართული სქესთა თანასწორობის პრინციპების განხილვაში, ხოლო ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში ნიღბავდა კულტურის კონსერვატიულობას, რომელიც ეფუძნებოდა მამაკაცთა დომინირებას. იმ დროს, როდესაც ამ ქვეყნების პოლიტიკა მიმართული იყო ქალთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ (მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებულ ქალთა მდგომარეობასთან შედარებით) ის მით უფრო არ აყენებდა ქალებს მამაკაცებთან თანასწორ პირობებში. დღეს ქალები გრძნობენ ცვლილებებს უკეთესობისაკენ, მაგრამ ჯერ კიდევ აქვთ მათი გამოცდილებისა და განათლების შესაბამის სამსახურში მოწყობის პრობლემები, განიცდიან დისკრიმინაციას სამსახურებში, იღებენ მამაკაცების საშუალო დონის ხელფასზე ნაკლებს, ასევე იმ მამაკაცების ხელფასზე ნაკლებს, რომლებიც იმავე სფეროში მათთან ერთად არიან დასაქმებული. ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისათვის ბევრი რამ კეთდება, რათა ამ ქვეყნებში განვითარდეს სქესთა თანასწორობა და გატარდეს პოლიტიკა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტისა და გაეროს პრინციპების შესაბამისად.

ქალთა მდგომარეობის გაუარესება 90-იან წლებში ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე აისახა მათვების ICT ხელმისაწვდომობაზეც. ქალებს შეეხოთ შემცირებების ძირითადი დარტყმა, ისინი მოხვდნენ საბაზრო ეკონომიკის ფსკერზე და მოუწიათ ოჯახის ბიუჯეტსა და სოციალურ დაბმარებებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა, ყოველივე ეს საზოგადოებაში ქალის როლის მკაცრად გაბატონებული ტრადიციული შეხედულებების ფონზე. ამ ფაქტორებმა გამოიწვია ამ ქვეყნებში ქალების შემოსავალის შეწყვეტა, მათ აღარ დარჩათ დრო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. მთლიანობაში აღმოჩნდა არასასურველი მდგომარეობა ICT შესაძლებლობების გამოსავლენად. მაგალითად, პოლონეთში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და მისით სარგებლობის შესაძლებლობა ქალებისა და გოგონებისათვის უფრო დაბალია, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებში. ინტერნეტის მომხმარებლებს შორის პოლონეთში ქალი სულ 18,7%-ია. ჩეხეთის რესპუბლიკაში 34%, უნგრეთში 47% და დასავლეთ ევროპაში 41%.

როგორც ყველგან, სქესი, გეოგრაფიული მდებარეობა (ქალაქი ან სოფელი) ოჯახური მდგომარეობა (მარტოხელა დედა) და ასაკი (40-46 წლის ასაკის ზემოთ ქალებისათვის ხელმისაწვდომობის დაბრკოლება) უქმნის ბარიერს ქალებს ICT-ის გამოყენებისათვის ხელმისაწვდომობისთვის. ეს ფაქტორები ღრმავდება სხვა მიზეზებითაც:

- მცირე შემოსავლების მქონე მოსახლეობისათვის იაფფასიანი ინტერნეტის ხელმიუწვდომლობა;
- რეგიონებში ინტერნეტ-პუნქტების მცირე რაოდენობა და ახალი უნარ-ჩვევების შესაძენად შეზღუდული შესაძლებლობა (ინფორმაციისა და ICT სფეროში ტრენინგების შეთავაზების სიმცირე), ასევე, საკომუნიკა-

ციონ ქსელის ნაკლები განვითარება და გაბატონებული აზრი, რომ ICT მამაკაცების სფეროს წარმოადგენს.

ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში მიიღეს (ან მომზადების პროცესში) ეროვნული სამოქმედო გეგმა საინფორმაციო პოლიტიკის შესახებ. ამ გეგმის საფუძველზე რეგიონალური ხელისუფლება საზოგადოების ყველა სფეროში დანერგავს ICT-ის კორპორატიულ, კერძო, საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო სფეროში, ის იქნება გათვალისწინებული ადმინისტრაციულ და ტელეკომუნიკაციის, ზოგიერთ შემთხვევაში უცხოური ინვესტიციებისთვისაც). ეს გეგმები ქვეყნებისათვის, რომლებიც აპირებენ ევროკავშირში შესვლას, ძირითადად შედგება „ელექტრონული ევროპის“ მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის საფუძველზე. ამ დოკუმენტებში ცალკე არ არის საუბარი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობაზე. სამწუხაროდ, ამ ქვეყნებში ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალებს, არ იცნობენ ინფორმაციული საზოგადოების გარშემო წარმოებულ პოლიტიკასა და დისკუსიებს. არ აქვთ მნიშვნელოვანი კავშირი გენდერულ და ICT სფეროში მომუშავე ინფორმაციული საზოგადოების შექმნის პროცესში მონაწილე სისტემასთან, რომელიც გლობალური ხასიათისაა და განსაკუთრებით აქტიურია აზისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. ინფორმაციასთან შეზღუდული ხელმისაწვდომობა ასევე მიანიშნებს, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრები ქალები ნაკლებად არიან ჩართული ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიზთან დაკავშირებულ ეროვნულ პროცესებში.

ICT პოლიტიკაში გენდერული მიმართულებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება ასევე გართულებულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ქალთა მონაწილეობაზე საკმარისი მონაცემების არქონის გამოც მიზეზი ისაა, რომ ამგვარი მონაცემები CEE/CIS (დას-სა და ევროპული ეკონომიკური კომისიის) ამ რეგიონში ძნელადმოსაპოვებელია, ყოველთვის სანდო არ არის და არ შეიცავს ინფორმაციას სქესთა თანასწორობის ხარისხზე. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ ანგარიში, სხვადასხვა სააგენტოს მიერ მომზადებული განსხვავდება თავისი ხარისხითა და სანდოობით. მონაცემები, ნაწილობრივ, აღებულია მეორადი და დაუსაბუთებელი წყაროებიდან და სავარაუდო ხასიათისაა. ამგვარმა მეთოდმა შესაძლებელია საბოლოო ჯამში მოგვცეს ICT - ის გამოყენებისას ქალთა მონაწილეობასთან დაკავშირებით (ან ინფორმაციულ საზოგადოებაში) საეჭვო და საპირისპირო სურათი.

დასასრულ, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ქალთა ICT - ის გამოყენების ხელმისაწვდომობას დამაბრკოლებელი ფაქტორები სცილდება ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებასთან დაკავშირებულ ჩარჩოებს.

### გენდერული თანასწორობა

მძლავრი საინფორმაციო სისტემა, ინტერნეტი მსოფლიოს დაპირდა დემოკრატიულ და თანასწორ საზოგადოებას, სადაც არ არსებობს გენდერული დისკრიმინაცია. თუმცა რეალური სურათი სულ სხვაგვარია. საქმე იმაშია, რომ სქესთა უთანასწორობა კომპიუტერულ სივრცეში, ისევე, ფართოდ არის გავრცელებული, როგორც რეალურ ცხოვრებაში. ძირითადად, ეს ხდება იმიტომ, რომ კომპიუტერული სივრცე არის სფერო, სადაც დომინირებენ მამაკაცები. ამ ფაქტს სერიოზული შედეგი აქვს ქალებისთვის, კერძოდ, ქალებს ახლოს არ უშვებენ ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, და თუ მაინც უშვებენ, მათ თავს ატყებებათ სქესთა დისკრიმინაციის, შეურაცხყოფისა და პორნოგრაფიის გრიგალი. (Dale Spender)<sup>26</sup>.

გაეროს კვლევის თანახმად, ელექტრონულ მთავრობას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ქალებისთვის, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ქალების ჩართულობა და მათთვის ტექნოლოგიების მეტი ხელმისაწვდომობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ მიიღებენ ინფორმაციას სამთავრობო საქმიანობისა და იმ პროექტების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მათ დახმარებას ჯანდაცვასა და სხვა სფეროებში. ეს ყოველივე კი მათივე კეთილდღეობისთვისაა გამიზნული.

გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ძნელად განსაზღვრავს ინტერნეტის მომხმარებელ ქალთა რიცხვს. ინტერნეტის მომხმარებელები განვითარებად ქვეყნებში არიან 35 წელს ქვემოთ მამაკაცები, რომლებმაც იციან ინგლისური, აქვთ კარგი განათლება და კარგი შემოსავალი. სამწუხაროდ, მცირეა საშუალებები არსებობს “გენდერული უთანასწორობის” რიცხვებში გამოსახატად, რაც დასტურდება, გაეროს 2005 წლის კვლევებით.

<sup>26</sup> დეილ სპენდერი (Dale Spender), - ავსტრალიელი ფემინისტი, სწავლული, პედაგოგი, მწერალი და კონსულტანტი; „Nattering on the net : women, power and cyberspace“ 1995; გვ.190;

ერთის მხრივ, ინტერნეტის მეშვეობით ხდება სხვადასხვა პროექტების პროპაგანდა, რაც ,უდავოდ, სა-სარგებლოა ქალებისა და გოგონებისთვის, მაგრამ ამასთანავე, ინტერნეტს ფართოდ გამოიყენებენ ქალებზე ძალადობისა და პორნოგრაფიის გასაცემელებლად. 2006 წლის მაისში, გაერთიანებულ სამეფოში Daily Mail-ის<sup>27</sup> მიერ ჩატარებული გამოკითხვიდან, ცხადი გახდა, რომ 9 მილიონ მამაკაცზე მეტი ზრდასრული მამაკაცების თითქმის 40 %), ისევე, როგორც 1.4 მილიონი ქალბატონი, დარეგისტრირებული იყო პორნოსაიტზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, "Secure Computing Corporation"-მა<sup>28</sup> დააფიქსირა 420 მილიონი ინდივიდუალური პორნო-საიტი 2005 წელს.<sup>29</sup>

ეკონომიკისა და სოციალური პროგრესის მაღალი დონე განაპირობებს ელექტრონული მთავრობის განვითარებას და გენდერულ წინსვლას. მაგრამ ეს ონლაინ საჯარო სერვისები, ვერ შეამცირებს უთანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის.

კომპიუტერული სივრცე, გენდერული დომინირების თვალსაზრისით, უდავოდ, მამაკაცთა ტერიტორიაა. ამ ფაქტს მრავალმხრივი ახსნა აქვს: ყველაზე თვალსაჩინოა ის, რომ მამაკაცების საქმე უფრო მეტად არის დაკავშირებული კომპიუტერთან და უფრო მეტ დროს ატარებენ მასთან, ვიდრე ქალები<sup>30</sup>. ვარაუდობენ, რომ მამაკაცების ინტერესი კომპიუტერისადმი მომდინარეობს იქიდან, რომ მათ ბავშვობაში კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარების მეტი შესაძლებლობა პქნდათ. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბიჭებს ექვსჯერ უფრო ხშირად ყიდულობენ კომპიუტერს, ვიდრე გოგონებს.<sup>31</sup> ასეთივე ტენდენცია ნარჩუნდება ზრდასრულ ასაკშიც. 3700 - მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ქსელის WWW (World-Wide Web) კითხვარში, რომელიც ჩატარა ჯეიმს პიტკოვმა და მიმი რეკერმა<sup>32</sup> ჯორჯის შტატის ტექნოლოგიების ინსტიტუტის პროფესორებმა (James Pitkow and Mimi Recker of Georgia Institute of Technology). მათ უნდა ეპასუხათ კითხვაზე, თუ როგორ იყენებენ ინტერნეტს. მომხმარებელთა 56% იყო 21-დან 30 წლის ასაკამდე, მათ შორის 94% იყო მამაკაცი.<sup>33</sup> ასეთი მაჩვენებლებით გასაკირი არ არის, რომ კომპიუტერულ სივრცეს უწოდებენ მამაკაცის ტერიტორიას. ძირითად მიზზად, რის გამოც ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი კომპიუტერულ სივრცეში, შეიძლება დასახელდეს ის, რომ მათ ხშირად უწევთ სხვადასხვა სერიოზული ბარიერის გადალახვა. ასეთი ბარიერია ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან ქალების „არ მიშვება“, ასევე, კომპიუტერის შეძნის, სწავლებისა და ინტერნეტით სარგებლობის ძვირადლირებულება. საშუალოდ, ქალებს, უფრო ნაკლები ფული აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. თუკი ქალები მაინც გადალახავენ პირველ ბარიერს და შეაღწევენ კომპიუტერულ სივრცეში, მათ ექმნებათ დაბრკოლება ელექტრონულ ქსელებსა და სხვა ტექნოლოგიურ საქმიანობებში მუშაობისას. ეს ხდება ქალების არასაკმარისი მომზადებისა და მათი დასაქმების შეზღუდვის გამო. კაბრერა-ბალეზამ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია Isis International-ში მუშაობს საკომუნიკაციო პროცესებში ქალთა მონაწილეობის საკითხებზე, დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალები ხშირად მუშაობენ მონაცემთა შეგროვებისა და ტექსტების დამუშავების სფეროში, ძალიან იშვიათად შეუძლიათ პპარატული უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებული სამსახურის შოვნა. ამ მომგებიან ინდუსტრიაში ისინი ყველაზე დაბალ საფეხურზე არიან, ვინაიდან დამსაქმებლებს მიაჩნიათ, რომ ქალები თავიანთი ოჯახური მოვალეობების გამო ხანგრძლად ვერ იმუშავებენ.<sup>34</sup>

ისევე, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ქალები სქესობრივი ნიშნით დისკრიმინირებული არიან კომპიუტერულ სივრცეშიც. ეს პორბლემა, ფართო გაებით, დაკავშირებულია სექსუალურ ზეწოლასა და პორნოგრაფიასთან. ხშირად, ქალები, აწყდებიან მათთვის სრულიად მიუღებელ სექსუალური ხასიათის ლექსებსა და ხუმრობებს, მტრულ შენიშვნებსა და პორნოგრაფიის მრავალრიცხვან ფორმებს. ეს პრობლემები თრგუნავს ქალებს და მოქმედებს მათ მამაკაცებთან ურთიერთობისასაც. დეილ სპენდერის<sup>35</sup> მტკი-

<sup>27</sup> Daily Mail – ერთ-ერთი პირველი ბრიტანული გაზეთი. დღეს ერთადერთი ყოველდღიური გაზეთია, რომლის მკითხველთა 50% ქალია;

<sup>28</sup> Secure Computing Corporation (SCC) – მსოფლიოში ლიდერი კომპანია, რომელიც მუშაობს ეროვნული უსაფრთხოების რისკების მართვის სფეროში. [www.securecomputing.com/](http://www.securecomputing.com/)

<sup>29</sup> გაეროს კვლევა „ელექტრონული მმართველობის ბერკეტები ეკონომიკის კრიზისის დროს“; 2010 წელი; <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan038851.pdf>

<sup>30</sup> იბ: დეილ სპენდერი (Dale Spender), 1995, გვ.116

<sup>31</sup> Anne Cole; Tom Conlon; Sylvia Jacksona; Dorothy Welch; Gender and Education: Information Technology and Gender. Problems and Proposals; [http://wiki.media-culture.org.au/index.php/Digital\\_Divide\\_-\\_Gender](http://wiki.media-culture.org.au/index.php/Digital_Divide_-_Gender)

<sup>32</sup> იბ. <http://portal.acm.org/citation.cfm?id=195688>

<sup>33</sup> იბ. [http://wiki.media-culture.org.au/index.php/Digital\\_Divide\\_-\\_Gender](http://wiki.media-culture.org.au/index.php/Digital_Divide_-_Gender)

<sup>34</sup> იბ. IPS Correspondents, 2003, gv.2.

<sup>35</sup> დეილ სპენდერი; გვ. 203

ცებით, ხშირად, სექსუალურ ზეწოლას იყენებენ როგორც საშუალებას, დააკავონ ქალები კომპიუტერული სივრცის, როგორც მამაკაცთა ტერიტორიის, საზღვრებს მიღმა.

კომპიუტერულ სივრცეში გენდერული უთანასწორობის კუთხით არსებული ძალზე ბევრი პრობლემა საჭიროებს გადაჭრას. ის ფაქტი, რომ ქალები ფლობენ ისეთივე ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და აქვთ ისეთივე ინიციატივები, როგორც მამაკაცებს, ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში თანაბარი მონაწილეობის მისაღებად, აღმოჩენა არ არის, თუმცა, სანამ მათ ექმნებათ პრობლემები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, სანამ ისინი აწყდებიან სექსუალურ დისკრიმინაციას და არსებობს პორნოგრაფია, გენდერული თანასწორობის პერსექტივები არასანუგეშოა.

### აქტუალურია თუ არა ისევ ციფრული დაყოფა?

შემთხვევაში იწვევს ციფრული დაყოფა, კერძოდ, მომხმარებელთა დაყოფა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფად და ქვეყნად ICT-ის გამოყენების მიხედვით. ეს აფერხებს შეიქმნას თანაბარულებიანი ინფორმაციული საზოგადოება. სწორედ ამიტომ, მიღებულ იქნა სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული მთელი რიგი ზომები. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში შემუშავდა წესები ორგანიზაციის ინფორმატიკურისა და საზოგადოებრივი სუბსიდიების შესახებ, ასევე შეთავაზებულ იქნა აფრიკისა და სხვა ქვეყნებისათვის (სადაც მისი გამოყენების დაბალი დონე) თანხის გამოყოფა ICT-ის გავრცელების მხარდასაჭერად. ამგვარი ჩარევის პოლიტიკის მოწინააღმდეგენი მიუთითებუნ, რომ ყოველი ახალი ტექნოლოგიის დანერგვა თავდაპირველად მდიდარ ქვეყნებში ხდებოდა და მისით სარგებლობდნენ უფრო შეძლებული მოქალაქეები. დროთა განმავლობაში უფრო ფართოდ ვრცელდება ICT ტექნოლოგიები და მცირდება სხვაობა მისი გამოყენებისას.<sup>36</sup> თუ ამგვარი მტკიცებანი სწორია ინტერნეტთან მიმართებაში, მაშინ ჩარევა იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც თავისთავად გადაწყვდება, საზოგადოებრივი სახსრების ტყუილი ხარჯვა იქნებოდა. გარდა ამისა, ამგვარი ჩარევა დაამახინჯებდა საბაზრო ურთიერთობებს საქონლის მწარმოებლებსა და მეწარმეებს შორის მომსახურების სფეროში. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ამგვარი არგუმენტაცია ეფუძნება (ზოგჯერ დაუსაბუთებლად) ვარაუდს, რომ ახალი ტექნოლოგიების გავრცელების შეყოვნება არც ისე გაართულებს არამომგებაში მდგომარეობაში მყოფ სოციალურ ჯგუფთა მდგომარეობას.

ისეთი არგუმენტები, რომელიც თავიდან მხოლოდ რიტორიკული იყო, ახალი მონაცემების შედეგად სულ უფრო შეუვალი ხდება. თანდათანობით ქრება ციფრული დაყოფა, რომელიც ჯერ კიდევ ხუთი წინ იწვევდა განგაშს. მაგრამ მათ შორის გენდერული ციფრული დაყოფა მაინც ყველაზე შესამჩნევია. 2002 წლის აშშ-ს მონაცემები მოწმობს ინტერნეტის მომხმარებელთა შორის გენდერული განსხვავების შემცირებას (NTIA 2002). ჩინეთში, ქვეყანაში, სადაც შედარებით გვიან დაიწყეს ინტერნეტის მოხმარება, შესაძლებელია დავაკვირდეთ თუ რა სწრაფად იცვლება სიტუაცია. 5 წლის განმავლობაში, 1997 წელთან შედარებით, მომხმარებელ ქალთა პროცენტი გაიზარდა 12-დან 39%-მდე (CNNIC 2002).

ალტერნატიული არგუმენტით თუკი, სავარაუდოდ, გაქრება ყველაზე უფრო ცხადი დაყოფა, კერძოდ, მომხმარებელთა ციფრული დაყოფა დემოგრაფიული პრინციპით, იქნება ნაკლებად შესამჩნევი. ეს ეხება ICT-ის ხელმისაწვდომობის ხარისხს, ეფექტური უნარ-ჩვევების ფლობას, ასევე, თუ როგორ აიოლებს ხელმისაწვდომობას საქონლობას და მომსახურებასთან ინტერნეტის მოხმარება. ეს განსხვავებები დაკავშირებულია სოციალურ ჯგუფთა პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ კუთვნილებასთან.

ზოგიერთი ადამიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ხედავს გამოსავალს, ფიქრობს, რომ ის არის სამსახურის მოძიების საშუალება, მისი არქონა კი აღრმავებს პრობლემებს. ამავე დროს, ბევრს ეპარება ეჭვი, რომ ნებისმიერ ტექნოლოგიას შეუძლია სიღარიბის დონის ან უთანასწორობის სხვა ასპექტების შემცირება. მიუხედავად ამისა, მიაჩნიათ, რომ მათი აღმოჩენა შეიტანს პოზიტიურ წვლილს ეკონომიკურ-სოციალურ აღორძინებაში.

### როგორ „განვსაზღვროთ“ ხელმისაწვდომობა

ხელმისაწვდომობა სოციალური მოვლენაა. იქამდე, სანამ ეს მოხდება, აუცილებელია, სულ მცირე, გავიგოთ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ინტერნეტი, რითა ის საინტერესო, როგორ უნდა მისი მოხმარება და რისი მიღწევა შეიძლება მისი დახმარებით. ადამიანთა უმრავლესობა ამას იგებს სამსახურში კოლეგებთან, მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობის პროცესში, ასევე წიგნების კითხვის, ტელეგადა-

<sup>36</sup> Thierer 2000; Compaine 2001; Fink and Kenny; 2003

ცემების ყურების, რადიოს მოსმენისა და სწავლის შედეგად. ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა სოციალური მოვლენაა, რადგან მან უნდა მოიტანოს სარგებელი ყოველდღიურ ცხოვრებაში, იქნება ეს მატარებელების განრიგის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დასასვენებელი საგზურის მიღება, მეგობრებთან ურთიერთობა, სამუშაოს შესრულება, უბრალოდ, თავისუფალი დროის გატარება.

ამგვარი გაგებით ტექნიკური ხელმისაწვდომობა (ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერთან სიახლოვე, მობილური ტელეფონები, ტელევიზორი და სხვა ICT მოწყობილობები) აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ხელმისაწვდომობისათვის. თუმცა, ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელმისაწვდომობის ხარისხის განსაზღვრისას. მაგალითად, ფართოზოლიანი არხი საშუალებას იძლევა რამდენიმე მონაწილესთან გქონდეს „რეალური“ ვიდეოურთიერთობა, მაშინ, როდესაც მობილური ტელეფონი, რომელიც აღჭურვილია მონაცემთა გადაცემის უკაბელო პროტოკოლით (Wireless Application Protocol (WAP)) სთავაზობს ეფექტურ ხელმისაწვდომობას ვებ-გვერდების მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას. მნიშვნელოვანია როგორ სოციალურ პირობებში ხორციელდება ასეთი ხელმისაწვდომობა. ეს ხდება ბიბლიოთეკაში, რომელიც მუშაობს განსაზღვრულ სამუშაო საათებში, თუ საკუთარ სახლში? შეზღუდულია თუ არა ინტერნეტის მოხმარების დრო მსურველთა მრავალრიცხოვნების გამო და მისაღებია თუ არა მოხმარების ფასი? არსებობს თუ არა შეზღუდვა ხელმისაწვდომობის მიზანზე, მაგალითად, ინტერნეტით აღჭურვილი ობიექტები და საზოგადოებრივი მოხმარების კომუნიკაციები ან მუშაობის რელევანტურობის შემოწმება სამუშაო ადგილზე? ამგვარი მოსაზრებით ქმნიან არა მხოლოდ ციფრულ დაყოფას ინტერნეტის არქონის ან არსებობის თვალსაზრისით, არამედ უფრო „კავშირის კონტინუუმს“<sup>37</sup> ('continuum of connectivity' (Mark Warschauer 2003).<sup>38</sup>

ხელმისაწვდომობის შესაძლებლობაზე ახდენს გავლენას, ასევე, მთელი რიგი ფაქტორები. მხედველობაში გვაქვს გარკვეული უნარ-ჩვევების აუცილებელი ფლობა. მაგრამ აქ უნდა განვასხვავოთ აუცილებელი წესები (მაგალითად სად განვათავსოთ მისამართი ელექტრონულ ფოსტაში) და უნარ-ჩვევები, როგორც სოციალური პრაქტიკის ფორმა, რაც მოცემულ შემთხვევაში ურთიერთობის ახალი საშუალებების შესწავლას გულისხმობს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს უნარ-ჩვევების ფლობას სულ უფრო მეტი ადამიანის მონაწილეობით „საზოგადოებრივ პრაქტიკაში“, სადაც ტექნოლოგიების გამოყენება და მისი საჭიროება საქმიანობათა ზოგიერთ სახეობებში ხელს უწყობს მთელ საზოგადოებაში შესაბამისი ცოდნის ფლობას (Jean Lave<sup>39</sup> and Etienne Wenger)<sup>40</sup>.

ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა და, საბოლოო ჯამში, ხელმისაწვდომობის ტიპი, დამოკიდებულია სარგებლობის უნარზე ფართო ხელმისაწვდომობის სისტემის არსებობიდან გარკვეული რაოდენობის მოხმარებელთა არსებობამდე. ის, ასევე, დამოკიდებულია უნარ-ჩვევებზე, რომლის განვითარებაც აუცილებელია. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემთხვევებში საუბარია პროგრამული ინტერფეისის ხასიათზე (Jan van Dijk)<sup>41</sup>.

უდავოდ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მართლაც შეძლებს მისით სარგებლობას, და თუნდაც ასე იყოს, ის არსებით გავლენას ვერ მოახდენს მის ცხოვრებაზე. ხელმისაწვდომობა ზოგჯერ დროებითა, ვინაიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ ადამიანმა შესაძლებელია დაკარგოს მისით სარგებლობის შესაძლებლობა ან ჩათვალოს, რომ არ ჰყოფნის ცოდნა მათ მოსახმარად. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ საბოლოო ჯამში, ადამიანმა გააკეთოს დასკვნა, რომ მისითვის ინტერნეტი არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ღირებულებას. არსებობს გადაწყვეტილების მიღების უამრავი ვარიანტი ადამიანებისთვის, რომელიც ინტერნეტის მუდმივი მოხმარებელი ხდებიან, მათ შორის, ინტერნეტისათვის და მოხმარების სხვადასხვაგვარობა. მასზე დამოკიდებულებით იცვლება ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაც. აქედან გამომდინარე იცვლება ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაც.

<sup>37</sup> კონტინუუმი – მოვლენების პროცესების უწყვეტობა; (აქ: უწყვეტი კავშირი); იხ: უცხო სიტყვათა ლექსიკონი; [www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20579](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20579)

<sup>38</sup> მარკ ვარშავერი (Mark Warschauer) - განათლებისა და ინფორმატიკის დეპარტამენტის პროფესიონალი კალიფორნიის უნივერსიტეტში. მჩქინებული ლაბორატორიის დამფუძნებელი და დირექტორი. მისი კვლევები ეხება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციას სკოლებსა და სათემო ცენტრებში. „Technology and Social Inclusion: Rethinking the Digital Divide“; 2003;

<sup>39</sup> უან ლავე (Jean Lave) – სოციალური ანთროპოლოგი;

<sup>40</sup> ეტიენ ვენგერი (Etienne Wenger) – წამყვანი ექსპერტი კომუნიკაციებში. ის იყო პიონერი „კომუნიკაციების პრაქტიკის“ კვლევაში და დიდი აღიარება აქვს მოპოვებული ამ სფეროში; მცნობერებათა დოქტორი ხელოვნური ინტელექტის სფეროში;. 1991;

<sup>41</sup> Jan van Dijk; სოციოლოგიისა და კომუნიკაციების მეცნიერებათა პროფესიონალი იცვლებს საზოგადოების სოციალურ ასპექტებს ახალ მედიაში; The Network Society: Social Aspects of New Media; 1999, 2nd edition 2005

ზოგისთვის ის არსებითად შეცვლის მის საქმიანობას, სხვებზე იმოქმედებს მხოლოდ ცხოვრების გარკვეულ ასპექტში. ცალკეულ პიროვნებასა თუ საზოგადოებისთვის ეს გავლენა ეკონომიკური ხასიათისაა, მაშინ, როდესაც სხვებისთვის შეიძლება მხოლოდ სოციალური იზოლაციისაგან თავის დაღწევის საშუალება იყოს.

იმისთვის, რომ უფრო ღრმად ჩავწედეთ ამ საკითხებს, აუცილებელია სიღრმისეული და თვისებრივი კვლევის ჩატარება. მიუხედავად ამისა, ახლაც შეიძლება გავაშუქოთ ზოგიერთი ასპექტი, თუკი გამოვიყენებთ ხელმისაწვდომობის ხარისხის შეფასების იმ საშუალებას, რომელიც ვახსენეთ ზემოთ და რომელსაც ჩვენ უფრო განზოგადებულად წარმოვადგენთ ქვემოთ, მოდულის შემდგომ ნაწილში.

ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც გავლენას ახდენენ გენდერულ დაყოფაზე:

- **ტექნიკური ხელმისაწვდომობა:** ხელმისაწვდომობა, რომლის დროსაც მამაკაცები და ქალები სარგებლობენ ინტერნეტში ჩართული მოწყობილობით, მნიშვნელობა აქვს მოწყობილობის ტიპსა და კავშირის ხარისხს;
- **ხელმისაწვდომობით სარგებლობის შესაძლებლობა:** ნაცნობები, რომელიც თვითონ სარგებლობენ ინტერნეტით და შეუძლიათ აუცილებლობის შემთხვევაში დახმარების გაწევა; საკუთარი უნარ-ჩვევების თვითშეფასება; კომუნიკაციის ან დისკორსორტის გრძნობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემის გამოყენებისას; განგაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სავარაუდო ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით (მაგალითად, თაღლითობა ან ვირუსები);
- **ხელმისაწვდომობით სარგებლობა:** არიან თუ არა მამაკაცები და ქალები ინტერნეტის მომხმარებლები; ინტერნეტით სარგებლობის ინტენსივობა და ხანგრძლივობა; მიზანთა სხვადასხვაობა, რომლისთვისაც გამოიყენება ხელმისაწვდომობა;
- **ხელმისაწვდომობის გამოყენების შედეგები:** ზოგიერთ შემთხვევაში ინტერნეტით სარგებლობამ შეცვალა მომხმარებლის საქმიანობის ხასიათი; ხელმისაწვდომობის საჭიროების შეფასება მისი გამოყენების ინტენსივობის თვალსაზრისით ახალი მიზნების მისაღწევად და გენდერული ქცევის სტერეოტიპების გასაძლიერებლად.

#### განსახილველი საკითხები:

1. როგორ აისახება ჩვენზე ციფრული დაყოფა?
2. რა დაბრკოლებები არსებობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დასაწერგად ჩვენს გარემოში?
3. რა ქმედებები უნდა იქნას მიღებული, რათა გადაიჭრას ეს პრობლემა?
4. ვინ შეიძლება იქნას ჩართული ამგვარ ქმედებებში?
5. როგორ ვაძლიერებთ ჩვენ თვითონ ციფრულ დაყოფას?

#### მეთოდიკა

- ინტერაქტიული ლექციები
- „ტვინის შტურმი“
- გეგმის შედგენა
- კონკრეტული სიტუაციების განხილვა
- საერთო სიტუაციების განხილვა
- საერთო და ჯგუფური დისკუსიები



# მოლუსი Ⅲ

## ელექტრონული დამოკრატია

შინაარსი და ამოცანები

მოდულში განიხილება ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობენ ინტერნეტის სფეროში, წყვეტის კოორდინაციულ ამოცანებსა და საერთაშორისო ნორმების შემუშავებით არიან დაკავებულნი.

სამუშაო საათების რაოდენობა: 3 საათი  
დამხმარე მასალა:

### • ელექტრონული დამოკრატია (ელ-დამოკრატია)

ელ-დამოკრატია არის ტერმინი, რომელიც წარმოადგენს სიტყვების - „ელექტრონული“ და „დამოკრატია“ - კომბინაციას. იგი გულისხმობს ისეთი ელექტრონულ საკომუნიკაციო ტერმინოლოგიის გამოყენებას, როგორიცაა ინტერნეტი, დამოკრატიულ ქვეყნებში დამოკრატიული პროცესების, რეპრეზენტაციული დამოკრატიის ან დამოკრატიის სხვა რომელიმე მოდელის განვითარებისათვის. ეს არის პოლიტიკური განვითარების პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაშია და აქტიური განხილვის საგანია ყველა მთავრობასა და საზოგადოებაში.

ეს ტერმინი ერთდროულად არის აღწერითიც და მითითებითიც. როგორც წესი, ელ-დამოკრატიის მომხრეები ისტრაფვიან პროცესი გახადონ ღია და გააფართოვონ მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა სოციალურ სფეროსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც საშუალებას მისცემს უფრო დიდი ზეგავლენა იქონის რაც შეიძლება მეტ ინდივიდზე პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისას, ასევე, გააძლიეროს გამჭვირვალობა და მთავრობის ანგარიშვალდებულება, ხოლო მათი სიახლოეს ხალხის საჭიროებებთან აამაღლებს მათ პოლიტიკურ ლეგიტიმურობას. ელ-დამოკრატია გულისხმობს ელექტრონულ ხმის მიცემას, მაგრამ ეს არ არის დამოკრატიული პროცესის განვითარების ერთადერთი ასპექტი.

ელ-დამოკრატია – ეს არის კიდევ რაღაც, რაც დაკავშირებულია კომპიუტერთან ან ციფრულ დამოკრატიასთან. ელ-დამოკრატიის განვითარების მიხედვით წარმოიშობა სამი მიმართულება, კერძოდ: სერვისებით ჰიპერ-ლოკალიზებული მომსახურეობები, მობილურობა, საზოგადოებრივ-ყოფითი გარემოს ურთიერთქმედება და ეფექტურობა. ელ-დამოკრატიის მოხსერები ინტერნეტ-ტექნოლოგიის გამოყენების, მისი მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის გაზრდის მომხრენი არიან. საზოგადოებრივი ვებ-გვერდები ან სამთავრობო ვებ-პორტალები ამარტივებს მონაცემთა ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს მოქალაქეებსა და მთავრობებს შორის კავშირს ყველა დონეზე. კავშირის დამყარება შესაძლებელი გახდა მსოფლიო ქსელის მეშვეობითა და მისი მუდმივი სრულყოფით, რაც, საბოლოოდ, მოქალაქეთა და მათ მთავრობათა კავშირის ტრანსფორმაციამდე მივიდა. ეს საზოგადოებრივი პორტალები გამოიყრებიან როგორც კატალიზატორები ერთიანი კომპიუტერული გარემოს თავისებურ წარმოებად გარდასაქმნელად, რომელშიც ინტეგრირებულია სოციალური სამსახური მოქალაქეებთა მონაწილეობით და ამგავრად ამყარებს დამოკრატიულ პროცესებს.

### • ელ-დამოკრატიის ფორმები და საშუალება

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა ელ-დამოკრატიის ფორმებისა და საშუალებების მნიშვნელოვანი ზრდა, ხოლო მათი დანერგვის მაჩვენებლებმა მრავალ კატეგორიაში მიაღწია მაღალ დონეს. ამ მონაცემების გაცნობა შესაძლებელია ვებ-გვერდზე **Nic Resources**. კერძო სექტორის პორტალები და პლატფორმები მოქალაქეებს სთავაზობენ ხელმისაწვდომობას მათთვის აუცილებელ გამჭვირვალე ინფორმაციაზე.

საზოგადოებრივი პორტალებით (ან პლატფორმებით) მთავრობებს შეუძლიათ განავითარონ და მართონ ქვეყანა ან მოიზიდონ რესურსები გარედან, ან გააფორმონ კონტრაქტები თვითდაფინანსების საფუძველ-

ზე. მოდელი გულისხმობს პორტალთა შექმნას, რომლის თვითდაფინანსება ხდება სარფიანი გადასახადის ხარჯზე ელ-დემოკრატიის განსაზღვრული ოპერაციისათვის. პირველი მონაწილეები ამ სფეროში იყვნენ govOne Solutions, First Data Government Solutions და NIC კომპანიები, რომლებიც თვითდაფინანსების მოდელის საფუძველზე შეიქმნა.

საზოგადოებრივი ქსელი – ეს არის ელ-დემოკრატიის ახლახან გაჩერილი სფერო. ქსელში შემავალი წერტილები მდებარეობს შორიახლოს მოქალაქეებისგან და ისინი საზღვრავენ ქსელში მონაწილეობის პირობებს. ელ-მთავრობის მომხრეებს მიაჩინათ, რომ მთავრობის მიერ გამოყენებული საზოგადოებრივი ქსელური გაერთიანებები შემაკავშირებელი რგოლია, რომელიც ეხმარება მთავრობას იმოქმედოს მოქალაქეებივით, მაგალითები შეიძლება იხილოთ ვებ-გვერდზე „The Official Commonwealth of Virginia Homepage“, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ იპოვონ Google-ის ინსტრუმენტალია და გახსნან საზოგადოებრივი ფორუმები.

მთავრობებსა და მათ წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ, ასევე, დააკმაყოფილონ რამდენიმე მოქალაქე მომსახურებით. List Servs<sup>42</sup>-ის დახმარებით, RSS feeds-ის<sup>43</sup> ჩატვირთვით, მობილური კავშირის მეშვეობით, შეტყობინების გაგზავნით, მთავრობის ბლოგებითა და მიკრო-ბლოგინგის სამსახურით მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ მოქალაქეებს მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია. მთავრობამ დაიწყო, ასევე, უინანსური ინფორმაციის წარდგენა. მეხაზინე ფრენკ ტ. კაპრიო როდ აილენდიდან ყოველდღიურად იუწყება შტატის ფულადი დინების შესახებ და დაინტერესებულ მოქალაქეებს შეუძლიათ ხელი მოაწერონ ამ ცნობებს. სახელმწიფო სააგენტოების სრული სია, რომლებიც ამგვარ ცნობებს იძლევა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე Real Life. Live document.

## • ელ-დემოკრატიის პრაქტიკული საკითხები

ელ-დემოკრატიის წარმატებას ძირითადად აბრკოლებს მოქალაქეთა იდენტიფიცირების პრობლემა. არჩევნების დაცულობის და მთავრობასა და მოქალაქეთა შორის სხვა ურთიერთკავშირის უზრუნველსაყოფად, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ იდენტიფიცირების რაღაც ფორმები, რომელიც უზრუნველყოფს საიდუმლოებას და დახმარება მათ ისარგებლონ ინტერნეტ-ფორუმებით. ანონიმური მიწერ-მოწერის უზრუნველყოფის აუცილებლობის პრობლემა, რომელიც, ამავე დროს, მონაწილეებს აძლევს დამატებით სტატუსს, შესაძლებელია გადაწყდეს განსაზღვრული კრიპტოგრაფიული მეთოდით.

კიდევ ერთი დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს ბევრი კანონიერი ინტერესები, რომლითაც შესაძლებელია ზარალის მიყენება უფრო სრული დემოკრატიის პირობებში. საუბარია პოლიტიკის, მედია-მაგნატების, დიდი ბიზნესისა და პროფესიონალური სხვა წარმომადგენლებზე. არსებობს ვარაუდი, რომ ეს ორგანიზაციები შეიძლება ელ-დემოკრატიის კონცეფციის აქტიური გამოყენების წინააღმდეგნი იყვნენ.

რობერტსის<sup>44</sup> „წესრიგის წესებში“ (Robert's Rules of Order) აღნიშნულია, რომ სათათბირო ასამბლეა უნდა ტარდებოდეს ერთდროულ აუდიო-ურთიერთობების ვითარებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში „შეიძლება წარმოიშვას საპარლამენტო კანონმდებლობაში უპრეცენდენტო სიტუაცია“, ტელე-კონფერენციის ან ვიდეო-კონფერენციის ჩატარების დროსაც კი აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს მონაწილეთა წარდგენა და მათთვის სიტყვის მიცემა. ჩვეულებრივ, საპარლამენტო კანონმდებლობას ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული ელექტრონულად საქმის წარმოების სტანდარტული პროცედურა.

## • მოქალაქეთა როლი ელ-დემოკრატიაში

დემოკრატიის პროცესში შეინიშნება სამოქალაქო სექტორის მონაწილეობის მზარდი ინტერესი, საზოგადოების აქტიური ნაწილი ელოდება მთავრობისაგან მეტ გამჭვირვალობას. ინტერნეტში არსებული ინფორმაციის მოცულობა მოქალაქეებს აძლევს საშუალებას იყვნენ უკეთ ინფორმირებულნი ხელისუფლების მოქმედებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ, ინტერაქტიული გარემო საშუალებას იძლევა ჰქონდეთ ურთიერთობის ახალი ფორმა ოფიციალურ პირებთან, რომელთაც მოქალაქეებმა მისცეს თავისი

<sup>42</sup> პირველი ელექტრონული პროგრამა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო ერთი ელ-ფოსტის გაგზავნა ერთდროულად რამდენიმე ადამიანისათვის. ამგვარ პროგრამას იყენებდნენ 1986 წლიდან. <http://en.wikipedia.org/wiki/LISTSERV>

<sup>43</sup> სპეციალური პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა ვებ-გვერდებზე განთავსებული ახალი ინფორმაცია გამოვიწეროთ და მივიღოთ ჩვენი ელექტრონული ფოსტით; <http://en.wikipedia.org/wiki/RSS>

ხმა. საკონტაქტო ინფორმაციის, საკანონმდებლო საქმიანობის, პოლიტიკური სტრატეგიისა და ღონისძიებათა გეგმების დამადასტურებელი ინფორმაცია ხელს უწყობს ხელისუფლების გამჭვირვალობას და, ნაწილობრივ, შესაძლებელს ხდის მის მონაწილეობას როგორც ავტონომიურ, ასევე არაავტონომიურ (ონლაინ) რეჟიმში. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ საიტიდან transparent.gov. ციფრული დემოკრატიის მომხრეები ამაში ხედავენ მართვის სტრატეგიას, რომელიც მიმართულია მოქალაქეთა საჭიროებების დაკმაყოფილებასა და განსხვავებულ მომსახურებაზე, რაც ამაღლებს ხელისუფლების რეაგირებასა და გამჭვირვალობას.

ონლაინ მომსახურებისა და ელ-დემოკრატიის პორტალის პროვაიდერები ეხმარებიან მთავრობებს და-ამყარონ კონტაქტი ფართო საზოგადოებასთან.

## • ინტერნეტი, როგორც პოლიტიკური შუამავალი

ინტერნეტი განიხილება, როგორც პლატფორმა და საშუალება, რომელიც აღმოფხვრის დისტანციურ პრობლემებს ლია დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოსალოდნელია, რომ ელ-დემოკრატიის დროს ტექნიკური საშუალებანი დაუკავშირდეს მობილურ ტექნოლოგიებს.

ნიშანდობლივი განსხვავება არსებობს ადრე გამოყენებულ საკომუნიკაციო საშუალებებსა და ინტერნეტს, როგორც პოლიტიკურ პროცესებში შეუძლია შორის. ინტერნეტის მთავარი თავისებურება მდგომარეობს „მრავალი მრავალთან“ ურთიერთობის საშუალებაში, მაშინ, როდესაც მასობრივი კომუნიკაციის ისეთი საშუალება, როგორიცაა რადიო და ტელევიზია, წარმოადგენს კომუნიკაციის ტიპს - „ერთი მრავალთან“, ხოლო ტელეფონი - „ერთი ერთთან“. გარდა ამისა, ინტერნეტი ფლობს გაცილებით ფართო კომპიუტერულ შესაძლებლობებს, როგორიცაა, მაგალითად, მონაცემთა ბაზების მართვა და გაშიფვრა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციაზე ფართო ხელმისაწვდომობისათვის და, ასევე, არჩევნების ჩატარების დროს თაღლითობის ასაცილებლად. გარდა ამისა, ინტერნეტი საშუალებას აძლევს ადამიანებს ითანამშრომლონ სინქრონულ რეჟიმში, ანუ, რაიმე საქმიანობის განხორციელებისთვის მათ სრულებით არ ესაჭიროებათ ფიზიკურად გარკვეული დროით სადღაც ყოფნა.

ინტერნეტი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად (ტრადიციული ქცევისგან განსხვავებით, როდესაც აგიტატორები დადიოდნენ ამომრჩევლებთან სახლში ან ურეკაგდნენ ტელეფონზე) უფრო იაფი და მოხერხებული ალტერნატივაა მრავალი პოლიტიკოსისათვის. დღეს მრავალმა კანდიდატმა დაიწყო საზოგადოებრივი საიტების გამოყენება ახალგაზრდებთან ურთიერთობისათვის და ამგვარად პოულობენ პოტენციურ მომხრეებს. კამპანიის ჩატარებისას არაავტონომიურ რეჟიმში (ონლაინ), აქტიურად გამოიყენება, ასევე, ელექტრონული ფოსტისა და პოლიტიკური ბლოგის სისტემა. ამომრჩევლებს შეუძლიათ კომენტარების გაკეთება, საკუთარი აზრის გამოხატვა პოლიტიკურ ბლოგებსა და ვებ-გვერდებზე. ფოსტისა და ტელევიზიის მეშვეობით წინასაარჩევნო აგიტაციის ტრადიციულ მეთოდზე გავლენა მოახდინა განცხადების ონლაინ რეჟიმში განთავსების ინტერაქტიულმა მეთოდმაც.

ინტერნეტში ინფორმაციის განთავსების/განახლების მომსახურების დაბალმა ღირებულებამ, ასევე, ამ ინფორმაციის ეფექტურობის პოტენციურად მაღალმა ხარისხმა ინტერნეტი გახადა მიმზიდველი დაინტერესებულ საზოგადოებრივ ჯგუფებსა და შედარებით დაბალბიუჯეტიან პოლიტიკურ პარტიებს შორის, პოლიტიკური ინფორმაციის გასავრცელებლად.

მაგალითად, საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის, რომელიც სოციალური ან გარემოს დაცვის საკითხებით არიან დაკავებულნი, ინტერნეტი შესაბამისი ინფორმაციის გასავრცელებლად გაცილებით მარტივი საშუალებაა, ვიდრე ტრადიციული ტელევიზია ან გაზეთი, რომელიც მოითხოვს დიდ ფინანსურ ხარჯებს. ყველა ამ ფაქტორის დახმარებით ინტერნეტმა პოლიტიკური კამპანიის ჩატარებისას შესაძლებელია ჩაანაცვლოს ტრადიციული საშუალებები, როგორიცაა ტელეფონი, გაზეთი და რადიო.

კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საიტი openforum.com.au, ავსტრალიური არაკომერციული ელ-დემოკრატიული პროექტი, რომელიც იწვევს პოლიტიკოსებს, მაღალჩინოსნებს, აკადემიკოსებს, ბიზნესის წარმომადგენლებს და ა.შ. პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის მისაღებად.

ახალი ხერხები საშუალებას აძლევს ბლოგერებს, ვებ-მასტერებსა და ინფორმაციის საშუალებათა სხვა მფლობელებს, ინტერნეტი საზოგადოების ორგანიზების საშუალებად გამოიყენონ და არა მხოლოდ

ინფორმაციული თვალსაზრისით, ამგვარ ახალ კონცეფციებს შორის შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, „საქმიანობის ინიციაციის” კონცეფცია, რომელიც საშუალებას აძლევს ვებ-მასტერებს მობილიზება მოახდინონ თავიანთი მომხმარებლების რაიმე საქმიანობისთვის ხელმძღვანელობის გარეშე.

## • ადგილობრივ დემოკრატიულ გაერთიანებათა ელექტრონული მხარდაჭერა

სამოქალაქო გაერთიანებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დემოკრატიულ პროცესებში. ისინი აძლევენ შესაძლებლობას ცალკეულ მოქალაქეებს მეტი გაიგონ პოლიტიკური მოვლენების შესახებ და ზოგიერთი თეორეტიკოსის, მაგალითად, ალექსის დე ტოკვევილის<sup>45</sup>(Alexis de Tocqueville) აზრით, წარმოადგენენ წყაროს არასახელმწიფოებრივ ხელისუფლებაში. საზოგადოებრივი პოლიტიკის მკვლევარი ჯორჯიის შტატის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, ჰანს კლეინი, აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ფორუმებში მონაწილეობისთვის მთელი რიგი დაბრკოლებები არსებობს, ისეთი, როგორიცაა შეკრება კონკრეტულ დროს კონკრეტულ ადგილზე. თავის ნაშრომში, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში სამოქალაქო ასოციაციებს ეძღვნება. კლეინმა, ასევე, აღნიშნა, რომ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენება მნიშვნელოვნად აფართოებს თავისი მისის შესასრულებლად ასეთი ორგანიზაციების შესაძლებლობებს.

## • ღირებულება და ნაკლი

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თავისთავად არც დემოკრატიულია და არც არა-დემოკრატიული, და არ ატარებენ ნორმატიულ ხასიათს. ისინი გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენენ (ზოგჯერ არაპოზიტურსაც კი, მაგალითად, ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლიათ წაახალი-სონ იძულებითი კონტროლი ან მონაწილეობა), თუმცა, გარკვეულ ინსტიტუციურ სტრუქტურებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან დააბრკოლონ ელექტრონული საშუალებების გამოყენება დემოკრატიული პროცესების სასიკეთოდ.

შესაბამისად, კომპიუტერიზაციის რისკები და შესაძლებლობები დემოკრატიულ პროცესებში ბევრად არის დამოკიდებული დემოკრატიული მოდელით არჩეულ კონკრეტულ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებზე (ჩვეულებრივ, კონსტიტუციით განისაზღვრება და მოიცავს სოციალურ კონტაქტებს, საკანონმდებლო სამართლის სპეციფიკურ ასპექტებს, რეპრეზენტირებულ ან პირდაპირ დემოკრატიას და ა.შ.).

## ღირებულება

თანამედროვე ტექნოლოგიები, ისეთი როგორც ელექტრონული მიმოწერა, თანატოლების ურთიერთობა ელექტრონული ქსელის საშუალებით, კოლლაბორატორიული პროგრამული უზრუნველყოფა, wikis<sup>46</sup>, ინტერნეტ-ფორუმები და ბლოგები - წარმოადგენს ელ-დემოკრატიის ზოგიერთი საკითხის პოტენციური გადაწყვეტის საშუალებას. მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის საიტი ორიენტირებულია იურიდიული საკითხებით დაინტერესებულ მომხმარებელზე, მოიპოვებენ ინფორმაციას ათასობით სამთავრობო ორგანიზაციისა და მრავალი პროვენილისაგან, და აერთიანებენ მონაცემთა ბაზაში.

ამგვარი საიტების მოხმარება მოსახერხებელია ბიზნესისათვის, ისინი ფართო საზოგადოებას აძლევენ შესაძლებლობას ადვილად და უფასოდ მიუწვდებოდეთ ხელი უკანასკნელ საინფორმაციო სიახლეებზე. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი შესაძლებელია იყოს საიტი Transparent-Gov.com, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ უფასოდ მიიღონ ინფორმაცია ქვეყნის რეგიონებში ჩატარებული სხვადასხვა სამთავრობო ინიციატივების შესახებ.

ელ-დემოკრატია მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს იოლად და წინააღმდეგობების გარეშე მოიპოვნ მთავრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მაგალითად, ინდიანას შტატის სატრანსპორტო ბიურომ (the Indiana Bureau of Motor Vehicles) გაამარტივა მძლოლების სერტიფიცირების დოკუმენტების გადაცემის პროცედურა საოქეო სასამართლოში. ინდიანა გახდა პირველი შტატი, სადაც ელექტრონული შტამპელის (Electronic Postmark) ტექნოლოგიის გამოყენებით ხდება სამთავრობო დოკუმენტების ხელმოწერა, ოფიცი-

<sup>45</sup> ალექსი დე ტოკვევილი (Alexis de Tocqueville) – მე-19 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი;

<sup>46</sup> ისეთი სერვერი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს თავისუფლად გააკეთოს ვებ-გვერდის რედაქტირება ნებისმიერი ვებ-ბრუზერის საშუალებით; [www.wiki.org/wiki.cgi?WhatIsWiki](http://www.wiki.org/wiki.cgi?WhatIsWiki)

ალური სერთიფიცირება და მიმღებისთვის მიწოდება. ალაბამას შტატის ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტმა, მაღაზიათა ქსელმა Wal-Mart და NIC შექმნეს ნადირობისა და თევზჭერის ლიცენზიბის გაყიდვის ელექტრონული სისტემა. პირველი ნადირობის სეზონის დროს Wal-Mart -ის მაღაზიებში გაიყიდა 140 ათასზე მეტი ლიცენზია. სააგენტო ამ სამსახურიდან ყოველდღიურად 200 000 დოლარის ოდენობის ეკონომიას იღებდა.

ელექტრონული დემოკრატიის კიდევ ერთ ლირებულებას წარმოადგენს ის, რომ საშუალებას იძლევა ახალგაზრდობა უფრო აქტიურად ჩართოს არჩევნებში. ელ-დემოკრატიასა და ხმის მიცემის ელექტრონულ სისტემას შეუძლია, ასევე, გამოასწოროს ბოლო დროს შემჩენეული ტენდენცია ამომრჩეველთა შემცირება. არჩევნებში მონაწილე ახალგაზრდა ადამიანთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, როგორიცაა კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. პოლიტიკურ პროცესებში ელექტრონულ მონაწილეობას შეუძლია მიიზიდოს მრავალი ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც სხვა შემთხვევებში ტრადიციული მეთოდი გაცილებით ხელსაყრელი და მიმზიდველი მიაჩნდათ. ელექტრონულ დემოკრატიას შეუძლია დემოკრატიულ პროცესებში აამაღლოს მონაწილეთა აქტიურობა, განათლების დონე, შეამციროს ამომრჩეველთა აპათია და გახდეს პოლიტიკური დისკუსიების საჭირო ნაწილი.

## ნაკლი

პოზიტიურ შედეგებთან ერთად, ზოგიერთ ტერიტორიულ ზონაში, ამ ტექნოლოგიას შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული პრობლემები, მაგალითად, მას არ შესწევს უნარი მხარი დაუჭიროს ახალ ინიციატივებს, ან დაიცვას „პიროვნული ძარცვისაგან“, ასევე პრობლემები, რომელიც უკავშირდება ინფორმაციულ გადატვირთვას და ვანდალიზმს.

ყველაზე ხშირი უთანხმოება ღია ელექტორონული დემოკრატიის წინააღმდეგ უკავშირდება მმართველი წრეების პოპულიზმა და დემაგოგიისაკენ სწრაფვის საფრთხეს. არსებობს უფრო რეალური უთანხმოებაც, მაგალითად ციფრული დაყოფა მათ შორის, ვისაც ხელი მიუწვდება ელ-დემოკრატიაზე და მათ შორისაც, ვისაც ის არ აქვს (მაგალითად, ინტერნეტი, მობილური ტელეფონი), ასევე ალტერნატიულ ღირებულებას-თან ელექტრონული დემოკრატიის უნარ-ჩვევების დანერგვისას.

## • ღია ელექტრონული დემოკრატიული საზოგადოება

ღია ელექტრონული დემოკრატია ეს არის ღია დემოკრატიის ფორმა, როდესაც ინტერნეტი და სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება რეფერენდუმთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცესების სრულყოფისათვის. მისი მომხრეები ამატებენ აქ სათათბირო პროცესების ტექნოლოგიურ სრულყოფილებასაც. ღია ელექტრონული დემოკრატია აღინიშნება აბრევიატურით EDD, მაგრამ გამოიყენება სხვა აბრევიატურებიც, რომლებიც, არსებითად ერთი და იმავე ცნებას წარმოადგენენ.

ღია ელექტრონული დემოკრატია გულისხმობს ხმის მიცემისა და რეგისტრაციის სხვა ფორმებს ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით. როგორც სხვა ნებისმიერ ღია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ღია ელექტრონულ დემოკრატიაში (EDD) საზოგადოება ფლობს უფლებას ხმა მისცეს კანონპროექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, შეადგინოს კანონპროექტები და დაითხოვოს თავისი წარმომადგენლები.

ღია ელექტრონული დემოკრატიის (EDD) მხარდაჭერის ტექნოლოგია შემუშავებულ იქნა ფლორიდის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. ეს ტექნოლოგია უკვე გამოიყენება ორგანიზაციის თანამშრომლებში. ყველაზე მნიშვნელოვანი მიმდინარე პროექტებს შორის არის პროექტი „მეტამთავრობა“ (Metagovernment).

ღია ელექტრონული დემოკრატია (EDD) როგორც სისტემა, მთლიანობაში ჯერ კიდევ არ არის მიღებული არსად მსოფლიოში, მაგრამ ზოგიერთი მასთან დაკავშირებული ინიციატივები უკვე ფორმირების სტადიაშია. აშშ-ს პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დროს პოსტზე 1992 და 1996 წლებში, როს პერო ემსრობდა ღია ელექტრონულ დემოკრატიას (EDD) და გამოვიდა „ელექტრონული მერიის“ შექმნის წინადადებით. ამ სფეროში გარკვეული წარმატებებია შვეიცარიაშიც, სადაც ნაწილობრივ უკვე არსებობს ღია დემოკრატია. ავსტრალიურმა პარტიამ Senator OnLine, რომელიც 2007 წლის ფედერალური არჩევნების დროს იბრძოდა სენატორობისათვის, შესთავაზია ღია ელექტრონული დემოკრატიის (EDD)

სისტემის დაფუძნება, რათა ავსტრალიელებს თვითონ გადაეწყვიტათ სენატორებს როგორ მიეცათ ხმა ამა თუ იმ კანონპროექტისათვის.

გამჭვირვალე ან ღია დემოკრატია, რომელიც გულისხმობს უფლებამოსილების დელეგირებას, მოქალაქეებს მისცემს საშუალებას აირჩიონ ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც ხმას მისცემს მათი სახელით, ამასთანავე შეინარჩუნებს საკუთარი ხმის მიცემის უფლებას. ნდობით აღჭურვილ პირთა არჩევნები და დანიშვნა შეიძლება მოხდეს ელექტრონული საშუალებით. ნდობით აღჭურვილ პირებს შეუძლიათ ასევე ნდობით აღჭურვილ პირთა ჯაჭვის ფორმირება, რომელშიც თუ „ა” ირჩევს „ბ”-ს, ხოლო „გ”-მ და არც „ა”-მ და არც „ბ”-მ არ აირჩია შემოთავაზებული კანონპროექტი, ხოლო „გ”-მ ხმა მისცა, მაშინ „გ”-ს ხმა ჩაითვლება სამივეს მაგივრად. მოქალაქეებს, ასევე, შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ნდობით აღჭურვილი პირები უპირატესობის მიხედვით, ასე რომ, თუ პირი, რომელიც პირველია ამ სიაში ვერ შეძლებს ხმის მიცემას, მაშინ მისი ხმა შეიძლება გადაეცეს სიაში ნდობით აღჭურვილ მომდევნო პირს. ამგვარი სისტემის ტოპოლოგია ასახავს თვით ინტერნეტის სტრუქტურას, რომელშიც მარშრუტიზატორს აქვს საწყისი და ალტერნატიული სერვერი, საიდანაც შეიძლება ინფორმაციის გამოხვავა.

**ელ-მთავრობა** (შემოკლება, მიღებული ელექტრონული მთავრობის აღსანიშნად, ასევე ცნობილია, როგორც e-gov, ციფრული, ონლაინ ან ტრანსფორმაციული მთავრობა) – ეს არის გავრცელებული ნეოლოგიზმი, დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან სამთავრობო სამსახურების სრულყოფისა და უზრუნველყოფის, ოპერაციებისა და ურთიერთკავშირისათვის მოქალაქეებთან, ბიზნესებთან და ა.შ.

## • ელ-მთავრობის ფუნქციონირების მოდელი

ელ-მთავრობის ფუნქციონალური კავშირების ძირითადი მოდელები შესაძლოა დაყოფილ იქნას ამგვარად:

მთავრობა – მოქალაქე ან, მთავრობა – დამკვეთი (G2C)

მთავრობა – ბიზნესი (G2B)

მთავრობა – მთავრობა (G2G)

მთავრობა – მომსახურები (G2E)

ყველა ამ სფეროში ხდება ოთხი სახის მოქმედება: [1] [2] ინფორმაციის გადაცემა ინტერნეტის მეშვეობით, მაგალითისთვის, მარეგულირებელ სამსახურთან, საფლესასწაულო დღეებთან, საჯარო მოსმენის გრაფიკთან, სხვადასხვა შეტყობინებასთან, ცნობებთან და ა.შ. დაკავშირებით.

- ორმხრივი კავშირი მთავრობასა და მოქალაქეებს შორის, ბიზნესსა და სხვა სამთავრობო სტრუქტურებს შორის. ამ მოდელით მომხმარებლებს შეუძლიათ ჩატარონ სხვადასხვა ორგანიზაციასთან დიალოგში და შეატყობინონ თავიანთი პრობლემების შესახებ, გააკეთონ კომენტარი, მიმართონ თხოვნით ან მოთხოვნით.

- ოპერაციის ჩატარება, მაგალითად, საგადასახადო დეკალრაციის განთავსება, განცხადებებით მიმართვა, ან გრანტი და ა.შ.

- მართვა, მაგალითად, ონლაინ-გამოკითხვა, ხმის მიცემა ან კამპანიის ჩატარება.

## • ელ-მთავრობა, რომელიც არ არის დაკავშირებული ინტერნეტთან

მიუხედავად იმისა, რომ ელ-მთავრობას ყველაზე ხშირად აღვიქვამთ, როგორც „ონლაინ“ ან „ინტერნეტ-ზე დაფუძნებულს“, ამ კონტექსტში შესაძლებელია ჩაერთოს „ელექტრონული მთავრობის“ სხვა ტექნოლოგიებიც, რომელიც ინტერნეტთან არ არის დაკავშირებული. მათ შორის: ტელეფონი, ფაქსი, PDA, SMS, MMS, უკაბელო ქსელები და სერვისები, ბლუთუსი, CCTV, სათვალთვალო სისტემები, RFID, ბიომეტრიული იდენტიფიკაცია, საგზაო მოძრაობის მართვა, საიდენტიფიკაციო ბარათები, სმარტ-ბარათები და კომუნიკაციის გამოყენების სხვა მოსაზღვრე სფეროები, ასევე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საარჩევო უბნები (სადაც ტარდება ელექტრონული ხმის მიცემა არაონლაინ), სამთავრობო სამსახურების მუშაობა ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით, ელექტრონული ფოსტა, კომუნალური ონლაინ სამსახურები, მისამართების ელექტრონული წიგნი, ონლაინ ჩათი და კორესპონდენციის სწრაფი მიწოდების ტექნოლოგიები.

## • ელ-მთავრობის პოტენციური ღირსება და რისკი

### რისკი

ბევრს საუბრობენ ელ-დემოკრატიის შექმნისა და დანერგვის პოტენციურ შედეგებზე. მასვე მიეკუთვნება მოქალაქეებსა და მთავრობას შორის შუალედური რგოლის არარსებობის საკითხები, ასევე დარღვევები status quo<sup>47</sup> ამ სფეროებში.

### განსაკუთრებული მეთვალყურეობა

მთავრობასა და მოქალაქეებს შორის კონტაქტების გაფართოება ატარებს ორმხრივ ხასიათს. მიუხედავად ელ-მთავრობის განვითარებისა და სრულყოფისა მოქალაქეებს მოუწევთ მათთან ელექტრონული საშუალებით თანამშრომლობა, რამაც პოტენციურად შეიძლება შელახოს მოქალაქეთა უფლებები პირად ცხოვრებაში, ვინაიდან მთავრობას გაუჩინდება სულ უფრო მეტი მტკიცებულება თავის მოქალაქეებზე. უარეს შემთხვევაში, როდესაც ელექტრონული გზით გადის ინფორმაცია მთავრობასა და მოქალაქეებს შორის, ქვეყანაში შეიძლება განვითარდეს სისტემა, მსგავსი ტოტალიტარიზმის. როდესაც მთავრობა ფლობს უამრავ ინფორმაციას თავისი მოქალაქეების შესახებ, იკარგება პირადი ცხოვრების ცნება.

### დანაკარგები

მიუხედავად იმისა, რომ ელ-მთავრობის განვითარებისა და რეალიზაციისათვის დახარჯულ იქნა აუარებელი თანხა, ზოგიერთი ადამიანის აზრით, შედეგი არც ისე სახარბიელო იყო. ინტერნეტის ბაზაზე ელ-მთავრობის შექმნის მცდელობის შედეგი ან არადამაკმაყოფილებელია, ან რთულია მისი გაზომვა.

### ხელმიუწვდომლობა

ელ-მთავრობის ვებ-გვერდი, რომელიც უზრუნველყოფს ქსელურ ხელმისაწვდომობასა და მხარდაჭერას, ხშირად არ იძლევა მომხმარებელთან დაკავშირების შესაძლებლობას, მათ შორის მათთან, ვინც შორეულ რაიონებში ცხოვრობს, არ შეუძლიათ სახლიდან გასვლა, ცუდად ფლობენ ინგლისურ ენას, იმყოფებიან სილარიბის ზღვარზე, იტანჯებიან ქრონიკული დაავადებებით და არიან მარტოხელა დედები ან ხანდაზმულები.

### გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მცდარი გრძნობა

ელ-მთავრობის მოწინააღმდეგებს მიაჩნიათ, რომ ელ-მთავრობის გამჭვირვალობა ძალზე საეჭვოა, ვინაიდან მას მხარეს უჭერს თავად მთავრობა. ინფორმაცია შეიძლება თვითონბურად განთავსდეს ან ამოვარდეს ინტერნეტიდან უნებართვოდ, ან საზოგადოების ნებართვით. მაგალითად, 2001 წლის 11 ნოემბერს, ნიუ-ორკში მსოფლიო საგაჭრო ცენტრზე ტერორისტების თავდასხმის შემდეგ აშშ-ს ფედერალურმა ხელი-

<sup>47</sup> სტატუს-კვო [ლათ. status quo] - საერთაშორისო სამართალში: რაიმე გარკვეულ მომენტში (წინათ ან ამჟამად) არსებული მდგომარეობა.

სუფლებამ ამოიღო დიდი რაოდენობით სამთავრობო ინფორმაცია თავისი ვებ-გვერდებიდან ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ამ ფაქტმა აშშ-ის მოქალაქეების შეუმჩნევლად ჩაიარა. დღესდღობით მხოლოდ ზოგიერთი ორგანიზაცია აწარმოებს გამჭვირვალობის კონტროლს ამ მოდიფიკაციით. ხშირად ესენი არაკომერციული, მონალისეობრივი ორგანიზაციები არიან, როგორიცაა United States' OMBWatch და Government Accountability Project (მთავრობის ანგარიშვალდებულების პროექტი). თვით ხელისუფლებაც კი არ ადევნებს ყოველთვის თვალყურს ინფორმაციას, რომელსაც ისინი ათავსებენ ან იღებენ ინტერნეტში.

### უპირატესობა

უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ელ-მთავრობა მოხერხებული და რენტაბელურია ბიზნესისათვის, ხოლო საზოგადოებას ხელი მიუწვდება უახლეს ინფორმაციაზე დროის, ენერგიისა და ფულის დანაკარგის გარეშე.

ელ-მთავრობა ხელს უწყობს პროცესების გამარტივებას, მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმისაწვდომობას საჯარო ინფორმაციასთან. მაგალითად, ინდიანას შტატის საპასპორტო ბიურომ გაამარტივა საოლქო სასამართლოში მძღოლთა სერტიფიცირების დოკუმენტების გადაცემის პროცედურა. ინდიანა პირველი შტატია, სადაც Electronic Postmark ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება სამთავრობო დოკუმენტების ხელმოწერა, ოფიციალური სერთიფიცირდება და ადრესატისთვის მიწოდება. ელ-დემოკრატიის სერვისები ეწევიან სახსრების ეკონომიას. ალაბამას შტატის ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტმა, Wal-Mart-ისა და NIC-ის მაღაზიების ქსელმა არსებულ კომპიუტერულ ბაზაში შეემნა ნადირობისა და თევზჭერის ლიცენზიების გაყიდვის ელექტრონული სისტემა. პირველ სამონადირეო სეზონზე Wal-Mart-ის მაღაზიებში გაიყიდა 140 ათასზე მეტი ლიცენზია და სააგენტო ვარაუდობდა ამ სამსახურიდან ყოველდღიურად 200 ათასი დოლარის ეკონომიის მიღებას.

ელ-მთავრობის სარგებელი მდგომარეობს მის ეფექტურობაში, სამსახურების სამუშაოს გაუმჯობესებაში, საზოგადოებრივ სამსახურთა უფრო ფართო ხელმისაწვდომობაში, გამჭვირვალობასა და მთავრობის ანგარიშვალდებულებაში.

### დემოკრატიზაცია

ელ-მთავრობის ერთ-ერთი მიზანი ქვეყნის დედაქალაქში მიმდინარე პროცესებში მოქალაქეთა უფრო ფართო მონაწილეობა გახდება. ინტერნეტის დახმარებით მოქალაქეები ქვეყნის ყველა კუთხიდან შეძლებენ ზემოქმედება იქნიონ პოლიტიკოსებზე და მიაწვდინონ ხმა. ბლოგინგები და ინტერაქტიული მიმოხილვები დახმარებათ პოლიტიკოსებს შეიტყონ ადამიანთა აზრი ნებისმიერ კონკრეტულ საკითხზე. სპეციალურ ჩათებში მოქალაქეებს შეუძლიათ რეალურ დროში დაუკავშირდნენ არჩეულ ოფიციალურ პირებს, მათ ოფისებს და უშუალო ზემოქმედება იქნიონ ხელისუფლებაზე. ამგვარი ტექნოლოგიები ხელს შეუწყობს ხელისუფლების გამჭვირვალობას და საშუალებას მისცემს ამომრჩევლებს დაუყონებლივ შეიტყონ მათი წარმომადგენლები დადაქალაქში როგორ და რატომ აძლევენ ხმას სწორედ ასე, და არა სსვაგვარად. ეს დაეხმარება ამომრჩევლებს უკეთ განსაზღვრონ ვის მისცენ ხმა მომავალში. თეორიულად, ელ-მთავრობის შესაძლებლობების გამოყენებით, მთავრობას შეუძლია მიუახლოვდეს ჭეშმარიტ დემოკრატიას. ხელისუფლების გამჭვირვალობა საშუალებას მისცემს საზოგადოებას უკეთ გაიგოს როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება და მათ მიერ არჩეულ მოხელეებს აიძულებს თავიანთ ქმედებებზე ანგარიშვალდებულებას. რაღაც დონემდე საზოგადოებას შეუძლია არსებითად და უშუალოდ იმოქმედოს საკანონმდებლო ხელისუფლებაზე.

### სარგებელი გარემოსათვის

ელ-დემოკრატიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ონლაინ მთავრობის დროს შემცირდება ბეჭდურ ფორმაზე მოთხოვნა. გარემოს დამცველების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოების ზეწოლით ზოგიერთმა მთავრობამ და ორგანიზაციამ უპირატესობა მიანიჭა ინტერნეტს, რათა შემცირებულიყო მოთხოვნა ქაღალდზე. მაგალითად, აშშ-ს მთავრობა იყენებს ვებ-გვერდს შიდა სახელისუფლებო ფორმების გადასაცემად ფედერალური თანამშრომლებისათვის და ამგვარად მნიშვნელოვნად ამცირებს ქაღალდის გამოყენებას.

## სიჩქარე, ეფექტურობა და მოხერხებულობა

ელ-მთავრობის მმართველობის დროს მოქალაქეები კომპიუტერების მეშვეობით წყვეტენ თავიანთ ამოცანებს ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ დროს, შესაბამისად, მცირდება საჯარო მოხელეების ნახვის აუცილებლობა სამსახურებსა და კაბინეტებში. კომპიუტერიზაცია საშუალებას იძლევა ამაღლდეს ანგარიშვალდებულება და რეგისტრაცია, გაადვილდეს ინფორმაციისა და სხვადასხვა ანკეტის ხელმისაწვდომობა, დაიზოგოს დრო. თემატური ინფორმაციისა და ფაილების ძებნა დღეს რთული არ არის, ვინაიდან ისინი ინახება მონაცემთა ბაზაში და არა დაბეჭდილი ფორმით, განთავსებული სხვადასხვა ადგილას. ავადმყოფები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები აუცილებელი არ არის იყვნენ მობილურები, რათა მონაწილეობა მიიღონ მთავრობის მუშაობაში, მათ შეუძლიათ დარჩინენ საკუთარი სახლის კომფორტულ გარემოში.

## საზოგადოებრივი მხარდაჭერა

ელ-მთავრობის შექმნის მცდელობამ საზოგადოების მხრიდან მოიპოვა მხარდაჭერა და მოწონება. მოქალაქეებმა მოუხშირეს პოლიტიკურ საკითხებზე ონლაინ-დისკუსიაში მონაწილეობას, ხოლო ახალგაზრდობა, რომელსაც, ჩვეულებრივ, ნაკლებად აინტერესებს სახელმწიფოებრივი საქმეები, სულ უფრო მეტად ერთვება ელექტრონული არჩევნების პროცედურებში.

სამთავრობო პროგრამებს ინტერნეტ-სივრცეში აკრიტიკებენ მოქალაქეთა პირადი ცხოვრების არასაკმარისად დაცვის გამო. კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანებისათვის უფრო მნიშვნელოვანია არა მათი პირადი ცხოვრების კონფიდენციალობა, არამედ ის, რომ დამნაშავეებმა აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ დანაშაულზე. აშშ-ს ზრდასრული მოსახლეობის 90% მხარს უჭერს დამნაშავეთა ძებნისთვის ინტერნეტ-სისტემების გამოყენებას, ხოლო 57% თანახმაა დათმონ ანონიმურობა, თუკი ეს დაეხმარება ტერორისტებისა და დამნაშავეების დაჭერასა და პასუხისგებას.

## ელ-მთავრობის სპეციფიკური ტექნოლოგიები

ელ-მთავრობის ქვეყანებრივი არსებობს ისეთი სპეციფიკური ტექნოლოგიები, როგორიცაა: ემ-მთავრობა (მობილური მთავრობა), U-მთავრობა (U-government - ყველგან არსებული მთავრობა) და G-მთავრობა (ვარიანტები GIS/GPS ელ-მთავრობა).

## ელ-მთავრობის პორტალები და პლატფორმები.

ელ-მთავრობის ინფორმაციის მიწოდების ძირითადი მოდელები ეფუძნება სარგებლიანობის პრინციპს. საზოგადოებრივი თუ კერძო სექტორის პორტალებისა და პლატფორმების შემუშავებისას იქმნება სისტემა, რომელიც საჭიროა ორივე სექტორისათვის. მოქალაქებს, რომელთაც ესაჭიროებათ საკუთარი ავტომობილის რეგისტრაციის აღდგენა, შეუძლიათ იოლად აღდგინონ.

ბიზნესი არის სხვადასხვა სერვისის მომწოდებელი, რაც ტრადიციულად მხოლოდ მთავრობის პრეროგატივა იყო და მოქმედებენ როგორც ამ სახელმწიფოს პარტნიორები. ბიზნესს შეუძლია მიიღოს შემოსავალი ამ მომსახურებიდან და მოიზიდოს ახალი კლიენტები. სამთავრობო სააგენტოები თავისუფლდებიან დანაკარგებისა და ზედმეტი პრობლემებისაგან, რომელიც ამგვარი ოპერაციების ჩატარებას უკავშირდება.

მთავრობას შეუძლია განავითაროს საზოგადოებრივი პორტალები (ან პლატფორმები) და მართოს მისით ქვეყნის შიგნით, ან მოიზიდოს რესურსები გარედან, ან გააფორმოს კონტრაქტები თვითდაფინანსების საფუძველზე. თვითდაფინანსების მოდელი გულისხმობს პორტალების შექმნას, რომლებიც თვითფინანსდება ელ-მთავრობის განსაზღვრული ოპერაციების ხელსაყრელი საფასურის ხარჯზე. ამ სისტემაში პირველები იყვნენ govOne Solutions, First Data Government Solutions და NIC კომპანიები, რომლებიც შეიქმნა თვითდაფინანსების მოდელის საფუძველზე.

საზოგადოებრივი ქსელი - ეს არის ელ-მთავრობის მხოლოდ ახლახან გაჩენილი სფერო. ქსელში შემავალი წერტილები მდებარეობენ უშუალოდ მოქალაქეებთან ახლოს და ისინი თვითონ საზღვრავენ ქსელში მათი მონაწილეობის პირობებს. ელ-მთავრობის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ მთავრობის მიერ საზოგადოებ-

რივი ქსელური გაერთიანებების გამოყენება წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს, რომელიც ეხმარება მთავრობას იმქმედოს ისე, როგორც იმოქმედებდნენ თვით მოქალაქენი, რომელთაც ის ემსახურება. მა-გალითები შეიძლება ვიპოვოთ ვებ-გვერდებზე The Official Commonwealth of Virginia Homepage, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ იპოვონ Google-ის ინსტრუმენტარია და გახსნან საზოგადოებრივი ფორუმები.

### გაეროს მიერ შემუშავებული ელ-მთავრობაზე გადასვლის მზაობის მაჩვენებელი

არსებობს ელ-მთავრობის რამდენიმე საერთაშორისო გრადაცია. უფრო ხშირად ასახელებენ The Eurostat Rankings, Economist, Brown University, და UN e-Government Readiness Index. გაერო ყოველწლიურად ამზადებს მიმოხილვას ელ-მთავრობის შესახებ, რომელშიც შედის ერთი თავი სახელწოდებით „ელ-მთავრობაზე გა-დასვლის მზაობა“. მასში მოყვანილია მსოფლიოს ქვეყნების შედარებითი გრადაცია ორი ძირითადი მაჩვე-ნებლით: (1) ელ-მთავრობაზე გადასვლის მზაობა, და (2) „ელექტრონული მონაწილეობის“ ხარისხი. ციფ-რული მომსახურების შეფასების მოდელის შექმნის მიზნით მიმოხილვაში მოცემულია გაეროს 191 წევრი სახელმწიფოს ელ-მთავრობის მზაობის რაოდენობრივი შემადგენლობის ინდექსის შეფასება, რომელიც ეფუძნება ვებ-გვერდების, ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების შეფა-სებას.

#### კითხვები მსჯელობისათვის:

1. რითია ელ-დემოკრატია სასარგებლო ქალებისათვის?
2. შესაძლებელია თუ არა ელ-დემოკრატიის მიღწევა ჩვენს კონკრეტულ პირობებში?
3. რა არის საჭირო ელ-დემოკრატიის მისაღწევად?
4. რატომ უნდა განვიხილოთ ელ-მთავრობის თემა?

#### მეთოდიკა:

- ინტერაქტიული ლექციები
- დისკუსია
- იმიტაცია





# მოლუსი IV

## ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე

### • შინაარსი და ამოცანები

მრავალი ქვეყანა ცდილობს შეიმუშავოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა იმისათვის, რომ მოქმედი ინფორმაციულ საზოგადოებაში შესასვლელად. ინდუსტრიული განვითარებული ქვეყნები შევიდნენ ამ პროცესის მეორე ფაზაში და გამოიყენება ხელმისაწვდომობის ფართოზოლოვანი საშუალებები. მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ, მათ შორის, ყველაზე ნაკლებ განვითარებულმაც (Least Developed Countries (LDCs) მოახდინა თავიანთი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფორმულირება, თუმცა, ზოგიერთი მათგანი გარკვეულ სირთულის წინაშე აღმოჩნდა რეალიზაციის თვალსაზრისით.

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა იქმნება მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ფართო დიალოგის ფარგლებში. ამგვარი დიალოგით შესაძლებელია ეროვნული კონსესუსის მიღწევა საზოგადოების წინაშე მდგარი საჭიროებებსა და ამოცანებთან დაკავშირებით, ასევე, შემდგომ ქმედებებთან დაკავშირებული მთელი რიგი პრიორიტეტების განსაზღვრა. სტრატეგიისა და ეროვნული გეგმის შემუშავება თავიდან აგვაცილებს წინააღმდეგობრივ ინიციატივებს და გაააქტიურებს მონაცილეებს, რომლებიც დაგვეხმარებიან უკეთესად განვსაზღვროთ ამოცანები და მოვახდინოთ საზოგადოების მობილიზება.

საქართველო 1992 წელს გახდა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირის წევრი (ITU). ეს ორგანიზაცია შექმნილია საერთაშორისო დონეზე სტანდარტიზაციის, რადიო-კოორდინაციის, განვითარების სხვა სატელეკომუნიკაციო საკითხების განსახილველად და საერთო გადაწყვეტილებების მისაღებად. იგი წარმოადგენს გაეროს სისტემის წევრ ორგანიზაციას და კოორდინაციას უწევს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის სატელეკომუნიკაციო ქსელებისა გლობალურ მომსახურებას. ამჟამად, ორგანიზაციაში საქართველოს ხელისუფლებას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.<sup>48</sup>

2004-2009 წლებისათვის საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად ტელეკომუნიკაციები იქნა აღიარებული. აქედან გამომდინარე დადგა იმის აუცილებლობა, რომ შემუშავებულიყო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ეროვნული სტრატეგია.<sup>49</sup>

პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგა, იყო საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის დაკვეთით შექმნილი „საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამა“<sup>50</sup>, რომელიც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს წარმომადგენლობების მიერ მომზადდა. ამ დოკუმენტის მიზანი იყო შექმნილიყო კონცეფცია, რომელიც დაეხმარებოდა მთავრობას განესაზღვრა ქვეყანაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა.

საკანონმდებლო ბაზის ფორმირების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია და წარმოუდგენელია ქვეყანაში ICT-ის განვითარება მყარი საკანონმდებლო ბაზის გარეშე.

საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამაში წარმოდგენილია ICT-ის განვითარების მსოფლიო ხედვა და სამომავლო ტენდენციები. ტელეკომუნიკაციების სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ განვითარების პერსპექტივაზე.

მეოთხე მოდულში განიხილება ICT-ის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის ტიპური კომპონენტები, სამოქმედო გეგმის სტრატეგიისა და რეალიზაციის ფორმულირების შეფასება.

სამუშაო დროის რაოდენობა: 2 საათი

დამხმარე მასალა:

<sup>48</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში 2009 წელი. [www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_381102\\_Annual%20report%202009.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_381102_Annual%20report%202009.pdf)

<sup>49</sup> <http://un.mfa.gov.ge>

<sup>50</sup> საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო - პროგრამა. /დოკუმენტი მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის UNDP/GEO/00031399 - "საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამის შემუშავება"/-/კ. დემეტრაშვილი[და სხვა],-თბ.,2004

## • ამჟამად არსებული ინფრასტრუქტურა

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა არის ტერიტორიულად განაწილებული სახელმწიფო და კერძო საინფორმაციო სისტემების, სატელეკომუნიკაციო ქსელების, მათ შორის, კავშირგაბმულობის ხაზების, მონაცემთა გადაცემის ქსელებისა და არხების, საინფორმაციო ნაკადების კომუტაციისა<sup>51</sup> და მართვის საშუალებების, აგრეთვე, ორგანიზაციული სტრუქტურებისა და სამართლებრივ-ნორმატიული ადმინისტრაციული მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიას და ეფექტურ გამოყენებას.<sup>52</sup>

საქართველოში არსებობს კარგად განვითარებული რადიო და სატელევიზიო ქსელი. ქვეყანაში მოკლეტალღოვანი რადიოსადგურების რიცხვი 145-ზე<sup>53</sup> მეტია და მოიცავს მთელი ქვეყნის ტერიტორიას. ამასთან, რიგი კომპანიები მაუწყებლობას ახორციელებენ ორი და სამი პროგრამით. მაგალითად, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში სხვადასხვა პროგრამაზე ფუნქციონირებს ერთი და იმავე კომპანიის რამდენიმე რადიოსადგური. საქართველოში 39 რადიო და 35 ტელევიზიონია<sup>54</sup>. აქედან თბილისში 1 სახელმწიფო საზოგადოებრივი ტელევიზია და 8 კერძო ტელეკომპანია; სახელმწიფო საკუთრებაშია საზოგადოებრივი მაუწყებლის 2 ქსელი; ფუნქციონირებს ათობით საკაბელო ტელევიზია და რამდენიმე მსხვილი კომერციული სატელევიზიო სადგური; სახელმწიფო საკუთრებაშია 2 საზოგადოებრივი რადიო; ასევე ფუნქციონირებს რამდენიმე ათეული კერძო სამაუწყებლო სადგურიც.<sup>55</sup>

წლების განმავლობაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მუშაობდა რამდენიმე მნიშვნელოვან და სტრატეგიულ საკითხზე, ერთ-ერთი მათგანი ციფრული მაუწყებლობაა.

2005 წელს ITU-ს წინასწარი განაწილების შედეგად, საქართველოს ერგო სულ 72 ციფრული არხი. 2007 წელს მეზობელ ქვეყნებთან წარმოებული მოლაპარაკებებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების ხელმოწერის შედეგად, მოხდა აღნიშნული არხების 72-დან 175-მდე გაზრდა და 2006 წლის ნოემბრის თვეში მათი საბოლოო დამტკიცება. 2006 წელს ასევე ITU-ს მიერ, რადიოკავშირის რეგიონალურ კონფერენციაზე (RRC 06) შემუშავებულ იქნა პირველი და მესამე რეგიონებისათვის 174–230 მგპც და 470–862 მგპც სიხშირულ დიაპაზონებში მიწისზედა ციფრული მაუწყებლობის გეგმა Geneva 06, რომელიც მიზნად ისახავდა რადიოსისტემის სპექტრის ეფექტურ გამოყენებას, როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამავე გეგმის მიხედვით საქართველოსთვის დაგეგმარდა 175 ციფრული არხი, რომლებიც განაწილდა ქვეყნის ტერიტორიაზე 10 სამაუწყებლო ზონაში. <sup>56</sup>

## • ინტერნეტის განვითარება

ინტერნეტის განვითარების პირველი ეტაპი საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. სააბონენტო გადასახადი თვეში 300 აშშ დოლარს, ხოლო ინტერნეტის ერთი საათით მოხმარების საფასური - 3 დოლარს შეადგენდა. მოგვიანებით, „სანეტისა“ და „კავკასუს ნეტვორქს“ შემოსვლისა და კონკურენციის შედეგად ფასებმა იკლო. სააბონენტო გადასახადი 20 აშშ დოლარი, სარგებლობა კი საათში - 2 დოლარი გახდა. პროვაიდერები თანამგზავრულ და საკაბელო შეღწევას იყენებდნენ. გადაცემის სიჩქარე პირდაპირ არხში შეადგენდა 64 კბტ/წმ ფარგლებში, რაც დღევანდელი გადასახედიდან მწირი მაჩვენებელია.

შემდეგ ეტაპზე ქვეყანაში პრივატურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალების ქსელი გაჩნდა: 2003 წლის აგვისტოდან თბილისში აბონენტებისათვის დაიწყო ADSL ტექნოლოგიების ჩართვა. ამ ეტაპზე მომხმარებლებს ამ ტექნოლოგიას 10-ზე მეტი ინტერნეტ-პროვაიდერი სთავაზობს: [www.online.ge](http://www.online.ge), [www.telenet](http://www.telenet.ge), [www.sanet.ge](http://www.sanet.ge), [www.caucasus.net](http://www.caucasus.net), [www.geonet.ge](http://www.geonet.ge), [www.servicenet.ge](http://www.servicenet.ge), [www.egrisi.ge](http://www.egrisi.ge) და სხვა. ინტერნეტის მომსახურების ფასები შემცირდა, სიჩქარე კი შედარებით გაიზარდა. იმ დროს პროვაიდერების<sup>57</sup> 80% მაინც

<sup>51</sup> კომუტაცია - ელექტროდენის მიმართულების შეცვლა, ფოლადი დენის გარდაქმნა მუდმივ დენად სპეციალური პარატის საშუალებით. [www.nplb.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20145](http://www.nplb.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20145)

<sup>52</sup> საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფცია. [www.cegstar.ge/files/46\\_15\\_372943\\_informatizaciiskonfcefci.pdf](http://cegstar.ge/files/46_15_372943_informatizaciiskonfcefci.pdf)

<sup>53</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; „საქართველოს რადიო ციფრებსა და ფაქტებში“; [www.gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=50350&info\\_id=6062](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50350&info_id=6062)

<sup>54</sup> იხ. [www.media.ge](http://www.media.ge)

<sup>55</sup> იხ. [www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html](http://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html)

<sup>56</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში 2009 წელი. [www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_381102\\_Annual%20report%202009.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_381102_Annual%20report%202009.pdf)

<sup>57</sup> პროვაიდერი (ორგანიზაცია, რომელიც უწევს მომსახურებას ინტერნეტთან და ინტერნეტთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას)

თანამგზავრულ არხებს იყენებდა.

2007 წელს საქართველოში ინტერნეტით მოსახლეობის 17,7% სარგებლობდა და მომხმარებლები ძირი-თადად იყვნენ 25-34 წლამდე ასაკის ადამიანები. 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში ინტერნეტს მხოლოდ 11,4% მოიხმარდა, 55-64 წლის ჯგუფში კი 6,4%.<sup>58</sup> კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით<sup>59</sup>, 2008 წლის ბოლოს საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებლების რაოდენობა დაახლოებით 115 ათასს შეადგინდა. რაც შეეხება ინტერნეტ-პროგაიდერების წილს: "კავკასუს-ონლაინს" 57% ეკავა, „გაერთიანებულ ტელეკომს"-33%, "ახალი ქსელებისა" და "ახტელის" ერთობლივი წილი 6,5%-ს იყო, "სერვის ნეტის"-0,5%-ს, სხვა დანარჩენი ოპერატორების კი - 3%-ი".<sup>60</sup>

[internetworkworldstats.com](http://internetworkworldstats.com)-ის<sup>61</sup> მიერ გამოქვეყნებული სტატისიკის მიხედვით საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება. მათ აქვთ შედარებული 2000 წლისა და 2010 წლის მონაცემები<sup>62</sup>, რომელთა შედეგებიც ასეთია:

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი			
წელი	მომხმარებელი	მოსახლეობა	%
2000	20,000	4,389,004	0,5%
2006	332,000	4,389,004	7,6%
2009	1,034,000	4,615,807	22,2%
2010	1,300,000	4,600,825	28,3%

სამწუხაროდ დღეისათვის ზუსტი მონაცემები იმისა თუ რამდენი მომხმარებელი ჰყავს ქართულ ინტერნეტს არ არსებობს. ეს ფაქტი განპირობებულია იმითაც, რომ აბონენტი, რომელსაც ინტერნეტი გაყავს, ხდება ამ ინტერნეტის გამნაწილებელი. ანუ ხშირად რეგისტრირდება ერთი აბონენტი, სინამდვილეში კი მომხმარებელი რამდენიმე პირია.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შედარებულია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია: (ცხრილი ეფუძნება [Internetworkworldstats](http://internetworkworldstats.com)-ს მონაცემებს).

#### მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია:

ამიერკავკასიის შვეიცარიაში ინტერნეტის მომხმარებელთა ზრდის მაჩვენებელი					
ქვეყანა	2009 წელი	ინტერნეტის მომხმარებლები (2000 წელი)	ინტერნეტის მომხმარებლები (2009 წელი)	ინტერნეტით სარგებლობს მთელი მოსახლეობის	2000-2009 წლების ზრდის % მაჩვენებელი
საქართველო	4,615,807	20,000	1,024,000	22.2 %	5,020.0 %
სომხეთი	2,967,004	30,000	191,000	6.4 %	536.7 %
აზერბაიჯანი	8,238,672	12,000	1,485,100	18.0 %	12,275.8 %

<sup>58</sup> გამოკითხვა ჩატარა „ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფმა“, გაზეთი „ბასტა“, 24-30 დეკემბრი „საქართველოში ყოველი მე-6 ინტერნეტის მომხმარებელია“

<sup>59</sup> იხ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; წლიური ანგარიში; 2009 წელი; გვ. 33 [www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_381102\\_Annual%20report%202009.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_381102_Annual%20report%202009.pdf)

<sup>60</sup> ნათია ახალშევილი, „ინტერნეტ-მოი“; 13 იანვარი, 2010 ელექტრონული ვერსია იხ: [www.liberali.ge/node/1083?page=2](http://www.liberali.ge/node/1083?page=2)

<sup>61</sup> [www.internetworkworldstats.com/asia/ge.htm](http://internetworkworldstats.com/asia/ge.htm)

<sup>62</sup> [www.internetworkworldstats.com/asia/ge.htm](http://internetworkworldstats.com/asia/ge.htm)

## • ICT-ის გამოყენების ტენდენცია


საქართველოში ინტერნეტის გამოყენება დაბალია. ინტერნეტი ხელმისაწვდომია ზოგიერთ ბიბლიოთეკა-სა და ინტერნეტ-კაფეში. ინტერნეტ-კაფეში მისაღები ფასებია, მაგრამ ისინი, ძირითადად დიდ ქალაქებში მდებარეობენ და მხოლოდ რამდენიმე აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. ინტერნეტ-კაფეების უმეტესობად სამიდან ათამდე კომპიუტერი აქვს და მსურველებს ხშირად უწევთ რიგში ლოდინი. ბევრი რესტორანი, კაფე, ბარი, კონკ, თეატრი და თავშეყრის სხვა ადგილი მომხმარებელს უკაბელო ინტერნეტს სთავაზობს, მაგრამ ლეპტოპი ან მობილური ტელეფონი ყველას არ აქვს. მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები თავიანთ მომხმარებლებს ინტერნეტის ავტომატური სერვისით არ უზრუნველყოფენ. ამ ფუნქციის გასააქტიურებლად დამატებითი თანხის გადახდაა საჭირო.

მოსახლეობის უმეტესობისა და მცირე ბიზნესისათვის ინტერნეტი ხელმისაწვდომი არ არის ფინანსური თვალსაზრისით. ჩვეულებრივ, საქმიანი კონტაქტების დამყარება და შენარჩუნება ხდება პიროვნულ დონეზე, ხოლო ელექტრონული ფოსტა გამოიყენება უცხოელ პარტნიორებთან დასაკავშირებლად, რამდენადაც საერთაშორისო სატელეფონო საუბრებისთვის ტარიფები მაღალია. სამთავრობო სტრუქტურებსა და ბიზნეს სტრუქტურებში საბუღალტრო ოპერაციების 90% ხორციელდება კომპიუტერების მეშვეობით, ნაწილობრივ იმიტომ, რომ „ფინანსები“ ერთადერთი საპროგრამო პაკეტია ქართულ ენაზე. სამთავრობო სამსახურების უმეტესობა და მსხვილი ბიზნესი აღჭურვილია კომპიუტერებით. უნივერსიტეტებში კომპიუტერებთან სრულად ხელმისაწვდომობა, ჩვეულებრივ, ნებადართულია მხოლოდ პერსონალისათვის, ხოლო კომპიუტერული სწავლება და ტრენინგების ჩატარება მხოლოდ ახლახან დაიწყო. ამიტომ მასწავლებელთა კომპიუტერული პროგრამების ცოდნა საწყის დონეზეა. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში და თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ტარდება კომპიუტერული პროგრამირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსები. რამდენიმე კერძო სკოლაში დონორებისა და კომერციული ორგანიზაციების მხარდაჭერით, ასევე, მიმდინარეობს კომპიუტერული სწავლება და ტრენინგები. არსებობს ორგანიზაციები, რომელთა უმრავლესობა განთავსებულია ქვეყნის დედაქალაქეში, თბილისში, რომლებიც სპეციალიზირებულია კომპიუტერული მომსახურების, სწავლებისა და ტრენინგების მიწოდებაზე.

2009 წელს, ფრიდომ ჰაუსმა<sup>63</sup> 17 ქვეყანაში არსებული ვითარება შეისწავლა და ინტერნეტისა და ციფრული მედიის ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი გარემოებები გამოავლინა. ამ გარემოებებს შორის პირველ რიგში, ინტერნეტისა და მობილური ტელეფონის მომხმარებელთათვის სერვისის მაღალი ფასი, და მიწისზედა სატელეფონო ინფრასტრუქტურა დაასახელა, რომელიც განსაკუთრებით დამაბრკოლებელი სოფლის მოსახლეობისა და ნაკლებადშეძლებული ოჯახებისთვისაა. მობილური სატელეფონო სერვისი, სოფლების ჩათვლით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელმისაწვდომია. იზრდება იმ მომხმარებელთა რაოდენობაც, რომლებიც მობილური ინტერნეტთან დასაკავშირებლად იყენებენ, თუმცა ეს მაჩვენებელი მაღალი ტარიფების გამო ლიმიტირებულია. 2007 წლის იანვარში მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 5500 აღწევდა. ისინი ერთი და იმავე სერვის პროვაიდერის მომსახურებით სარგებლობდნენ. 2008 წლის ოქტომბერში მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 56000-მდე გაიზარდა, ინტერნეტ-პროვაიდერთა კი – ორამდე.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2000 წელს ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით 0.5% არ აღემატებოდა.


### ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებელი



<sup>63</sup> „ფრიდომ ჰაუსმა“ ანგარიში „თავისუფლება ქსელში: ინტერნეტისა და ციფრული მედიის გლობალური შეფასება“


2010 წლის დეკემბრის მონაცემებით, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში უკვე მოსახლეობის 50%-ზე მეტი იყენებს ინტერნეტს. შედარებით მცირეა მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოს სხვა ქალაქებში.

### ინტერნეტის მოხმარება ქალაქების მიხედვით



საინტერესოა, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვთან ერთად გაიზარდა მოხმარების სიხშირეც. სავარაუდოდ, ამის მიზანი გახდა ის, რომ კომპიუტერის გარდა, ინტერნეტის მოხმარება დაიწყეს ტელეფონით, iPad-ით, ხოლო უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა უკვე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და კაფეებში გახდა შესაძლებელი.

### რა სიხშირით სარგებლობათ ინტერნეტით?<sup>64</sup>



### • ICT-ის გავრცელების მაჩვენებელი

გაეროს კვლევის - „ელექტრონული მმართველობის ბერკეტები ეკონომიკის კრიზისის დროს“ - ძირითადი ჯამური ქულების მიხედვით, საქართველოს მინიჭებული აქცეს საკმაოდ დაბალი (1.00 მაქსიმალური ქულიდან), 0.42, სომხეთს - 0.40, აზერბაიჯანს - 0.45 ქულა<sup>65</sup>.

შესაბამისად, საქართველო 184 ქვეყნიდან არც თუ ისე სახარბიელო მე-100 ადგილზეა, აზერბაიჯანი - 83-ე, სომხეთი - 110-ე. მოწინავე 35 ქვეყნის, უდავო, ლიდერები არიან აშშ, კანადა, კორეა, გაერთიანებული სამეფო და სკანდინავიის ქვეყნები.

გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ ელექტრონული მთავრობის განვითარების დონის განსასაზღვრად, კვლევა 2005 და 2008 წლებშიც ჩატარდა. 2005 წელს საქართველო 83-ე ადგილზე იყო, 2008 წელს 90-ზე. 2010 წელს კი ათი საფეხურით უკან დაიწია.

საქართველოში არსებული მძიმე სოციალ-ეკონომიკური ვითარება უშუალო ზეგავლენას ახდენს ინფრასტრუქტურის შეზღუდვაზე. ყოველ 100 ადამიანზე ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობით საქართველო, ისე, როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი, იმყოფება ძალზე ჩამორჩენილ ქვეყანათა შორის. საქართველოში ყოველ 100 ადამიანზე მოდის მხოლოდ 8.26 ინტერნეტ მომხმარებელი, სომხეთში - 5.63, აზერბაიჯანში - 10.74; ჰოლანდიაში ყოველ 100 ადამიანზე 86 ინტერნეტ-მომხმარებელია, დანიაში 84,

<sup>64</sup> სტატისტიკური ინფორმაცია აღებულია ყოველკვირეული ელ-გამოცემიდან (#89) ACT – მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის მოწინავე კომპანია; რუბრიკა: მედია და კომუნიკაციები; „ინტერნეტით სარგებლობა”; [http://www.act.ge/index.php?lang\\_id=GE&sec\\_id=296&info\\_id=86](http://www.act.ge/index.php?lang_id=GE&sec_id=296&info_id=86)

<sup>65</sup> გაეროს კვლევა „ელექტრონული მმართველობის ბერკეტები ეკონომიკის კრიზისის დროს“; 2010 წელი; <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan038851.pdf>

ელექტრონული მთავრობის განვითარება დასავლეთ აზიაში

ქვეყანა	ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსი		მსოფლიოში ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსი	
	2010	2008	2010	2008
ბაჰრეინი	0.7363	0.5723	13	42
ისრაელი	0.6552	0.7393	26	17
კიპრი	0.5705	0.6019	42	35
არაბეთის გაერთიანებული საამირო	0,5349	0,6301	49	32
ქუვეიტი	0.5290	0.5202	50	57
იორდანია	0.5278	0.5480	51	50
საუდის არაბეთი	0.5142	0.4935	58	70
კატარი	0.4928	0.5314	62	53
თურქეთი	0.4780	0.4834	69	76
ომანი	0.4576	0.4691	82	84
<b>აზერბაიჯანი</b>	<b>0.4571</b>	<b>0.4609</b>	<b>83</b>	<b>89</b>
ლიბანი	0.4388	0.4840	93	74
საქართველო	<b>0.4248</b>	<b>0.4598</b>	<b>100</b>	<b>90</b>
სომხეთი	<b>0.4025</b>	<b>0.4182</b>	<b>110</b>	<b>103</b>
სირია	0.3103	0.3614	133	119
ერაყი	0.2996	0.2690	136	151
იემენი	0.2154	0.2142	164	164
რეგიონთაშორისი საშუალო მაჩვენებელი	0.4732	0.4857		
მსოფლიო მაჩვენებელი	0.4406	0.4514		

შვეიცარიაში 79, ნორვეგიაში – 84. არსებული დისპარიტეტი<sup>66</sup> პრაქტიკულად, ხარისხობრივად იგივეა რაც პერსონალური კომპიუტერების, ძირითადი სატელეფონო ხაზების, მობილური ტელეფონების მომხმარე-ბელთა რაოდენობის შეფასებისას.

ქვეყანაში არსებული ადამიანური რესურსის პოტენციალის ინდექსის მიხედვით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მაჩვენებელი შეადგენს 0.91 ქულას. ამავე დროს, ელექტრონულ მმართველობაში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობის მხრივ, ძალიერ საზოგადოებას სუსტი პოზიციები აქვს . 157 ადგილიდან საქართველო 127 ადგილზეა, სომხეთი 135-ე, აზერბაიჯანი კი 68-ე ადგილზე.

<sup>66</sup> დისპარიტეტი – ფინანსურ, ეკონომიკურ ურთიერთობებში თანაბარი სარგებლის, ექვივალენტობის პრინციპის დარღვევა, უთანასწორობა. სამსახურში წარმატების მისაღწევად შიდა კონკურენციის პროცესში არათანაბარი სასტარტო პიზიციები.

ონლაინ მომსახურება და მისი შემაღებელი კომპონენტები				
რეიტინგი	ქვეყანა	შეფასების ინდექსი	საინფორმაციო მომსახურების განვითარების ქულა	საინფორმაციო მომსახურების ზრდის ქულა
100	საქართველო	0.476	45	17
121	სომხეთი	0.1746	38	10
69	აზერბაიჯანი	0.3238	47	36

ონლაინ მომსახურება და მისი შემაღებელი კომპონენტები					
რეიტინგი	ქვეყანა	შეფასების ინდექსი	ონლაინ მომსახურების კომპონენტი	სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის კომპონენტი	ადამიანური კაპიტალის კომპონენტი
100	საქართველო	0.4248	0.0842	0.0384	0.3022
110	სომხეთი	0.4025	0.0594	0.0422	0.3009
83	აზერბაიჯანი	0.4571	0.1101	0.0439	0.3031

ადამიანური კაპიტალის ინდექსი		
რეიტინგი	ქვეყანა	შეფასების ინდექსი
52	საქართველო	0.9156
57	სომხეთი	0.9117
50	აზერბაიჯანი	0.9185

მონაზოლეობის ინდექსი		
რეიტინგი	ქვეყანა	შეფასების ინდექსი
127	საქართველო	0.0571
135	სომხეთი	0.0429
68	აზერბაიჯანი	0.1714

„დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, იმყოფება განვითარების დაბალ საფეხურზე. ჩვენს ქვეყანას ძლიერი პოზიციები გააჩნია ადამიანური რესურსის მხრივ, მაგრამ სერიოზული ხარვეზების წინაშე დგას უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის, გამოყენების, მოქალაქეთა მომსახურებისა და მათი მმართველობითი პროცესში ჩართვის მხრივ“.<sup>67</sup>

მთავრობის განვითარების ინდექსი					
რეიტინგი	ქვეყანა	შეფასების ინდექსი	ონლაინ მომსახურების კომპონენტი	სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის კომპონენტი	ადამიანური კაპიტალის კომპონენტი
100	საქართველო	0.4248	0.0842	0.0384	0.3022
110	სომხეთი	0.4025	0.0594	0.0422	0.3009
83	აზერბაიჯანი	0.4571	0.1101	0.0439	0.3031

<sup>67</sup> ქეთევან როსტიაშვილი: „ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები“; <http://www.idfi.ge/?cat=researches&topic=35&lang=ka>

- ადრე არსებული და ამჟამინდელი ICT სტრატეგია  
და ცოდნის გადაცემის შესაძლებლობები

#### **არსებობს ორი ძირითადი შენიშვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:**

პირველ რიგში, ქალთა ორგანიზაციებისა და სტრატეგიულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ შედგენილი მიმოხილვები მოწმობენ, რომ არსებობს უამრავი დაბრკოლება ყველა სფეროში, სახელდობრ: ეროვნული ქსელისა და შიდა ორგანიზაციული თანამშრომლობის არარსებობა ICT- ის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, პერსონალის მიერ უცხო ენათა სუსტად ფლობა, კომპიუტერების სიმცირე, მოძველებული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები და პოლიტიკური ნების არარსებობა.

მეორე რიგში, ყველა ორგანიზაციის აზრით, ეროვნული ქსელის არარსებობა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა არის ძირითადი პრობლემა, რომელიც სასწრაფო გადაწყვეტას ითხოვს. ის, რომ ეს პრობლემები პირველ პლანზეა წამოწეული, შეიძლება აღვიქვათ, როგორც ინფორმაციის ერთობლივი მოხმარების კულტურის განვითარების სურვილი. პრობლემაზე ამგვარი თვალსაზრისი აუცილებელია ექსპერტთა სისტემის (ქსელის) განვითარებისათვის. ამჟამად თითქმის არ ხდება ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა თრგანიზაციას შორის. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ არ არის მისწრაფება, არ არის კვალიფიციური კადრი და შუამავალი ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა ორგანიზაციებს შორის კავშირის გაძლიერებას. ამ პრობლემების გადაჭრა გააქტიურებდა როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობასა და მხარდაჭერას.

მიუხედავად ხელისუფლების განცხადებისა პოლიტიკურ დონეზე ICT სტრატეგიასთან დაკავშირებით, დაფინანსება ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ მიმართულებით პროგრესი არ არის. იმისათვის, რომ სტრატეგია ნამდვილად განხორციელდეს ცხოვრებაში, აუცილებელია სექტორული სამოქმედო გეგმები რეალურად ამოქმედდეს, სხვაგვარად, დონორებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა შესაძლებელია უარი თქვან ICT პროექტების დაფინანსებაზე, ხოლო კერძო სექტორმა – ინვესტიციებზე. სიღარიბის დონის შემცირების მიზნით აუცილებელია პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კერძო ფინანსებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მომხმარებელს, ფერმერებსა და უცხოურ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს შორის.

საზოგადოებრივ და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა მიმართული უნდა იყოს კვალიფიციური სამუშაო ძალის შექმნაზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ორივე ნაწილის განვითარებას. ამგვარი თანამშრომლობის ელემენტები გამოვლინდა კერძო კომპანიების მხარდაჭერით ორგანიზაციებისა და პერსონალსათვის ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე უმაღლესი კურსებისა და ტრენინგების სახით. ხელისუფლებას შეეძლო დაეჩქარებინა კვალიფიციური კადრების მომზადება, მიეცა ეკონომიკური შეღავათები, მაგალითად ICT სწავლებასთან დაკავშირებით გაეთავისუფლებინა გადასახადებისგან, რაც ხელს შეუწყობდა კერძო ინვესტიციების სტიმულირებას.

საჭიროა გაუმჯობესდეს, ასევე, გადაწყვეტილების მიღების სტრატეგია და ეფექტურობა ახლადშექმნილ სამთავრობო ქვეგანაყოფებში, სადაც მკაფიოდ იქნება გაგებული სტრატეგიული ბერკეტების ურთიერთ-დამოკიდებულება.

მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების ეფექტურად მოქმედმა დაცვის სისტემამ შეიძლება მოიზიდოს ინვესტიციები ICT სფეროში იმ პირობით, თუ მთავრობის დადგენილება ვაჭრობაზე არ იქნება ამკრძალავი ხასიათის.

#### **კითხვები მსჯელობისათვის:**

1. რაში მდგომარეობს საქართველოში ინფორმაციული საზოგადოების შესაქმნელად არსებული პოლიტიკის ღირსება და ნაკლი?
2. როგორ შეიძლება მისი სრულყოფა?
3. ეროვნული სტრატეგიის დაბალება?

#### **მეთოდიკა:**

- ინტერაქტიული ლექცია
- ცალკეული მაგალითების განხილვა
- ჯგუფური მუშაობა





# მოდული V

## საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება

აღნიშნულ მოდულში განიხილება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხერხები პროგრამირებისა და განვითარების სტრატეგიაში.

მოდული შედგენილია ინტერაქტიული მოხსენების საფუძველზე, სადაც მომხმარებლის ყურადღება გამახვილებულია შემდეგი განსაზღვევლი თემების მიმართ:

1) ICT ტექნოლოგიების ინტეგრაცია რეგიონის ადგილობრივი თავისებურებებისა და განვითარების პროცესში ისტორიის გათვალისწინებით;

2) ინფორმაციული საზოგადოების საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მიმოხილვა.

### • პროგრამული უზრუნველყოფა

BaseBox – ეს არის მცირე და საშუალო არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ყოველდღიურად გამოსაყენებელი ინსტრუმენტარიის კრებული. Women'sNet-თან თანამშრომლებით ფირმა Tactical Tech-ს მიერ შემუშავებული დახმარებ პროგრამა საშუალებას იძლევა ადვილად შეიქმნას მონაცემთა ბაზა, მოიძებნოს პროგრამული უზრუნველყოფა და მოხდეს შესწავლა მის გამოსაყენებლად.

BaseBox ძირითადად განკუთვნილია არასამთავრობო და უფლებადამცველი ორგანიზაციებისათვის განვითარებად ქვეყნებში. ის მოიცავს წარსულ რეცენზირებულ უფასო და ღია პროგრამულ უზრუნველყოფას (Open Source Software tools), ასევე შესაბამის სასწავლო მასალებსა და სახელმძღვანელოებს.

მასში შედის შემდეგი ინსტრუმენტარიები:

- საოფისე პაკეტი და ტექსტების ელექტრონული დამუშავება;
- ფინანსური ოპერაცია და „ფანდრაიზინგი“;
- თანამშრომლობა და პროექტების მართვა;
- კადრებისა და მოხალისეების მართვა;
- ვებ-ბრაუზირი და ელ-ფოსტა;
- შეტყობინებათა სწრაფი გზავნილი და ტელეფონირება;
- მიმოხილვა;
- ანტი-ვირუსი.

ამ მასალების მოპოვება შესაძლებელია ინტერნეტში, მაგრამ მისი ორიგინალური ვერსია არის კომპაქტ-დისკების პაკეტი, რომელთა დახმარებითაც შეიძლება მიიღო სხვადასხვა პროგრამა ინტერნეტიდან გადმოწერის გარეშე.

BaseBox ეხმარება ორგანიზაციებს სწორად აირჩიონ მათთვის საჭირო ტექნოლოგია პრაქტიკაში გამოცდილი პროგრამების შედარების გზით, თანდართული ინსტრუქციის გამოყენებით.

ინსტრუმენტალიათა პაკეტის შიგთავსი შერჩეულ იქნა საგამომცემლო ჯგუფის წამყვანი საერთაშორისო სპეციალისტების მიერ, რომლებიც მუშაობენ არაკომერციული, საზოგადოებრივი უფლებადამცავი ორგანიზაციების ტექნიკური დახმარების აღმოჩენა-განვითარებისათვის უფასო და ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფის (Free and Open Source Software) გავრცელებაში. ჯგუფში შედიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების, ფილიპინების, ბულგარეთის, ინდოეთის, ავსტრალიისა და აშშ-ს წარმომადგენლები, რომლებმაც ერთობლივად აირჩიეს და გამოსცადეს საუკეთესო პროგრამები და მასალები.

### • ციფრული სოლიდარობა

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმატების ძირითად ფაქტორს მთელს მსოფლიოში წარმოადგენს მათი ძალისხმევის ეფექტურობა, რომელიც საშუალებას აძლევს ეფექტურად მოიპოვონ უახლესი ინფორმაცია და, ასევე, ეფექტურად დამყარონ ურთიერთობა პარტნიორებთან. ყველა ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს ინტერნეტ-პორტალის დახმარებით, რომელიც, ჩვეულებრივ, უფრო მეტად

რენტაბელურია. დღეს, პორტალი უკვე არ წარმოადგენს ცალსახა საინფორმაციო არხს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პასიური მკითხველისათვის. ახლა ისინი ინტერაქტიული ურთიერთობების, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის ეფექტურ ინსტრუმენტებად და, ასევე, თანამშრომლობის განვითარებისათვის უნიკალურ პლატფორმად იქცნენ.

ისმის კითხვა, როგორ შესძლებს საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ხშირად მუშაობს მკაცრად განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში განახორციელოს პორტალის მეშვეობით? რა მოხდება თუ თანამშრომლები არ ფლობენ ინფორმაციის გამოყენებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) უნარ-ჩვევებს. პოტენციური მიმღები, ვისთვისაც განკუთვნილია ინფორმაცია, - ეს არის ხალხი, რომლისთვისაც ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა წარმოადგენს პრობლემას; როგორ უნდა გამოიყურებოდეს თითოეული ორგანიზაციის პორტალი, რათა დააკმაყოფილოს სამოქალაქო საზოგადოების სპეციფიკური საკითხები.

## • პორტალი

ჩვეულებრივ, ვებ-პორტალები არიან თავისებური „სუპერსაიტები“ ინტერნეტში, რომელთა შემქმნელები ცდილობენ მაქსიმალურად დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნები. ამგვარი პორტალები მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სერვისს, როგორიცაა: ძიება, შინაარსი, სიახლეები, ელ-ფოსტა, ონლაინ-ჩათი, სხვა საიტებთან კავშირი და ა.შ. ([www.darwinmag.com](http://www.darwinmag.com))

## • სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პორტალზე სხვა მრავალი პორტალისაგან განსხვავებით ნაკლები დრო უთმობა გართობასა და კომერციას. ძირითადად, კონცენტრირებული არიან სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა. შესაბამისად, ისინი სთავაზობენ ამ პრობლემებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მომსახურებას, ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ უკავშირდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების პორტალს (მაგალითად საბირჟო კურსი, ამინდის პროგნოზი და ა.შ.)

## • ელექტრონული ბიულეტენი

ელექტრონული სახით გაგზავნილი ბიულეტენი, ჩვეულებრივ, შეიცავს ინფორმაციას რაიმე კონკრეტული საკითხის შესახებ და წარმოადგენს პორტალის ერთ-ერთ მომსახურებას.

## • მიმღებთა სია

მიმღებთა სიის მეშვეობით შესაძლებელია ჯგუფური დისკუსიის ორგანიზება, ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა და გავრცელება. ყოველთვის, როდესაც დისკუსიაში მონაწილე აგზავნის შეტყობინებას, ხვდება მიმღების ელექტრონულ საფოსტო ყუთში. მთელი ეს პროცესი მიმდინარეობს ავტომატურად და იმართება მიმღებთა სიის პროგრამის მენეჯერის მიერ (განმარტება [Learn the Net](http://www.learnthenet.com) - [www.learnthenet.com](http://www.learnthenet.com)).

კანონიერი გზით ასლის გადაღების სტრატეგია (ლიცენზით ნებადართული), ონლაინ-პუბლიკაციათა კონტექსტში - ეს არის უფასო გავრცელებისა და ონლაინ კონტენტების (შინაარსის) განმეორებითი გამოცემის სტრატეგია. კანონიერი გზით ასლის გადაღების ლიცენზირების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს GNU Free Documentation License, რომელიც არის ლიცენზია თავისუფალი პროგრამული უზრუნველყოფისათვის.

## • სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები

„სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია“ მიეკუთვნება იმ ორგანიზაციათა რიცხვს, რომლებიც მუშაობენ განვითარებაზე, მაგრამ არ არიან მთავრობის ან ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. ცალკეულ ქვეყანაში სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია სხვადასხვაგვარად იწოდება: „საქველმოქმედო“, „კერძო საქველმოქმედო ორგანიზაცია“, „საქველმოქმედო ორგანიზაცია“, მაგრამ ყველაზე ხშირად მოიხსენიებიან, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები (განმარტება UNDP - [www.undp.org](http://www.undp.org)).

## • მომხმარებელთა საზოგადოების შექმნა

სამოქალაქო საზოგადოებრივი პორტალები არ მოქმედებენ კომპანია-კლიენტის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპით. მომხმარებლები ინტერესდებიან საკითხებით, რომელიც სცდება წმინდა მატერიალური ღირებულებების ფარგლებს, და უჩნდებათ პორტალთან დაკავშირების სურვილი. თუ ჩვენი საქმიანობა იქნება სასარგებლო და მათ გაუჩნდებათ მოტივაცია აქტიურობისათვის, ეს ნიშავს, რომ ჩვენ წარმატებით მივიწევთ წინ პორტალის გარშემო გაერთიანებული საზოგადოების შექმნისკენ. ონლაინ საზოგადოება – ეს არის ჩვენს ხელთ არსებული ყველაზე ძლიერი რესურსი, რაც წარმატების საწინდარია სამოქალაქო საზოგადოებრივი პორტალისათვის. ჩვენ შეგვიძლია ამგვარი საზოგადოების ფორმირება თუ დავარწმუნებთ ჩვენს მომხმარებლებს იმაში, რომ მათ აქვთ გარკვეული როლი, ასევე, მივცემთ შესაძლებლობას დაამყარონ ურთიერთობა ჩვენთან, ერთმანეთთან და მონაწილეობა მიიღონ პორტალის განვითარებაში. რაც უფრო ძლიერი და აქტიური იქნება ამგვარი საზოგადოება, მით უკეთესია.

## • მომხმარებელთან ურთიერთობა

ძალზე მნიშვნელოვანია იმის განმარტება, რომ პორტალი არ არის ცალმხრივი კავშირის არხი. საჭიროა მომხმარებელს მივცეთ შესაძლებლობა მოგვწეროს ნებისმიერ საკითხზე. ეს იქნება წინადადება ცვლილებების შესახებ, მოწონება თუ კრიტიკა. ჩვენ უნდა გვქონდეს სწრაფი რეაგირება ყველა წინადადებაზე. თუმცა, შესაძლოა, მოხდეს ისეც, რომ ჩვენი პორტალის წარმატებიდან და მომხმარებელთა აქტიურობიდან გამომდინარე, დიდი მოცულობით მოსულმა კორესპონდენციამ არ მოგვცეს შესაძლებლობა, რეაგირება ვიქენიოთ თითოეულ მათგანზე. მიუხედავად ამისა, არ უნდა ვევრათ უარი ელ-ფოსტის შედეგად კონტაქტის დამყარებაზე, რამდენადაც ა) ეს მომხმარებლებს აგრძნობინებს, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი აზრი, და ბ) ამგვარად შევძლებთ მივიღოთ ჩვენი საქმიანობისათვის ღირებული წინადადებები.

„რამდენიმე წლის წინ ჩვენი პორტალი იყო პრიმიტიული, მოსაწყვენი და არ ჰყავდა ბევრი მომხმარებელი. ჩვენ დაგსხედით და ვიფიქრეთ თუ რას შეიძლება გამოეწვია ჩვენი მიზნობრივი აუდიტორიის ინტერესი. დავუსვით მათ შეკითხვები და პროგრესი სახეზეა: ჩვენ შევიძინეთ ახალი აუდიტორია – სტუდენტები და უმუშევრები“ (Danijela Babic - ZaMirNet)

მომხმარებელთა რეაქცია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საქმიანობის შესაფასებლად. ამ რეაქციის საფუძველზე გავიგებთ როგორია ჩვენი მომხმარებელი, და რა საკითხებითაა დაინტერესებული. თუ ამგვარი ინფორმაცია არ გვაქს, უნდა მოვახდიოთ აუდიტორიის რეაგირების სტიმულირება, როგორც ეს გააკეთა დანიელა ბაბიჩიმ „ZaMirNet“-დან.

## • თანამშრომელთა პერსონიფირება

პორტალის გარშემო საზოგადოების წარმატებით ფორმირებისათვის ადმინისტრაციულმა ჯგუფმა ვიზუალურად ისე უნდა წარმოადგინოს თავი, როგორც საზოგადოების ნაწილი. ჯგუფი არ უნდა იყოს „უსახო“, ტექნოლოგიებს მიღმა დარჩენილი. სასარგებლო იქნება რაიმე პუბლიკაციის გამოქვეყნება უურნალისტებსა და რედაქტორზე, რომლებიც საზოგადოების ინფორმირებას უზრუნველყოფენ. რამდენიმე სტრიქონის გამოქვეყნებამ ჩვენ შესახებ, ან უბრალოდ, ჩვენმა ფოტომაც კი, შესაძლოა პორტალი და ურთიერთობის პროცესი უფრო უშუალო გახადოს.

## • ონლაინ დისკუსია

სადისკუსიო ფორუმების ორგანიზებით საშუალებას ვაძლევთ მომხმარებელს გამოთქვას აზრი განსახილველ საკითხზე. ამგვარად შესაძლებელია მომხმარებელთა სტიმულირება ჩვენ მიერ შეთავაზებულ საკითხებთან დაკავშირებით აზრის გამოსახატად. აქტიური სადისკუსიო ფორუმების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული განსახილველ თემაზე, მაგრამ, ამავე დროს, ის დამოკიდებულია კულტურულ თავისებურებებზე. ზოგიერთ კულტურაში ადამიანები მიჩვეული არიან საჯაროდ გამოთქვან საკუთარი აზრი, ხოლო ზოგიერთში – არა. გარდა ამისა, არსებობს განსაკუთრებული საკითხები, რომლებიც, როგორც წესი, სხვა რომელიმე საკითხზე მეტად იწვევს აქტიურ დისკუსიას (მაგალითად ფემინიზმი ან პოლიტიკა).

ჩათის ორგანიზება აძლევს სტიმულირებას დისკუსიას. ბრაზილიური პორტალის „Rits“ გამოცდილებამ,

რომელზეც ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების მქონე ადამიანებს შორის მიმდინარეობს დისკუსია სადაც საკითხებზე, დაამტკიცა დისკუსიაში ადამიანთა მონაწილეობის მოსაზიდად ამგვარი მეთოდის ქმედითუნარიანობა.

1) მომართვის შემთხვევაში, თუ ჩვენი შესაძლებლობები არასაკმარისია დროული რეაგირებისათვის, უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, რომ ავტომატურად განვუმარტოთ მომხმარებელს, რატომ არ შეგვიძლია ამის გაკეთება. მაგალითად, კორესპონდენციის სიჭარბის შემთხვევაში Friends of the Earth-ის ბრიტანული განყოფილების პორტალზე, სერვერი ავტომატურად აგზავნის შემდეგ პასუხს: „ყოველკვირეულად ჩვენ ვიღებთ ასობით ელექტრონულ წერილს და ვპასუხობთ მათ მკაცრად დაცული რიგითობით. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა გაგცეთ პასუხი ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. თუ თქვენი წერილი განკუთვნილია სხვა ჯვეულის ან სხვა თანამშორმლისადმი ჩვენი განყოფილებიდან, ჩვენ დაუყოვნებლივ გადავცემთ მას დანიშნულებისამებრ”.

„ბრაზილიურმა პორტალმა „Rits“ სტუმრის სტატუსით მიიწვია მწერალი და საზოგადოებრივი მეცნიერების სფეროს სპეციალისტი, რომელიც იცავდა საკამათო შეხედულებას კონკრეტულ გარემოში ძალადობის პრობლემის შესახებ, კერძოდ, ის თვლიდა, რომ მოშიმშილეებს აქვთ ძალადობის უფლება. ეს იყო პირველი ამგვარი გამოცდილება და გავავრცელეთ მოსაწვევები დისკუსიაში მონაწილეობისათვის ბიულეტენის „მოქალაქეობა“ (Citizenship) ხელმომწერებს შორის. ინფორმაცია განვათავსეთ, ასევე, პორტალის ჩათბერი. ერთი საათის განმავლობაში დაახლოებით 15 ადამიანი ჩაერთო დისკუსიაში ჩვენს სტუმართან და დაუსვა კითხვები“. (Graciela Saleimen - Rits)

## • ელექტრონული ბიულეტენი

ერთ-ერთი განმარტების თანახმად წებისმიერი პორტალის მომხმარებლები არიან ადამიანები, რომლებიც, სულ მცირე, წებას გვრთავენ დავივიწყოთ ჩვენი საფოსტო უუთები ბიულეტენებით, რომელთა ხელმომწერებიც არიან. წებისმიერ შემთხვევაში, მასალების რეგულარული გავრცელება ხელმომწერებთან გვეხმარება გავზიარდოთ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებენ ჩვენს საქმიანობას და, ვიმედოვნებთ, რომ მაღალ შეფასებას აძლევენ მას.

„ელექტრონული ბიულეტენების ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ქმნიან კარგ საფუძველს მოქმედებისა და პროპაგანდისტული კამპანიის ჩატარებისათვის. როდესაც თქვენ ადგენთ ელ-ბიულეტენის ხელმომწერთა სიას, თქვენ ამასთანავე ქმნით საზოგადოების წევრების დიდ ჯგუფს, რომელთაც აინტერესებით თქვენი საქმიანობა. ეს არის ადამიანების იდეალური ჯგუფი, რომელთა მოზიდვაც შესაძლებელია პროპაგანდისტულ კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. ისინი დაგითმობენ დროს და შემოგთავაზებენ ახალ მისამართებს თქვენი საიტისათვის, ან უშუამდგომლებენ შემოწირულობას ინტერნეტის მეშვეობით“. (Mark Surman - Rabble)

## • მიმღებთა სია

მიმღებთა სია, ეს არის ქმედითი საშუალება თქვენი პორტალის გარშემო საზოგადოების ფორმირებისათვის. ადამიანებს შესაძლებლობა მიეცამათ მონაწილეობა მიიღონ თემატურ კონფერენციებში, ჩვენ არა მარტო ვაძლევთ მათ შესაძლებლობას გაიგონ სიახლეები სხვა მონაწილეებისაგან, არამედ, ვაძლევთ შესაძლებლობას, გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა განსახილველ თემასთან დაკავშირებით. მისამართების სიის მეშვეობით დისკუსიის შედეგად ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მთელი რიგი მასალა ჩვენი სტატიისათვის. ამგვარი კონფერენციების ჩატარების, ხელშეწყობით შესაძლებლობა გვაქვს ავამოქმედოთ ჩვენი პორტალი დისკუსიასთან ურთიერთქმედებით და სტიმულირება მივცეთ საზოგადოების განვითარებას, რომელიც აღიქვამს ჩვენს პორტალს, როგორც მაკონტროლებელ პუნქტს. როდესაც ჩვენ ვაქვეყნებთ სტატიას კონფერენციის თემაზე, ჩვენ ვაგზავნით მიმღებთა მისამართებზე შეტყობინებას თანდართული „ბმულით“, რომლითაც გადავლენ პორტალზე. კონფერენციის დახმარებით ჩვენ არაპირდაპირი გზით ვაძლევთ მოტივაციას მონაწილეებს შეიტანონ წვლილი პორტალის მუშაობაში.

## • საზოგადოების წვლილი ჩვენს საქმიანობაში

„მე აღვიჯვამ ადამიანებს, რომლებიც როგორც სასიამოვნო დამატება, ისე უცარად ჩნდებიან თავის-თავად, მაგრამ მე არ მაქვს მათი იმედი, და არ ველი, რომ მათ აქვთ ჩემი იმედი. მე მხარი დავუჭირე

ორგანიზაციებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ მივეჩიე ინფორმაციის გავრცელებას ქსელის (ვების) მეშვეობით. ტექნიკურად იოლია ინფორმაციის გავრცელება დინამიური ვებ-გვერდებიდან და /list servers-დან, ეს არის კომუნიკაციის საშუალება, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიმოქმედოთ უფრო ფართო მასშტაბით. ჩვენ უნდა გვქონდეს უკეთესი ურთიერთკავშირი რაც შეიძლება მეტი ადამიანისა და სისტემის მეშვეობით". (*Nicole Nepton - Cybersolidaires*)

პორტალის გარშემო საზოგადოების ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მომხმარებლებისთვის საშუალების მიცემა თავად შეიტანოს წვლილი ჩვენს მუშაობაში. ამგვარი წვლილის ეფექტურობის ხარისხი დამოკიდებულია პორტალის მუშაობის მთავარ ამოცანაზე. მიუხედავად ამისა, ყოველთვის არის იმის აღბათობა, რომ ზოგიერთ მომხმარებელს შეუძლია მოგვაწოდოს ინფორმაცია, რომელიც სასარგებლოა ჩვენი საქმიანობისათვის, ხოლო ზოგიერთი შემოთავაზებული მსალა შესაძლოა იქნას გამოქვეყნებული მოვლენების კალენდარში, ბმულების ცნობარში, განცხადებებში ვაკანსიის შესახებ და ა.შ. თუ მომხმარებელი გვაწოდებს ამგვარ მასალას, ჩვენ უნდა გამოვხატოთ მის მიმართ მადლიერება, გაფუზზავნოთ მადლობის წერილი ელ-ფოსტით, ან მოვიხსენიოთ ის ვებ-გვერდზე. თუ უარს ვამზობთ შემოთავაზებულ წინადადებაზე, აუცილებლად უნდა შევატყობინოთ მომხმარებელს მიზეზი, რომლის გამოც მოგვიწია ამის გაკეთება. ჩვენ შევგიძლია, ასევე, მივცეთ ინსტრუქცია მთავარ თემასთან დაკავშირებით ან შემოთავაზებული მასალის ფორმატზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რომელიმე კონკრეტული მომხმარებლის რეგულარული თანამშრომლობის პერსპექტივაა. ამ სახის მიმოწერას დიდი დრო მიაქვს, მაგრამ მისი დაყვანა შეიძლება მინიმუმადე, თუ წინდაწინ მოვამზადებთ წერილის უნივერსალურ ვარიანტებს.

ყველაზე ხშირად ფასეული მასალა ხვდება სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და არა ცალკეული მომხმარებლებისგან. შევუწყოთ ხელი ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განვითარებას. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა კარგ შედეგს იძლევა იმ ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობასაც ვაშტებთ მსგავსი შეტყობინების დაგზავნა: „გვსურს გაცნობოთ, რომ გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია თქვენს ბუკლეტზე...”, ამგვარად ისინი შეიტყობენ ჩვენი არსებობის შესახებ. თუ ჩვენ ვიმოქმედებთ თანამმდევრულად, მაშინ გაჩნდება რეალური შანსი, რომ მომავალში თვითონ გამოვგიზზავნონ შეტყობინება თავის ახალი საქმიანობის შესახებ. ამგვარად დაზოგავენ ჩვენ დროს, რომელიც უნდა დაგვეხარჯა ინფორმაციის თავად მოძიებისას.

როდესაც ჩვენ გვყავს მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ჩვენი პორტალის საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ, უმჯობესია შევიტყოთ, თუ რა ორგანიზაციაა, რამდენად შეიძლება მისი ნდობა და, რა აკავშირებთ ჩვენს პორტალთან. საბოლოოდ, გაგვიადვილდება დამატებითი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს მათ კავშირს ჩვენს პორტალთან. ეს შეიძლება დადებითად აისახოს ჩვენს ინფორმირებაზე, მაგალითად, საგრანტო მონაცემთა ბაზებთან ხელმისაწვდომობის, „ელ-ფოსტის“ თემატურ კონფერენციებზე ან ერთობლივ ინტერნეტ-პროექტებში მონაწილეობის თვალსაზრისით.

საზოგადოების განვითარება და ფორმირება მოითხოვს დიდ დროსა და ძალისხმევას, მაგრამ ეს ამადლირს. საზოგადოების ფორმირებას აქვს თოვლის გუნდის მეთოდი: რაც უფრო დიდი და ძლიერია საზოგადოება, მით უფრო სასარგებლოა ის პორტალისათვის და მით უფრო მაღალია პორტალის შესაძლებლობები ადამიანთა შემოკრებისა და მოტივირებისათვის.

### კითხვები მსჯელობისათვის

- 1) როგორ შეგვიძლია ICT - ის გამოყენება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში?
- 2) კიდევ რაში მდგომარეობს ICT - ის გამოყენების მნიშვნელობა?
- 3) რა შესაძლებლობებს გვიხსნის ICT?

### მეთოდიკა

- ინტერაქტიული მოხსენებები
- ინტერაქტიული ლექციები
- დისკუსიები
- პრაქტიკული საგარჯიშოები

# Abstract

In today's world, computer, Internet, mobile communication, TV and video communication is very important, however, the term "Information Communication Technologies" (ICT), which combines all this, is not so popular in society and a very small part knows about it.

People do believe that ICT sphere is not "preferable" for women and she cannot be as professional as men. At the same time, if we plunge into the issue, it would be clear that modern life is impossible without the usage of these technologies. Woman is a part of this world and if she will be given the chance to use ICT it is no doubt, she will use it as successfully as men.

Modern researches and statistics show how low women and girls access to information communication technologies is. What caused this? It has different reasons and explanations, but as the problem exists, there is a need to work in this direction in order to upgrade ICT access on women and girls.

This guide is not an ordinary training manual. It is more instruction in the ICT sphere to enable women be part of it and consists of five modules description. Descriptive part of the module includes a thematic material supply plan, sources, as well as abstract for each participant and advices for trainers. Guideline is additional material for the trainer, which provides audience the necessary information taken from various sources and not all well-known collection of activities.

In the Guidelines main attention is focused on the ICT issues, topics and some of the content-related advice, which affects the learning process. Also there are discussed issues that may be expected to appear after the completion of the training. The manual provides training as a permanent part of the process, which includes education, ability to learn some skills and concrete actions. However, each module within the program uses materials in this sequence:

- Acquisition of ICT skills usage (is depending on proposed modules and its combination)
- Self-assessment of acquired knowledge (is depending on the group profile)
- Training materials (is depending on proposed module and its combination)

***In the first module "The concept and problems of Information society"*** there is given international documents and resolutions regarding the Internet and IT related to basic concept and terminology review. In the module there is discussed such notions as: "Information Society", "Global Network", "Information Structure", "Digi-

tal Section"; as well as information technology-related specific issues and main discussions in the field of ICT at the international level.

Module has the definition of information society, which differs from the traditional, economic principles-based and socio - political figures promoted terms. It is based on broader concept of the Information Society and includes social issues which need a solution to be satisfied in less developed countries.

***In the second module – "International Organizations and Initiatives"***, "is considered international context in which is going the ICT-policy and its relation with international development processes.

Especially there is highlighted the objectives which stands between the development sector and national information society-communication technologies facing the international community decision-making level. As well as there is coverage of the new approaches of the stakeholders and the Information about World Summit preparatory process.

Also there is considered the possibilities, objectives and risks related to ICT propagation and the growth of ICT sector in terms of gender perspectives. There is given "gender division" characteristics of ICT policy and differentiated social and economic impact of men's and women's lives. Also it is offered with the ICT ways of expanding women's access in appropriate conditions. It will be considered appropriate environmental elements, which contributes gender equality and elimination of discrimination.

***The third module – "Electronic Democracy"***:

***Global Network Management: Laws and Organizations***" are considering organizations whose work is dedicated to the Internet, including those who decide coordinated objectives and are engaged in developing international norms.

There is considered an open form of democracy, the risks and opportunities, as well as the role of citizens in the process.

In the ***fourth module*** there is discussed "***National Strategy and Action Plan***" on information - communication technologies. Current information -communication infrastructure and the usage of the trend.

In the fifth module – "Usage of ICT" is considered integration tools for programming and new developments in the strategy. The focus is on the integration of ICT technologies in the region of local peculiarities and history of developments process; also there is reviewed projects carried out by the different organizations working on "Information Society".

# სპეციალური

**CCUN** – გაეროს საბჭო კოორდინაციის საკითხებში

**CCCUN** - გაეროს კომუნიკაციის საკოორდინაციო საბჭო

**CBI** - ბიზნესის საკოორდინაციო კომიტეტი

**CNM** - ახალი ათასწლეულის გამოწვევები

**DAW** - ქალთა დაწინაურების საკითხებში გაეროს ქვეგანყოფილება

**EDD** - ღია ელექტრონული დემოკრატია

**EGM** - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპერტთა ჯგუფი

**GK97** - „გლობალური ცოდნა” ჩატარდა 1997 წელს

**ICC** – საერთაშორისო სავაჭრო პალატა

**ICT** – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

**ITU** - საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი

**ITU-D** - ტელეკომუნიკაციის განვითარების სექტორში გენდერული ქვეგანყოფილება

**IS** - ინფორმაციული საზოგადოება

**PC** - მოსამზადებელი კომიტეტი

**UNCSTD** - გაეროს კომისია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების საკითხებზე

**UNDP** – გაეროს განვითარების პროგრამა

**UNIFEM** - გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის

**WSIS** - მსოფლიო სამიტი ინფორმაციულ საზოგადოებაზე

# გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს კანონი ინფორმატიზაციის შესახებ; თავი I. ზოგადი დებულებანი მუხლი 1

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია #56/183; „უმაღლესი დონის მსოფლიო შეხვედრა ინფორმაციულ საკითხებზე”; [www.itu.int/wsis/docs/background/resolutions/56\\_183\\_unga\\_2002-ru.pdf](http://www.itu.int/wsis/docs/background/resolutions/56_183_unga_2002-ru.pdf)

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია #73;  
[www.itu.int/wsis/docs/background/resolutions/73.html](http://www.itu.int/wsis/docs/background/resolutions/73.html)

უნევის დეკლარაცია;  
[www.un.org/russian/conferen/wsis/dec.pdf](http://www.un.org/russian/conferen/wsis/dec.pdf)

უნევის სამოქმედო გეგმა;  
[www.un.org/russian/conferen/wsis/plan.pdf](http://www.un.org/russian/conferen/wsis/plan.pdf)

ტუნისის ვალდებულებებისა და ინფორმაციულ საზოგადოებაზე ტუნისის სამოქმედო გეგმის ღონისძიებათა სრული ტექსტი: [www.un.org/russian/conferen/wsis/wsis\\_commitment.htm](http://www.un.org/russian/conferen/wsis/wsis_commitment.htm)

დეილ სპენდერი (Dale Spender) - „Nattering on the net: women, power and cyberspace” გვ.190, 1995.

IPS Correspondents, 2003, გვ.2.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში 2009 წელი.  
[www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_381102\\_Annual%20report%202009.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_381102_Annual%20report%202009.pdf)

საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო პროგრამა. /დოკუმენტი მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა UNDP/GEO/00031399 - “საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამის შემუშავება”/-/კ. დემეტრაშვილი[და სხვა],-თბ.,2004

საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფცია.  
[www.cegstar.ge/files/46\\_15\\_372943\\_informatizaciiskoncefci.pdf](http://www.cegstar.ge/files/46_15_372943_informatizaciiskoncefci.pdf)

გაზეთი „ბასტა“, 24-30 დეკემბერი, „საქართველოში ყოველი მე-6 ინტერნეტის მომხმარებელია“

ფრიდომ ჰაუსი; ანგარიში „თავისუფლება ქსელში: ინტერნეტისა და ციფრული მედიის გლობალური შეფასება“

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; „საქართველოს რადიო ციფრებსა და ფაქტებში“; [www.gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=50350&info\\_id=6062](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50350&info_id=6062)

სტატისტიკური ინფორმაცია აღებულია ყოველკვირეული ელ-გამოცემიდან (#89) ACT – მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის მოწინავე კომპანია; რუბრიკა: მედია და კომუნიკაციები; „ინტერნეტით სარგებლობა“; [http://www.act.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=296&info\\_id=535](http://www.act.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=296&info_id=535)

გაეროს კვლევა „ელექტრონული მმართველობის ბერკეტები ეკონომიკის კრიზისის დროს“; 2010; <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan038851.pdf>

ქეთევან როსტიაშვილი - „ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები“; <http://www.idfi.ge/?cat=researches&topic=35&lang=ka>